ლელო
პაოლიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 ივლისი პარასკევი 2011
№ 176 (13473) ფასი 80 თეთრი

# დინა 4:1 მოვიგეთ!

თბილისელებმა ისლანდიელები ექსკურსიაზე დაპატიჟეს

რა ვერ ვნახეთ...

UEFA EUROPA LEAGUE


ალექს გარსია

ეროვნული ბიბლიოთეკა



3

რეიკიავიკი-დინამო. ჩისკოს პენალტი



2

გუშინ ეროვნულზე: მეტალურგი-რენი

ფოტო: www.uefa.com

## გუშინ ეროვნულის მოედანზე შავით თეთრზე დაიწერა: სხვაგან მოვხვდით!


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# ფრანგულ-აფრიკულ-ჰუმანური გაკვეთილი

28.07. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
5 000 მაყურებელი

**მეტალურგი 2**
**რენი 5**

0:1 ბუქარი (17), 0:2 ბუქარი (31), 1:2 ჯაფარიძე (41), 1:3 პიტროიპა (42), 1:4 ფერე (49), 2:4 რაზმაძე (56. პენ.), 2:5 პიტროიპა (70)

| მეტალურგი | რენი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| ბედიაშვილი | კოსტილი |
| მურველაშვილი | დანსი |
| კვახაძე | კანა-ბიიკი |
| ორბელაძე | მანგანი |
| ჯაფარიძე | კატერინი |
| გენაძე | დუმბია |
| რაზმაძე | პიტროიპა |
| მიქაბერიძე | მვილა |
| მაისურაძე | ბრაჰიმი |
| ქობალია | ფერე |
| მოდებაძე | ბუქარი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| **ა. ჯელაძე** | **ფ. ანტონეტი** |

**მეტალურგი**

32. მიქაბერიძე – **მახვილაძე**
46. ბედიაშვილი – **ბათიაშვილი**
67. გენაძე – **ტყემალაძე**

*სათადარიგოები: დ. ლომაია, დობროვოლსკი, ქავთარაძე, ტატანაშვილი*

**რენი**

61. ბრაჰიმი – **ა. კამარა**
65. ბუქარი – **მონტანო**
72. პიტროიპა – **ტეტეი**

*სათადარიგოები: დიალო, მანძიეკი, ჯებური, ბოიე*

გაფრთხილება: რაზმაძე (25), ქობალია (74)
გაძევება: მურველაშვილი (28)
არბიტრი: მ. პანაი (კვიპროსი)



გრიგოლ ბედიაშვილმა პენალტი კი მოიგერია, მაგრამ...

70-ე წუთზე **ჯონათან პიტროიპამ** ბრწყინვალე დრიბლინგით "მეტალურგის" მთელ დაცვას თავბრუ დაახვია, **ვიქტორ-უგო მონტანოს** "კედელი" გაუთამაშა და მასპინძელთა ტანჯვას წერტილი დაუსვა. კიდევ კარგი, რომ სტუმრებმა ამის მერე აღარ (და არა ველარ) გაგვიტანეს, თორემ ავადგასახსენებელი "ვიტ ჯორჯია"-"ვისლას" შედეგის გამეორება ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ. ბოლო წუთები ნამდვილი საცოდაობა იყო, გულშემატკივართა დიდმა ნაწილმა სტადიონი ნაადრევად დატოვა, ტრიბუნებზე დარჩენილებმა კი საიმედო ვერაფერი ნახეს. "მეტალურგს" საერთოდ აღარაფერი შეეძლო, "რენმა" კი კარგად წაივარჯიშა და, სიმართლე რომ ვთქვათ, დაგვინდო. "მეტალურგი" ყველაზე უსუსური მატჩის ბოლო წუთებზე იყო და საფინალო სასტვენმა ყველა დაგვასვენა.

შეიძლება ვინმემ იფიქრა, რომ სრული შემადგენლობით მოთამაშე რუსთაველები მეტოქეს რაიმეს დაუპირისპირებდნენ, მაგრამ ვინც თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ "მეტალურგი" ნებისმიერ შემთხვევაში განწირული იყო.

არც გვქონდა იმის ილუზია, რომ საქართველოს მესამე გუნდი საფრანგეთის მეექვსე გუნდს დაამარცხებდა, მაგრამ მცირე იმედს მაინც ვიტოვებდით, რომ "მეტალურგი" "რენს" გვარიან წინააღმდეგობას გაუწევდა და თუ დიდებით შედეგს ვერ შესწვდებოდა, ღირსეულად მაინც დამარცხდებოდა.

სამწუხაროდ, ამ ორი გუნდის კლასს შორის იმხელა უფსკრული აღმოჩნდა, რომ თამაშის დეტალური მიმოხილვა ყოველგვარ აზრს კარგავს. ვფიქრობთ, გასახსენებლად გოლებიც საკმარისი უნდა იყოს.

"მეტალურგმა" თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო და შეტევასაც შეეცადა, თუმცა ფრანგები მოვლენათა განვითარებას დინჯად აკვირდებოდნენ და მალევე მოედნის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. მე-17 წუთზე "რენის" შემადგენლობაში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა **აბდულრაზაქ ბუქარიმ** შეტევის მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

28-ე წუთზე კი მასპინძლები უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბუქარი მეკარეს გასცდა და **გიორგი მურველაშვილმა** ვარდნით შეაჩერა. ეს უკანასკნელი გაძევებით, "მეტალურგი" კი პენალტით დაისაჯა. **გრიგოლ ბედიაშვილმა** დაზარალებულს თერთმეტმეტრიანი კი აულო, მაგრამ ორიოდ წუთში ბუქარიმ შეცდომა გამოასწორა და "რენის" მრავალსვლიანი კომბინაცია დააგვირგვინა – 0:2.

ტაიმის ბოლომდე კიდევ ორი გოლი ვნახეთ. შეტევაში ჩართულმა **ლაშა ჯაფარიძემ** შორეული დარტყმით სტუმართა კარი ეფექტურად დალაშქრა, თუმცა ერთ წუთში პიტროიპამ სტატუსკვო აღადგინა.

შესვენების შემდეგ რუსთაველთა კარში დაშავებული ბედიაშვილის ნაცვლად **ზურაბ ბათიაშვილი** ჩადგა და მანაც არაერთი უსიამოვნო ეპიზოდი გადაიტანა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, **ჟულიენ ფერემ** ჯარიმა უზადოდ რომ შეასრულა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა. "მეტალურგმა" კიდევ გაიბრძოლა და **ირაკლი მოდებაძის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად **ლუკა რაზმაძემ** აქცია, პიტროიპას ულამაზეს გოლზე თავში გითხარით და სათქმელიც, ფაქტობრივად, ამოგვეწურა.

როგორც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რუსთაველთა თავკაცმა **არმაზ ჯელაძემ** თქვა, "მეტალურგი" ასეთი დონის გუნდებთან თამაშით იზრდება და იმედია, მომავალში ასეთ უმწეოს აღარ ვიხილავთ.

"რენი" კი აუცილებლად უნდა შევაქოთ. ფრანგებმა ლამაზად და კომბინაციურად ითამაშეს და, გულახდილად უნდა ვთქვათ, შესანიშნავი სანახაობით გვასიამოვნეს. "მეტალურგისთვის" ევროსეზონი დასრულებულია, ორი ეტაპის გავლით რუსთაველებმა ქართულ საკლუბო ყულაბას თავისი წილი სარეიტინგო ქულები შესძინეს და ესეც საქმეა.

■ ■ ■

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია მეტისმეტად მოკლე გამოდგა. არც არის გასაკვირი, ბევრი სათქმელი არც გამარჯვებულს ჰქონდა და არც – დამარცხებულს.

**არმაზ ჯელაძე:** *"რა გვეთქმის, ასეთი დონის მეტოქესთან ტოლ-სწორად სათამაშოდ მზად არ აღმოვჩნდით. ყველა თვალსაზრისით "რენი" "მეტალურგზე" გაცილებით ძლიერი გუნდია. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით.*

*ჩვენთვის ეს სასარგებლო გაკვეთილია, შევეცდებით, სტუმრად ვიბრძოლოთ და შედარებით მისაღებ შედეგს მივაღწიოთ".*

**ფრედერიკ ანტონეტი:** *"ჩემი გუნდის თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს ჩვენთვის სეზონის პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო, ბიჭებს საყვედურს ვერ ვიტყვი. შედეგი კი, რაღა თქმა უნდა, შესანიშნავია".*

**ლევან ჯანეზაშვილი**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ლაშა ჯაფარიძის (№14) მიერ გატანილი გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

28.07. რეიკიავიკი. ვიოლური.
1 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| რეიკიავიკი | 1 |
| დინამო | 4 |

1:0 ბალდვინსონი (2), 1:1 კახელიშვილი (38), 1:2 იაგუე (50), 1:3 ჩისკო (61-პენ), 1:4 ლეკვთაძე (67)

| რეიკიავიკი | დინამო |
|---|---|
| 4-4-2 | 4-3-3 |
| ჰალდორსონი | ლორია |
| სნორასონი | ოდიკაძე |
| გუდ. გუნარსონი | თომაშვილი |
| სიგურდსონი | ჰომოლა |
| ოლაფსონი | რეხვიაშვილი |
| ფრიდგეირსონი | კახელიშვილი |
| სიგურდსონი | კოშკაძე |
| არნარსონი | კვეკვესკირი |
| ჰაუკსონი | კოტო |
| ბალდვინსონი | იაგუე |
| ფინბოგასონი | ჩისკო |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. კრისტინსონი | ა. გარსია |

**რეიკიავიკი**

65. ე. იონსონი - **სიგურდსონი**
74. გ. იონსონი - **ჰაუკსონი**
80. იოსეპსონი - **სნორასონი**

სათადარიგოები: ა. იონსონი, გუდიონსონი, გუნ. გუნარსონი, ლუდვიკსონი.

**დინამო**

65. ლეკვთაძე - **კოტო**
70. ჯილაური - **ჩისკო**
80. ფირცხალავა - **კვეკვესკირი**

სათადარიგოები: ნადირაძე, თეძთურმანიძე, ბერაია, რობერტინიო.

გაფრთხილება: ჩისკო (23), სიგურდსონი (33), რეხვიაშვილი (41), კვეკვესკირი (74), არნარსონი (84), ოლაფსონი (93)

მსაჯი: კენ ჰანსენი (დანია)



# საქართველოში ზეიმია: უნახავი სანახავი 4:1

## ისლანდია ტირის: ფეხბურთის გაკვეთილი და დასრულებული ევრომოგზაურობა

მოკლე ხანში ამხელა პროგრესი აშკარა და დაუჯერებელია - თბილისის „დინამო" თითქოსდა უმოტივაციო გუნდიდან „ბარსელონას" ჭაბუკების ყოფილი მწვრთნელის, **ალექს გარსიას** ხელში სერიოზულ ძალად იქცა, წუხელ ევროპის ზედა კიდეზე, რეიკიავიკში გარსიას ბიჭებმა 4:1 მოიგეს და, ფაქტობრივად, გაინაღდეს ევროპის ლიგის პლეი ოფში თამაში. რაც ყველაზე მთავარია ,ამ გუნდს ზრდის პოტენციალი ეტყობა, თუმცა გუშინდელ მატჩს ამის დასტურად იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოვიხმობთ, რომ ის საქართველოში არავის გვინახავს. ხშირად გავიძახით, რომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბის მნიშვნელოვანი მატჩის ჩვენება ქართველი გულშემატკივრებისთვის ვერ მოხერხდა. ყველაზე ოპტიმისტები ინტერნეტმაც დაგვალალატა, მოკლედ, გუშინ ამ მატჩს რეიკიავიკის „ვიოლურის" გარდა ვერსად ნახავდით, არადა, ღირდა და თანაც როგორ! ხშირად გააქვთ ქართულ კლუბებს 4 გოლი, თანაც მას შემდეგ, რაც ანგარიშს მეტოქე გახსნის?!

*„კრ-ს საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს და ამით ჩვენი ევრომოგზაურობა დასრულდა",* - ვკითხულობთ ერთ-ერთ ისლანდიურ საიტზე. კრ - „კლუბ რეიკიავიკის" შემოკლებული ფორმაა და ფანები ყველაზე ხშირად ასე უწოდებენ მათ კლუბს. მე-2 წუთზე **გუდიონ ბალდვინსონმა ლორიას** კარი დალაშქრა(საგოლე პასი **არნარსონისაა**) და, როგორც ისლანდიელები წერენ, მალე 2:0 უნდა გამხდარიყო, მაგრამ მასპინძლებმა შანსი ვერ გამოიყენეს და ამის შემდეგ მოედანზე ერთი გუნდი დომინირებდა - თბილისის „დინამო".

საპასუხო გოლი ქართველებმა 38-ე წუთზე გაიტანეს, ის ისლანდიელთა მწვავე შეტევას მოჰყვა, თავი **გიორგი კახელიშვილმა** გამოიჩინა. ტაიმი ასე მორჩა, თუმცა მეორე ნახევარში საყაიმო ანგარიშმა მხოლოდ 5 წუთი გაძლო - ისლანდიელთა თქმით, **ოდიკაძეს** საოცრად კარგი პასი გაუკეთებია **იაგუესთვის** - 1:2. ზუსტად 10 წუთში მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა, **ჩისკომ** მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა, მეკარემ კი გამოიცნო კუთხე, მაგრამ... 1:3.

„რეიკიავიკის" გამანადგურებელი, მე-4 გოლი **ირაკლი ლექვთაძემ** მოედანზე შესვლისთანავე, პირველი შეხებით გაიტანა, ის კარგად შეჭრილა მასპინძელ მცველებში - 1:4. „დინამომ" ძალზე იოლად დაამარცხა ისლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი, რომელსაც 11 ტურის შემდეგაც არ წაუგია - 8 მოგება და 3 ფრე აქვს. „რეიკიავიკმა" ჩემპიონატში 7 გოლი გაუშვა (11 თამაშში), „დინამომ" კი ერთში ამის ნახევარზე მეტი გაუტანა.



ისლანდიური „სპორტი", რომელიც „დინამოს" ძლიერ კლუბს უწოდებს, წერს: *„დარჩენილ დროში კრ-მ ვერაფერი შექმნა. ის კი არა, ქართველებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მათ მეხუთეც არ გაგვიტანეს".* უეფას ოფიციალური საიტის მიხედვით, „რეიკიავიკმა" 8-ჯერ დაარტყა კარში , „დინამომ" - 7-ჯერ, ჩვენებმა 6 კუთხური მოაწოდეს, მეტოქემ - 2, დინამოელები მხოლოდ 12-ჯერ დაჯარიმდნენ (თუმცა 3 ყვითელი ბარათი მიიღეს და ახლა **კვეკვესკირი**, ჩისკო და **რეხვიაშვილი** საპასუხო, თბილისურ მატჩს გამოტოვებენ), კრ - 15-ჯერ.

**მატჩის შემდეგ**

გიორგი ნემსაძე („დინამოს" სპორტული დირექტორი): *„მატჩამდე საკმაოდ ფრთხილ პროგნოზებს ვაკეთებდით და ყოველივე ეს შეხვედრამაც დაადასტურა. „რეიკიავიკი" სერიოზული მეტოქე აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ ჩრდილოევროპული გუნდია, ბურთსაც კარგად „აგორებდნენ" და მატჩის დასაწყისშიც მძლავრად შემოგვიტიეს . თუმცა „დინამომ" სწორედ ის ფეხბურთი დაუპირისპირა მეტოქეს, ქართველი გულშემატკივრისთვის ყველაზე მისაღები რომ არის - ტექნიკური და მოკლე პასებზე აწყობილი. ამ ქართულ-ესპანურმა სათამაშო სტილმა კი ის შედეგი გამოიღო, რომ მატჩის ბოლომდე სრულ უპირატესობას ვფლობდით და 4:1-ის მერეც რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა.*

*მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როცა შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც ყველა კმაყოფილი ვართ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ისევ ზესტაფონი VS ჭანტურია

# სასამართლომ ზესტაფონი თქვა

თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხილული დავა „ზესტაფონსა" და მის ყოფილ მეკარე **გრიგოლ ჭანტურიას** შორის „ზესტაფონის" გამართლებით დასრულდა.

ფეხბურთელისა და კლუბის დავის პერიპეტიების შესახებ არაერთხელ გამცნეთ, მაგრამ მოკლედ მაინც შეგახსენებთ, რომ ჭანტურია საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე გათავისუფლებისთვის „ზესტაფონისგან" კომპენსაციის სახით 29 ათას ლარს ითხოვდა, კლუბი კი მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის მიერ დადგენილი 7 ათასის გადახდაზე იყო თანახმა. ჭანტურიას ეს არ აკმაყოფილებდა, თუმცა ისე გამოვიდა, რომ მან ამ თანხის მიღების შანსიც, ფაქტობრივად, დაკარგა.

მართალია, ფიფა საფეხბურთო საკითხების სამოქალაქო სასამართლოში განხილვას კრძალავს, მაგრამ „ზესტაფონის" განმარტებით, გუშინ საქმის არსებითი განხილვა კი არა, პროცედურული ხასიათის მოქმედება განხორციელდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დემეტრაძის განაჩენი უცვლელია

თბილისის სააპელაციო სასამართლომ **გიორგი დემეტრაძის** განაჩენი უცვლელად დატოვა. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები სასამართლოსთვის არასაკმარისი აღმოჩნდა. სასამართლო პალატამ საქმეში არსებული და სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად პირველი ინსტანციის განაჩენი კანონიერად, ხოლო მსჯავრდებულთა ბრალეულობა დადასტურებულად მიიჩნია. სააპელაციო პალატამ კი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და შეფარდებული სასჯელის ზომა დასაბუთებულად და სამართლიანად ჩათვალა და განაჩენი უცვლელი დატოვა.

შეგახსენებთ, დემეტრაძე სასჯელს ქურდულ სამყაროსთან კავშირისა და „მაზავშიკებთან" მოგებული თანხის უკანონოდ ამოღების ბრალდებით იხდის. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ თავისუფლების ექვსი წლის ვადით აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ქონების ჩამორთმევა მიუსაჯა.

დემეტრაძის ადვოკატებმა პირველი ინსტანციის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს და გამართლებას ითხოვდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U19

# მასპინძლებთან ვერას გავხდით

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე Milc Cup-ის ფინალში გასვლა ვერ შეძლო. შეგახსენებთ, პირველ ტურში **გიორგი დევდარიანის** გუნდმა მექსიკას 2:1 სძლია, გუშინ კი მასპინძლებთან 1:3 დამარცხდა.

პირველი ტაიმი ჩრდილოირლანდიელებმა 1:0 მოგვიგეს, 70-ე წუთზე კი მეორეც გაგვიტანეს. 82-ე წუთზე ქართველებმა ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ ერთ წუთში მასპინძლებმა მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

დღეს ფინალში ერთმანეთს დანია და ჩრდილოეთ ირლანდია შეხვდებიან, დღესვე საქართველოს ნაკრები მესამე ადგილისთვის აშშ-ს დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია. სამზადისი

# თურქეთიდან დაუმარცხებლად

„ვიტ ჯორჯიამ" თურქული შეკრება გამარჯვებით დაასრულა. ვეტერინარები ქვედალიგელ „მარაშსფორს" გაეჯიბრნენ და 2:1 მოუგეს. ვიტელთაგან ორივე გოლი **ბესიკ ჩიმაკაძემ** გაიტანა.

**ზურაბ ბერიძის** გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **მიქაბერიძე - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე (60. ზაქრაძე), ჯანელიძე, ჯულელი (46. ხუჭუა) - ჩიმაკაძე.**

შეგახსენებთ, ბოლუში „ვიტ ჯორჯიამ" ოთხი სპარინგი გამართა, საიდანაც სამში გაიმარჯვა, ერთი კი ფრედ დაასრულა. გუნდი ბოლუდან თბილისში დღეს დაბრუნდება. ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ვეტერინარები 6 აგვისტოს გორის „დილას" უმასპინძლებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# ამისულაშვილი და მარცვალაძე პოლონეთში

მართალია, **თემურ ქეცბაიას** ჯერ არ გამოუცხადებია ის შემადგენლობა, რომელსაც პოლონეთთან 10 აგვისტოს ჩასატარებელი ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახებს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის სიაში აუცილებლად იქნებიან „კრასნოდარის" წევრები **ალექსანდრე ამისულაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე**. ეს ამბავი რუსული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ამოვიკითხეთ.

შეგახსენებთ, პოლონეთი-საქართველო ლიუბინის „დიალოგ არენაზე" გაიმართება, საქართველოს ნაკრები კი პოლონეთში 8 აგვისტოს შეიკრიბება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# შოთას გუნდმა ხეტაფეს მოუგო

თურქულმა „ქაისერისფორმა" ამხანაგურ მატჩში ესპანურ „ხეტაფეს" სოლიდურად, 3:0 სძლია. **შოთა არველაძის** გუნდმა სამივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანა. **ზურაბ ხიზანიშვილი** „ქაისერის" ძირითადში კი იყო, მაგრამ მოედანი მე-5 წუთზე დატოვა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი ტრავმაა. იმედია, თურქების ქართველ ახალწვეულს სერიოზული არაფერი აწუხებს და საქართველოს ნაკრებს პოლონეთში არ დააკლდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები


კახა ცხადაძე

# ...როცა ბრიტანელები გვაქებენ

ისე როგორც საქართველოში, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანშიც ჩემპიონატი მომავალ კვირას დაიწყება; აზერბაიჯანის პრემიერ-ლიგის ყველაზე „ქართული" გუნდი, ბაქოს „ინტერი" სასტარტო შეხვედრაში თურანის „თოვუზს" უმასპინძლებს. ახალი სეზონის წინ „ინტერის" მიზანი ჩემპიონობისათვის ბრძოლა იქნება და დსთ-ის თასის წლევანდელი ტრიუმფატორი მთელი სერიოზულობით ემზადება აზერბაიჯანის უძლიერესი გუნდის სახელის დასაბრუნებლად. შეგახსენებთ, რომ ქართველი მწვრთნელების, **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ინტერი" 2010 წელს აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა, თუმცა წელს სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა. ამას გარდა, გუნდს ხელი მოეცარა თასის გათამაშებაშიც — დრამატული სცენარით წარმართულ ფინალში პენალტების სერიაში დამარცხდა ლენქორანის „ხაზართან". თუმცა, 2010-11 წლების სეზონს მთლად წარუმატებელსაც ვერ ვუწოდებთ: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაქოს „ინტერმა" ამა წლის იანვარში სანქტ-პეტერბურგში ჩატარებულ დსთ-ს ტურნირზე გაიმარჯვა. გუნდის სხვა ფეხბურთელებთან ერთად „ინტერის" წარმატებაში არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ქართველმა ლეგიონერებმა: **ილია კანდელაკმა, ვალერი აბრამიძემ, დავით ოდიკაძემ, კახა მჟავანაძემ** და **ბაჩანა ცხადაძემ.** რაც შეეხება **გიორგი ლომაიას**, „ინტერის" მეკარემ ტურნირი მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა - ძირითად დროში არც ერთ მატჩში გოლი არ გაუშვია!

...წინა სეზონის დასრულების შემდეგ „ინტერში" სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა: სხვადასხვა მიზეზით გუნდიდან წავიდა წამყვან ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი (დავით ოდიკაძე, კახა მჟავანაძე, ალექსანდრ ჩერტოგანოვი, დიმიტრი კრუგლოვი, რობერტას პოშკუსი, ფილიპ დესპოტოვსკი, როვშან ამირასლანოვი); რაც შეეხება შევსებას, ცხადაძე-ჩიხრაძის „დუეტმა" ჯერ „ადგილობრივ სატრანსფერო ბაზარზე" იაქტიურა და თავიანთთვის საჭირო აზერბაიჯანელი ფეხბურთელები დაიმატა. მოგეხსენებათ, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატში ძირითად შემადგენლობაში სამმა ადგილობრივმა მოთამაშემ უნდა იასპარეზოს, ახლო მომავალში კი შესაძლოა, ეს „ლიმიტი" კიდევ უფრო გაიზარდოს და „ინტერის" ხელმძღვანელობამაც თადარიგი წინასწარ დაიჭირა. რაც შეეხება უცხოელ ახალწვეულებს, „ინტერის" მეორე შეკრებაზე რამდენიმე ლეგიონერი გაისინჯა, თუმცა გუნდის დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა; ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ინფორმაციით სეზონის დაწყებამდე „ინტერის" შემადგენლობაში, სულ მცირე, ორი-სამი მაღალი დონის უცხოელი ფეხბურთელი უნდა გამოჩნდეს.

შეკრება ვახსენეთ და ამ ზაფხულს „ინტერს" საკმაოდ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი ჰქონდა. პირველი შეკრება გუნდმა თურქეთში გაიარა: უკრაინულ „მეტალურგს" 4:0 აჯობა (ერთი გოლი ბაჩანა ცხადაძემ გაიტანა), თურქული სუპერლიგის „მერსინთან" 3:3 ითამაშა („დუბლი" ლატვიელმა **გირტს კარლსონმა** შეასრულა, ერთი გოლიც ბაჩანა ცხადაძემ გაიტანა), ბოლო შეხვედრა კი რუსული პრემიერლიგის „ტერეკთან" 1:2 წააგო. „ინტერს" ბევრად უფრო ძლიერი მეტოქეები ჰყავდა მეორე შეკრებაზეც, გუნდმა სლოვენიაში რომ ჩაატარა. ასე მაგალითად, „ანთალია" თურქულ სუპერლიგაში საშუალო დონის კლუბად მიიჩნევა, „ბურსა" კი ქვეყნის ექსჩემპიონია და წინა სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა. სხვათა შორის, „ინტერს" სლოვენიურ შეკრებაზე... იტალიურ გუნდებთან უნდა ჩაეტარებინა საკონტროლო შეხვედრები, მაგრამ ბოლო მომენტში რაღაც შეიცვალა და „პალერმოსთან" და „ლეჩესთან" დაგეგმილი მატჩები არ შედგა. თუმცა, სლოვენიური შეკრების ბოლოს „ინტერს" მაინც „გამოუჩნდა" მეტად და მეტად ძლიერი სპარინგ-პარტნიორი: ინგლისურ პრემიერლიგაში აღზევებული „სუონსი". პირველი ტაიმი თანაბარ აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში ჩატარდა და ნულოვანი ფრით დამთავრდა. აი, შესვენების შემდეგ კი ბრიტანული კლუბის ფეხბურთელთა საშემსრულებლო ოსტატობამ შეხვედრის შედეგზეც იქონია გავლენა: პირველი გოლი „ჩელსის" ყოფილმა ფორვარდმა 23 წლის **სკოტ სინკლერმა** გაიტანა, რასაც მალე **ნათან დაიერის** მეორე გოლი მოჰყვა. გირტს კარლსონმა ანგარიშში სხვაობის შემცირება კი მოახერხა, მაგრამ „ასტონ ვილას" ყოფილი თავდამსხმელის, 25 წლის **ლუკ მურის** ზუსტმა დარტყმამ ამ შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

აქვე, ალბათ, საინტერესო იქნება ორივე გუნდის მწვრთნელთა მატჩისშემდგომი კომენტარები.

**კახა ცხადაძე** („ინტერი"): *„ამ შეკრებაზე ჩვენ შევძელი სპარინგ-პარტნიორებად ისეთი გუნდები აგვერჩია, რომლებთანაც უპრობლემოდ გავიმარჯვებდით დიდი ანგარიშით; თუმცა, ვამჯობინეთ, რომ ჩვენი შესაძლებლობები ისეთ გუნდებთან გამოგვეცადა, როგორებიც „ანთალიასპორი", „ბურსა" და „სუონსია". ჩემთვის სასიამოვნო იყო, რომ „სუონსისთან" მატჩში მეტოქეს არც ერთ კომპონენტში არ ჩამოვრჩით: სისწრაფეში, ტემპში, ბრძოლაში. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ „სუონსიმ" კლასის ხარჯზე გვაჯობა. წაგების მიუხედავად, მთლიანობაში თამაშით კმაყოფილი ვარ".*

**ბრენდან როჯერსი** („სუონსი"): *„ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია „ინტერის" დონის გუნდებთან სპარინგ-მატჩების ჩატარება. საკმაოდ რთული შეხვედრა გამოდგა და მეტოქემ ჩემზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ინტერის" ფეხბურთელები სწორედ ირჩევდნენ პოზიციებს, სწრაფად აზროვნებდნენ და საერთოდაც, ძალიან ბევრ კომპონენტში მხოლოდ და მხოლოდ მოწონებას იმსახურებდნენ. გულწრფელად მინდა, რომ ამ გუნდმა ახალ სეზონში წარმატებებს მიაღწიოს".*

გია გაგოშიძე

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მოსამზადებელი ეტაპი საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | გრუიცა (?), ფოფხაძე (შტურმი, ავსტრია), | თ. ღონღაძე (დინამო) | 7 ივნისიდან - ზესტაფონში<br>21 ივნისიდან - ავსტრიაში<br>სტიაუა (რუმინეთი) 0:1<br>კარპატი (უკრაინა) 0:0<br>ბაზელი (შვეიცარია) 0:4<br>უნ. კლუჟი (რუმინეთი) 3:2<br>7 ივლისიდან - ზესტაფონში<br>სამგურალი 6:0<br>ჩემპიონთა ლიგა<br>დაჩია (მოლდ) 3:0, 0:2<br>შტურმი (ავსტრია) 1:1 |
| მეტალურგი<br>არმაზ ჯელაძე | გ. ჭელიძე (?), დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - ტორპედო), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - დინამო) | ქობალია (ბაია, იჯარით), გ. მიქაბერიძე (სამტრედია), ორბელაძე, დ. ლომაია (ორივე - სიონი), მახვილაძე (კოლხეთი), ტატანაშვილი, ჩადუნელი (ორივე - დინამო), ახვლედიანი (35-ე სკოლა), ი. ბერაია (?) | 4 ივნისიდან - რუსთავში<br>12 ივნისიდან - სლოვენიაში<br>მატერსბურგი (ავსტრია) 1:0<br>კოპერი (სლოვენია) 2:1<br>მარიბორი (სლოვენია) 0:6<br>ევროპის ლიგა<br>ბანანცი (სომხეთი) 1:0, 1:1<br>ირტიში (ყაზახეთი) 1:1, 2:0<br>რენი 2:5 |
| დინამო<br>ალექს გარსია | კ. კაჭარავა (მთ. მწვრთნელი - კლუბის სტრუქტურა), მაროვიჩი (?), იელიჩი (ვოლგა, იჯარა დაუსრულდა), არზიანი (ვოლგა), ტატანაშვილი, ჩადუნელი (ორივე მეტალურგი), ედნილსონი(?), ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია ზარქუა (სამივე - სპარტაკი), თ. ღონღაძე (ზესტაფონი), სიხარულიძე, ოთარიშვილი, (ორივე - ვიტ ჯორჯია), ქანთარია (ჩიხურა), ჯუისი (პოგონი, პოლონეთი) | ა. გარსია (ბარსელონა, მთავარი მწვრთნელი), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - ოლიმპი), ოდიკაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), გრიშიკაშვილი (სპარტაკი), გ. ბერაია (გაბალა, აზერბაიჯანი), ლ. ახალაია (?), ხისკო (ლევანტე, ესპანეთი), კოტო (ანორთოსისი, კვიპროსი), იაგუე (ლეონესა, ესპანეთი), მაჭავარიანი (ტორპედო), შარაშენიძე (დიორი ეტო, უნგრეთი) | 7 ივნისიდან - თბილისი<br>12 ივნისიდან - სლოვენია<br>ზარია (უკრაინა) 0:0<br>კოპერი (სლოვენია) 1:2<br>21 ივნისიდან - ავსტრიაში<br>შტურმი (ავსტრია) 0:0<br>ევროპის ლიგა<br>მილსამი (მოლდ) 2:0, 3:1<br>ლანელი (უელსი) 1:2, 5:0<br>რეიკიავიკი 4:1 |
| ვიტ ჯორჯია<br>ზურაბ ბერიძე | ჭანკვეტაძე (?) | ხუმარაშვილი (სამტრედია), ხუჭუა (გაგრა), ოთარიშვილი, სიხარულიძე (ორივე - დინამო), | 14 ივნისიდან - თბილისში<br>ჩიხურა 0:0, სტუ 0:1,<br>ზოოვეტი 3:0, აეტი 2:0<br>28 ივნისიდან - თურქეთში<br>ბოლუსფორი 3:1, ქარაბუქი (დუბ) 5:1<br>ელაზიგი 0:0 |
| ბაია<br>ელგუჯა ქომეთიანი | ქობალია (ოლიმპი, იჯარით) | გუგუჩია (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა), ლ. აკობია (ულისე, სომხეთი) | 20 ივნისიდან - ზუგდიდში<br>მერცხალი 0:1, მერანი 1:0,<br>სპარტაკი 1:5, დილა 1:1 |
| ტორპედო<br>გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე | გ. გიგატაძე (მთ. მწვრთნელი), მაჭავარიანი (დინამო), გუგუჩია (ბაია, იჯარა დაუმთავრდა), კემუხტაშვილი, ბაკურაძე (ორივე, ჩიხურა), ქებაძე (კოლხეთი) | გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე (მთ. მწვრთნელები), მანჩხავა (სპარტაკი) დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - მეტალურგი), ც. ხარაბაძე (ჩხერიმელა), ჩხარტიშვილი | 15 ივნისიდან - ქუთაისში<br>24 ივნისიდან - ურეკში<br>მერცხალი 7:0, გურია 7:1<br>ბათუმი 0:0, მერანი 1:0, ჩიხურა 0:0<br>22 ივლისიდან - სლოვენიაში<br>ჰაპოელი 1:0 |
| სიონი<br>? | დ. ლომაია, ორბელაძე (ორივე - ოლიმპი), შალამბერიძე, რ. ჯიქია (ორივე სპარტაკი), ჩირიკაშვილი (ქსამაქსი, შვეიცარიამერლანი (დილა), ლ. ნოზაძე, ნ. კვასხვაძე, გ, მელქაძე (სამივე ჩიხურა), გოგობერიშვილი (თურანი, აზერბაიჯანი), ბობლიაშვილი (კოლხეთი) | — | 23 ივლისიდან - ბოლნისში |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | ძაგანია (სპარტაკი), სიჭინავა (გაგრა), სამადაშვილი (მარტვილი) | ნადირაშვილი (გაგრა), ცხადაია, ჯინჭარაძე, ლომაშვილი (სამივე სამტრედია), თედიაშვილი (დილა), ჭკადუა (?), შავგულიძე (?), ბობლიაშვილი (სიონი), ქებაძე (ტორპედო) | 1 ივლისიდან - ფოთში<br>მერცხალი 3:0, ბათუმი 1:0,<br>გურია 2:1 |
| გაგრა<br>ანატოლი პისკოვეცი | ნადირაშვილი (კოლხეთი) | ხუბუა (?), სიჭინავა (კოლხეთი), ბეგაშვილი (ჩიხურა) | 17 ივნისიდან - თბილისში<br>უგუნდოების ნაკრები 2:0<br>უგუნდოების ნაკრები 1:0<br>უგუნდოების ნაკრები 4:1<br>სპარტაკის დუბლები 7:0<br>სპარტაკი 0:1<br>7 ივლისიდან - კვიპროსზე<br>ევროპის ლიგა<br>ანორთოსისი (კვიპრ.) 0:3, 2:0 |
| სპარტაკი<br>ბადრი კვარაცხელია | გრიშიკაშვილი (დინამო), მ. ბარაბაძე (?), ვ. ბოლქვაძე (?), ჯაკობია (ზაკარპატიე, უკრაინა), ხომერიკი (?), მგელაძე (?), მანჩხავა (ტორპედო), ჭაფოძე (?), დ. ლობჟანიძე (?), უგრეხელიძე (?), | ჯიქია, შალამბერიძე (ორივე - სიონი), ზარქუა (დინამო, იჯარით), ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია (ორივე, დინამო), ძაგანია (კოლხეთი), ლობჯანიძე (?) | 15 ივნისიდან - თბილისში<br>20 ივნისიდან - ბაკურიანში<br>1 ივლისიდან - თბილისში<br>გაგრა 1:0, ჩიხურა 2:0, სტუ 3:1,<br>ბაია 5:1, ბათუმი 1:2, სქური 3:0, |
| დილა<br>გია ცეცაძე | ცნობილაძე (?), თედიაშვილი (?) | გ. თოდუა (მარტვილი), დ. ჩაგელიშვილი (ჩიხურა), გველესიანი (კოლხეთი), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ორივე როვანიემი, ფინეთი, ლ. ჩაგელიშვილი | 15 ივნისიდან - გორში<br>სტუ 4:2<br>16 ივლისიდან - შეკვეთილში<br>ბაია 1:1 |
| მარტვილი<br>მალხაზ ჟვანია | გ. თოდუა (დილა) | თ. შალიკაშვილი (სამტრედია), ე. გრიგალაშვილი, მანწკავა (ორივე - ბათუმი), გ. შენგელია (?), ქამუშაძე (ჩიხურა), სამადაშვილი (კოლხეთი) | 20 ივნისიდან - ბაკურიანში<br>ბაია 0:1, ტორპედო 0:1<br>20 ივლისიდან - თურქეთში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ სიტი

# სიძე მანჩესტერში






„მანჩესტერ სიტიმ“ რეკორდი მოხსნა. ამიერიდან ფეხბურთელი, ვის გამოც ისტლენდელებმა ყველაზე დიდი ფული დახარჯეს, **დიეგო მარადონას** 23 წლის სიძე, არგენტინელი **სერხიო** იგივე **კუნ აგუერო** იქნება. აგუერო მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობდა. ისტლენდელებმა მადრიდელებს მის სანაცვლოდ 35 მილიონი ფუნტი აღუთქვეს, რასაც ჩვეულებრივი „კუდები“ მოჰყვება და თანხა, ჯამში, 38 მილიონ ფუნტამდე ადის, რაც ევროებში 43 მილიონია. კუნის ხელფასი კვირაში 220 ათასი ფუნტის ტოლი იქნება. კონტრაქტი ხუთწლიანია, ასე რომ, რა თანხა წავა „ეტიჰედ სთედიუმიდან“ ამ თავდამსხმელის გამო, შეგიძლიათ მარტივად იანგარიშოთ.

აგუერო მანჩესტერში ოთხშაბათს დილით ჩაფრინდა. მან შვებულება შეიმოკლა - ოჯახთან ერთად სამშობლოში ისვენებდა. ცნობილია, რომ არგენტინელი „სიტიში“ 16-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

„ეტიჰედ სთედიუმზე“ მისვლის შემდეგ აგუეროს სამსაათიანი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და მხოლოდ ამის შემდეგ დასვეს პირადი საკითხების შესათანხმებლად. ისტლენდზე მას ასობით აღფრთოვანებული გულშემატკივარი დახვდა. ვარსკვლავს გარკვეული დრო ავტოგრაფების დარიგებაშიც დაეხარჯა.

ყველაფერი რომ დასრულდა, აგუერომ ახალ გუნდში გადასვლის ამბავი „ტვიტერით“ გამოაცხადა, არადა, მანჩესტერულ კლუბს ოფიციალურად ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდა ნათქვამი. კუნმა დაწერა: *„მე უკვე „სიტის“ ფეხბურთელი ვარ. მიხარია, ამ კლუბსა და ქალაქში რომ მოვხვდი. მანჩესტერელებო, დიდი მადლობა გულთბილი მიღებისთვის“.*

ამრიგად, დიდი დიეგოს სიძე კარიერის ახალი ეტაპისთვის ემზადება, „მანჩესტერ სიტი“ კი ფიქრობს, ჩართოს თუ არა აგუერო იმ შემადგენლობაში, დუბლინში, ამხანაგური ტურნირის სათამაშოდ რომ მიემგზავრება.

თავად ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ ინგლისური ფეხბურთის სამყარო მისთვის უხერხული და შეუთავსებელი არ აღმოჩნდება. მან ესპანურ „ლა ლიგაში“ ხუთ წელიწადში ასზე მეტი გოლი გაიტანა — საშუალოდ, ყოველ ორ შეხვედრაში ერთი გოლი გამოუვიდა. კუნი ამბობს, რომ ინგლისური ფეხბურთის თავისებურებებზე ძალიან ბევრი ელაპარაკა **ხავიერ მასკერანოს**, რომელიც, მოგეხსენებათ, არგენტინის ნაკრებში მისი თანაგუნდელია და სამი წლის განმავლობაში „ლივერპულში“ თამაშობდა.

*„მასკერანოსთან, როგორც ჩემპიონთა ლიგაზე ასევე პრემიერლიგაზე, ძალიან ბევრი მაქვს ნალაპარაკები — თქვა აგუერომ — თავდამსხმელებზე კი ასე გეტყოდით: რაც მე ინგლისის პირველობას ვუყურებ, საუკეთესო თავდამსხმელი დიდიე დროგბაა და ფერნანდო ტორესიც სადღაც იქვეა“.*

სერხიო აგუეროს „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლა, სავარაუდოდ, იმავე გუნდიდან მისი თანამემამულის, 27 წლის **კარლოს ტევესის** წასვლას ნიშნავს. ტევესი, მოგეხსენებათ, ისტლენდელთა კაპიტანი იყო. ამბობენ, რომ ის „ინტერში“ დაიდებს ბინას.

ზემოთ დუბლინის ტურნირი ვახსენეთ. ამ ტურნირში „სიტისთან“ ერთად, სწორედ „ინტერი“ მონაწილეობს. დუბლინის ტურნირზე გამოვა „სელტიკიც“. მანჩესტერელებმა 28-კაციან განაცხადში ჯერჯერობით მხოლოდ 27 მოთამაშე ჩაწერეს. **რობერტო მანჩინის** სიაში ორი თავდამსხმელი ჰყავს: **მარიო ბალოტელი** და **ედინ ჯეკო**.

აგუეროს კი „ატლეტიკოდან“ მწვრთნელის, **გრეგორიო მანსანოს** უკმაყოფილო კომენტარი გამოჰყვა:

*„კუნს შეეძლო გაცილებით პროფესიულად, ფრთხილად და ღირსეულად გადასულიყო სხვა გუნდში. ახლა ჩემს ფეხბურთელებს უნდა ვუთხრა, რომ აგუეროს ისტორიას საერთოდ აღარ მიაქციონ ყურადღება და მთლიანად ევროლიგის შეხვედრაზე გადაიტანონ ფიქრი. კუნის მხრიდან კი გაცილებით ნორმალური საქციელი იქნებოდა ერთი წუთით მაინც დაფიქრებულიყო, მისი როგორი ქცევა არგებდა „ატლეტიკოს“ და როგორი - არა“.*

● ინგლისის ნაკრები

# ინგლისელებს სიკვდილის ჯგუფი

შაბათს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრაა, რომელმაც ინგლისის ნაკრები შესაძლოა „სიკვდილის“ ჯგუფში გაამწესოს. უარეს შემთხვევაში ინგლისელთა ჯგუფი ასეთი იქნება: საფრანგეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ფინეთი და უელსი.

ინგლისი, ევროპულ გუნდთა შორის მეოთხე, პლანეტაზე კი მეექვსე, პირველ კალათაში იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისელები ვერ შეხვდებიან ესპანეთს, ჰოლანდიას, გერმანიას, პორტუგალიას, იტალიას, ხორვატიას, ნორვეგიას და საბერძნეთს. სამაგიეროდ, საფრანგეთია „თავისუფალი“. რატომ? იმიტომ, რომ ფრანგები დაეცნენ — რეიტინგში მე-15 ადგილზე არიან და მეორე კალათაში ამოყვეს თავი.

მართალია, ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** გაისად სამსახურიდან წავა და 2014-ის შესარჩევი ტურნირისთვის გუნდს სხვა მწვრთნელი მოამზადებს, იტალიელი ბრაზილიაში კენჭისყრას მაინც დაესწრება.



● რასიზმი

# იოსი შეურაცხყვეს

განრისხებულმა „ჩელსიმ“ მალაიზიის ფეხბურთის ასოციაციას პროტესტით მიმართა: ადგილობრივმა გულშემატკივარმა „ლურჯების“ ებრაელი ვარსკვლავი, **იოსი ბენაიუნი** შეურაცხყო. ეს ამბავი კუალა ლუმპურში, დასავლეთლონდონელებისა და „მალაიზია XI“-ის ამხანაგური შეხვედრის დროს მოხდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ არ იჩივლა ინგლისურმა გუნდმა დაუყოვნებლივ? ამ კითხვაზე „ჩელსის“ ხელმძღვანელები ასე პასუხობენ: მაშინ ჯერ ზუსტად არ იცოდნენ, რა იყო მაყურებლის ასეთი ქცევის მიზეზი. დღეს, როდესაც კლუბის წარმომადგენლებმა მალაიზიაში მცხოვრებ „ჩელსის“ გულშემატკივრებს ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხეს, მიზეზები გარკვეულია:

„ჩელსის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია: *„ვადასტურებთ, რომ მალაიზიის ფეხბურთის ასოციაციას ოფიციალური საჩივრით მივმართეთ. ამის მიზეზი გასულ სამშაბათს გამართული შეხვედრის დროს ჩვენი ფეხბურთელის იოსი ბენაიუნის მიმართ მაყურებლის ქცევა გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნაზე მსხდომთა უმეტესობა წესიერად იქცეოდა, გულშემატკივრის გარკვეულმა ნაწილმა ანტისემიტური განწყობა გამოავლინა და იოსი შეურაცხყო. ასეთი რამ დაუშვებელია. მსგავს ქცევას ფეხბურთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.*

*„ჩელსიმ“ საჩივარი დაუყოვნებლივ იმიტომ არ შეიტანა, რომ თავდაპირველად მაყურებლის ქცევის ბუნება არ იყო ცნობილი. იმ შეხვედრაში, დაახლოებით მსგავსი რეაქცია, ტრიბუნებს როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის რამდენიმე ფეხბურთელის დანახვაზე ჰქონდათ. ზოგ შემთხვევაში ეს რეაქცია უფრო ხმამაღალი და ხანგრძლივი იყო, ზოგ შემთხვევაში კი ხანმოკლე. როდესაც დრო გავიდა და კლუბმა მაყურებლის ქცევის მიზეზები გამოიკვლია, აშკარა გახდა, რომ „ჩელსი“ ვალდებულია საქმეს ოფიციალური მსვლელობა მისცეს.*

*ზოგადად, ჩვენი მალაიზიური ტურნე ძალიან სასარგებლო გამოდგა, თუმცა სამწუხაროა, რომ ზოგიერთი გულშემატკივრის ქცევამ ცუდი მოგონებებიც გამოიწვია“.*

● ბლექბერნი

# სამბას მოულოდნელი სამბა

**კრის სამბამ** „ბლექბერნის“ უფროსობა გააოცა, „არსენალში“ გაშვება სთხოვა. „როვერსის“ 27 წლის კაპიტანმა თქვა:

*„მინდა ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშო. განა, არის ამქვეყნად ფეხბურთელი, ამაზე რომ არ ოცნებობდეს“?*

არადა, 193 სანტიმეტრი სიმაღლის ფრანგმა „ივუდ პარკზე“ ახალ ხუთწლიან კონტრაქტს სულ რამდენიმე თვის წინ მოაწერა ხელი.

*„მოთამაშეს, რომელიც უმაღლეს დონეზე გამოსვლას არ ეშურება, პროფესიად ფეხბურთელობა არ უნდა აერჩია. ამბობენ, რომ „არსენალს“ პრობლემები აქვს. არ ვიცი, რა ხდება ამ გუნდში, რადგან იქ არ ვთამაშობ და ჩრდილოლონდონელთა პრობლემებსაც არ ვიცნობ. ჯერჯერობით, „ბლექბერნის“ ფეხბურთელი ვარ, მაგრამ, რომ გითხრათ, აქ დარჩენაზე ვოცნებობ და ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ მინდა-თქო, მატყუარა ვიქნები.*

*ვერც იმას გეტყვით, რას გეგმავენ „ბლექბერნის“ მეპატრონეები და მწვრთნელები. არ ვიცი, როგორ აპირებენ შემადგენლობის გაძლიერებას. ერთი სიტყვით, ამწუთას მოვლენათა განვითარებას ველოდები და ახალი სეზონისთვის ვემზადები“* — ამბობს მცველი.



კრის სამბა

ცნობილია, რომ „მეთოფეების“ თავკაცი, **არსენ ვენგერი** კრის სამბას ყიდვას ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილავდა, თუმცა ვერა და ვერ გადაეწყვიტა, შეეთავაზებინა თუ არა „ბლექბერნისთვის“ ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონი ფუნტი. საბოლოოდ, ვენგერმა ნაბიჯი არ გადადგა და კლუბებს შორის არც ვაჭრობა გამართულა.

მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ჩემპიონატი 13 აგვისტოს იწყება, „არსენალს“ კი დაცვა აქვს გასაძლიერებელი. პრესა წერს, რომ „მეთოფეთა“ სამიზნეზე კიდევ ერთი მცველი, 28 წლის ევერტონელი **ფილ ჯეგიელკაა**, რომლის სანაცვლოდაც ვენგერს თავიდან 10 მილიონი ფუნტი ემეტებოდა, მაგრამ ინგლისის ნაკრების მოთამაშის ამ თანხად გაყიდვაზე ლივერპულის გუნდმა უარი თქვა. გამოდის, რომ საქმე ჩაიშალა? შესაძლოა ასეც იყოს, თუმცა იმასაც წერენ, რომ „მეთოფეთა“ თავკაცმა შესაძლოა „ევერტონს“ ახალი წინადადებით მიმართოს. ამბობენ, რომ ვენგერი პირველად შეთავაზებულ თანხას 5 მილიონ ფუნტს დაამატებს. თურმე, „მეთოფეთა“ ფრანგ მწვრთნელს მიაჩნია, რომ სამბასა და ჯეგიელკას წყვილი მისი გუნდის დაცვის ცენტრში არსებულ პრობლემებს მოაგვარებს.

● ბირმინგემი

# თავს უშველეთ!



კერსონ იეუნგი

დღეს „ბირმინგემ სიტის“ ყველა ფეხბურთელი ახალი გუნდის მოძებნას ცდილობს. მიზეზი: „სიტი“ საშინელ ფინანსურ კრიზისშია. კლუბი შესაძლოა გაკოტრებულად გამოაცხადონ და სამართავად ადმინისტრატორებს გადასცენ. „ბირმინგემიდან“ გაქცევას ცდილობენ **ბენ ფოსტერი, სკოტ დანი, კემერონ ჯერომი, ლაიამ რიჯუელი** და **ნიკოლა ჟიგიჩი**. საქმე ის გახლავთ, რომ კლუბის მეპატრონეს, ჰონკონგელ **კერსონ იეუნგს** ანგარიშები გაუყინეს.

იეუნგის საქმე სასამართლოშია. შემდეგი სხდომა აგვისტოში გაიმართება, მანამდე კი „ბირმინგემ სიტი“ შავ დღეშია და ჰონკონგის სასამართლოს ვერ დაელოდება. კლუბმა გადაწყვიტა გამოსავალი თავად ნახოს და ცდილობს რამენაირად ფული იშოვოს. ფულის შოვნის საუკეთესო გამოსავალი კი, ფეხბურთის კლუბისთვის, რასაკვირველია, ფეხბურთელების გაყიდვაა. „სიტიმ“ უკვე გაყიდა მცველი **როჯერ ჯონსონი** და ნახევარმცველი **კრეიგ გარდნერი**. ახლა მეკარე ფოსტერის ჯერია, რომელსაც ბირმინგემელები „ვესტ ბრომვიჩში“ აქირავებენ. თავდამსხმელი ჯერომის გადაბირებით „სტოკ სიტია“ დაინტერესებული, მცველი დანი კი შეიძლება „ლივერპულმა“ წაიყვანოს.

დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ „ბირმინგემ სიტიმ“ კლუბის მუშაობისთვის საკმარისი ფული შესაძლოა ვერც ფეხბურთელების გაყიდვით იშოვოს და, მაშინ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ის ადმინისტრატორებს გადაეცემა. ხოლო, რა ხდება ასეთ შემთხვევებში, ყველას კარგად გეხსომებათ: გუნდებს ცხრილში 10 ქულა აკლდებათ. შესაბამისად, საბრალო „სიტი“ ახალ სეზონს „ჩემპიონშიპში“ მინუს ათი ქულით დაიწყებს.

ფეხბურთელებთან დაახლოებულმა მავანმა პიროვნებამ გაზეთ „სანს“ უთხრა:

*„კლუბის ფინანსური მდგომარეობა ხელს აძლევს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ისედაც აპირებდნენ „ბირმინგემ სიტიდან“ წასვლას. ახლა მათი საქმე დაჩქარდება. რაც შეეხება დანარჩენებს, მათი საქმე აშკარად ცუდად არის. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კლუბი ადმინისტრატორების ხელში გადავა, რაც ყველასთვის ძალიან ცუდი იქნება“.*

ადვილი მისახვედრია, რომ მეტოქე კლუბები შეეცდებიან, რაც შეიძლება იაფად იყიდონ ის მოთამაშეები, რომლებიც სეზონის ბოლოს შესაძლოა 14-15 მილიონი ფუნტიც კი ღირდნენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ბაიერნი. სატრანსფერო გეგმები

# შესრულებადი მისია: შაქირი 2012

## ბაზელთან მოლაპარაკებები დაწყებულია



შერდან შაქირი

შვეიცარიული და გერმანული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, მიუნხენის „ბაიერნმა“ ახალგაზრდა შვეიცარიელ ვარსკვლავ **შერდან შაქირის** დაადგა თვალი. გაზეთი „ბლიკი“ წერს, საქმე იმდენად შორსაა წასული, რომ რეკორდმაისტერსა და „ბაზელს“ შორის პირველი მოლაპარაკება უკვე გაიმართაო. ცხადია, ეს თემა გერმანულმა პრესამაც მაშინვე აიტაცა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩვენმა შვეიცარიელმა კოლეგებმა გასულ უქმეებზე, „ბაზელისა“ და „ქსამაქსის“ მატჩის დროს, ტრიბუნაზე მიუნხენური გრანდის მეორე მწვრთნელი **ჰერმან გერლანდი** შეამჩნიეს. „ბლიკი“ ირწმუნება, რომ „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდის დამრიგებელი და მთავარ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესის** ასისტენტი იქ სწორედ შაქირის სანახავად იმყოფებოდა. ალსანიშნავია, რომ „ბაიერნი“ ამ ფეხბურთელით დიდი ხანია, დაინტერესებულია.

*„ვიცით, რომ „ბაზელისა“ და „ქსამაქსის“ მატჩს „ბაიერნის“ და სხვა ტოპკლუბების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ,* - ეს სიტყვები „ბაზელის“ ვიცე-პრეზიდენტ **ბერნჰარდ ჰოისლერს** ეკუთვნის, რომელიც იქვე დასძენს, - *თუმცა დასამალი არაფერია: ჩვენ „ბაიერნთან“ ბევრ საკითხზე ვთანამშრომლობთ და მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებთან კონტაქტი მუდმივად გვაქვს.“*

შვეიცარიელი გრანდის ბოსებს არაერთხელ აქვთ ნათქვამი, შაქირის გასხვისება ჩვენს გეგმებში არ შედისო, მაგრამ ყოველთვის ალიარებენ, რომ უნიჭიერესი მოთამაშის შენარჩუნება გაუჭირდებათ, რადგან „ბაზელი“ არ არის ისეთი გუნდი, სადაც დიდი ნიჭის მქონე ფეხბურთელი დიდხანს დარჩება.

### აფსუს ხედირა...

შაქირის გარშემო გავრცელებულ ცნობებს ისიც დაემატა, რომ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** განაცხადა, მომხრე ვარ, რომ მომავალში ტრანსფერებში კიდევ ბევრი ფული დავხარჯოთო. *„ისე გამოდის, რომ „ბაიერნი“ ტრანსფერებში ბევრ ფულს მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ ხარჯავს ხოლმე. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეს არასწორია, რადგან შესაბამისად, გერმანიის ჩემპიონებიც მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ ვხდებით ხოლმე,* - ამბობს ული გაზეთ „ჰანდელსბლატისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და ერთი წლის წინანდელი მაგალითიც მოჰყავს, - *დასამალი არაფერია: შარშან, ლუის ვან გაალს რაფინია და სამი ხედირა შევთავაზეთ, მაგრამ, გვითხრა, ახალი მოთამაშეები არ მჭირდებაო. არადა, გუნდისთვის „ახალი სისხლის გადასხმა“ ყოველ ზაფხულს საჭიროა. ხომ ხედავთ, რაფინია მაინც ვიყიდეთ, რადგან ძალიან გვჭირდებოდა. რაც შეეხება ხედირას, ძალიან ვნანობ, ვან გაალის უარს რომ დავეთანხმე და სამი რომ არ ვიყიდე. ახლა ის უკვე „რეალშია“, ჩვენ კი უმაღლესი კლასის ახალგაზრდა საყრდენი ნახევარმცველი დავკარგეთ.“*

ახლა კი, იმის გამო, რომ „ბაიერნის“ ფინანსური მდგომარეობა იდეალურია, რასაც ჰიონესიც ადასტურებს, რეკორდმაისტერი ფულის დაზოგვას აღარ აპირებს. თუმცა ული იმასაც ამბობს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფლანგვას დავიწყებთო.

### შაქირი რომასაც უნდა

დავუბრუნდეთ შაქირის: 19 წლის შემტევ ნახევარმცველს „რომაშიც“ ეპატიჟებიან. უფრო სწორად, „ჯალოროსის“ თემა დაინტერესებას არ გასცდენია, „ბლიკი“ კი წერს, რომ „ბაიერნსა“ და „ბაზელს“ შორის უკვე პირველი მოლაპარაკება შედგა. ზოგადად, რეკორდმაისტერი ამ ფეხბურთელით ორი წელია დაინტერესებულია და თუ აქამდე ტრანსფერს სერიოზულად არ მიხედეს, მხოლოდ იმიტომ, რომ შერდანი ძალიან ახალგაზრდა იყო. ახლა კი, უკვე საკმაო გამოცდილებაც დაუგროვდა და შეიძლება ითქვას, რომ კარიერაში სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად მზადაა. შაქირის აგენტი **ფრანკო მორეტი** ამბობს, რომიდან არავინ შემხმიანებიაო – შერდანს „ბაზელთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და რეგულარდულად იმეორებს, აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობო. თუმცა ცხადია, რომ რომელიმე სუპერგრანდში გადასვლაზე უარს არ იტყოდა – მით უმეტეს „ბაიერნში“, რადგან შვეიცარიის ნაკრებში მისი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდია...**

### ტრანსფერი გაისად თუ ახლავე?

„ბლიკის“ ინფორმაციით, „ბაიერნი“ შაქირიზე სერიოზულად საგაისოდ ფიქრობს. მიუნხენური კლუბის ბოსებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესია, შერდანი „ბაზელში“ კიდევ ერთი წელი დარჩეს და უფრო მეტი გამოცდილება მიიღოს. ორი კვირის წინ, კოსოვოში დაბადებული ფეხბურთელი ამბობდა: *„მართალია, „ბაზელში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ ცხადია, რომ სამუდამოდ აქ დარჩენას ვერავის შევპირდები. იმედია, გულშემატკივრები გამიგებენ.“*

შერდან შაქირის შვეიცარიის ჩემპიონატში 61 მატჩი აქვს ჩატარებული (9 გოლი), შვეიცარიის ნაკრების ფორმით გამართულ 11 შეხვედრაში კი ერთხელ იხეირა. შერდანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზეც ასპარეზობდა, თუმცა მხოლოდ ჯოკრის როლში და ჰიტცფელდმა ის ერთხელ ათამაშა. სამაგიეროდ, უკვე წლებია, რაც 19 წლის ფეხბურთელი შვეიცარიის 21-წლამდელთა ნაკრების ლიდერია.

ჰოფენჰაიმი

# ზიმბაბვედან გერმანიის სოფელში

## ჰოფენჰაიმმა ახალგაზრდა მუსონა იყიდა



მუსონა

„ჰოფენჰაიმმა“ სამხრეთაფრიკული გრანდიდან, „კაიზერ ჩიფსიდან“ 21 წლის თავდამსხმელი, **ნოულეჯ მუსონა** დაიმატა. გვესმის, რომ მისი სახელი და გვარი არაფერს გეუბნებათ, მაგრამ ეს უკანასკნელი ხელწამოსაკრავი მოთამაშე არ არის: ზიმბაბვეს ნაკრების ფეხბურთელია და 2010 წელს სამხრეთ აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გასულ სეზონში კი, ნიჭიერმა ფორვარდმა პრემიერ სოკერ ლიგაში 15 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

*„ჩვენ მას დიდი ხანია, ვაკვირდებით და არ გვიკვირს, როგორც კლუბში, ისე ნაკრებშიც, უდიდესი პროგრესი რომ განიცადა. მოსამზადებელ შეკრებაზე იმიტომ წავიყვანეთ, რომ მის შესაძლებლობებსა და სიმწიფეში საბოლოოდ დავრწმუნებულიყავით. მუსონამ ყველა გაგვაოცა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი სახით წინა ხაზი სერიოზულად გავაძლიერეთ,“* - აცხადებს „ჰოფეს“ მენეჯერი **ერნსტ ტანერი**.

მუსონამ, რომელიც „სოფლელებს“ 1.5 მილიონი ევრო დაუჯდათ, „ჰოფენჰაიმთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ალსანიშნავია, რომ გუნდის მფლობელი, 71 წლის მეცენატი **დიტმარ ჰოპი** ძვირად ღირებული ფეხბურთელების ყიდვას აღარ აპირებს. წლების მანძილზე მან „ჰოფენჰაიმს“ დიდი ფული დაახარჯა, ახლა კი კლუბის მენეჯერებს ეკონომიურობისკენ მოუწოდა. თვითონ განსაჯეთ: „ჰოფემ“ წელს ტრანსფერებში მხოლოდ 3 მილიონი დახარჯა – შეიძინა რა 22 წლის **სვენ შიპლოხი. დენის თომალა** „სოფლელებმა“ მეორე გუნდიდან აიყვანეს, თავდამსხმელები **პრინს ტაგო** და **ველინგტონი** კი განათხოვრებულები იყვნენ. ჰოფენჰაიმელთა ახალი მთავარი მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი** მუსონას ტრანსფერით კმაყოფილია და მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

### იბიშევიჩი დაშავდა

ითამაშებს თუ არა მუსონა „ჰოფეს“ ძირითად შემადგენლობაში, ამაზე მსჯელობა ახლა ძნელია. სასტარტოში ამ ეტაპზე ადგილები გარანტირებული აქვთ **ჩინედუ ობასი ოგბუკეს** (მარჯვენა გარემარბი), **ვედად იბიშევიჩს** (ცენტრფორვარდი) და **რაიან ბაბელს** (მარცხენა გარემარბი). ფლანგებისთვის სტანისლავსკის კიდევ ორი ძალიან კარგი ფეხბურთელი ჰყავს – **პენიელ მლაპა** და **რობერტო ფირმინიო**.

კვირას, „ჰოფენჰაიმი“ გერმანიის თასის პირველ ეტაპზე „გერმანია ვინდეკს“ ხვდება და ამ მატჩში სტანისლავსკი იბიშევიჩს დისკვალიფიკაციის გამო ვერ გამოიყენებს, თუმცა ბოსნიელი გოლეადორი დისკვალიფიცირებულიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ვერ ითამაშებდა, რადგან ტრავმირებულია. ვედო გუშინდელ ვარჯიშზე დაშავდა და „ჰოფეს“ სამედიცინო შტაბის ცნობით, ლაზარეთში 3-4 კვირას გაატარებს. იბიშევიჩის არყოფნა კი პირველ რიგში არა მუსონას, არამედ შიპლოხის შანსია...

ვერდერი

# გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: ნალდო ჯანზეა!

## პისაროც, ექიჩიც... მერტე და პრიოდლიც მალე გამოჯანმრთელდებიან...

ოთხშაბათს საღამოს, ბრემენის „ვერდერის“ გულშემატკივრები ცხადად ხედავდნენ, მაგრამ მაინც ვერ იჯერებდნენ იმას, რომ მათ საყვარელ გუნდთან ერთად, ბრაზილიელი მცველი **ნალდოც** ვარჯიშობდა - „მუსიკოსების“ დაცვის ბურჯს უმძიმესი ტრავმის გამო ხომ ზუსტად ერთი წელი გაუცდა. „ვერდერის“ მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** კი ნალდოს სულაც ახალწვეულს უწოდებს.

*„დღეს ნალდომ ჯოჯოხეთურად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად ივარჯიშა, რაც ძალიან კარგია, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესია ის, რომ უკვე მივხვდი, ფორმის აღსადგენად დიდი დრო არ დასჭირდება. ნალდო ახალწვეულივითაა – იმდენად დიდხანს გვაკლდა, რომ მისი არსებობა ბევრს ალბათ გადაავიწყდა კიდეც,“* - განაცხადა ვარჯიშის შემდეგ ბედნიერმა შააფმა.

*„დღევანდელი ვარჯიშით უდიდესი სიამოვნება მივიღე. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ფიზმომზადების მწვრთნელმა მითხრა, რომ კარგ კონდიციაში ვარ,“* - ეს კი თვითონ 28 წლის ბრაზილიელი მცველის სიტყვებია.

მოკლედ, შააფმა შვებით ამოისუნთქა და სხვათა შორის, არა მარტო ნალდოს გამო – ბრემენული კლუბის ლაზარეთიდან სხვა კარგი ამბებიც მოდის. გამოჯანმრთელდნენ და ვარჯიში განაახლეს ახალწვეულმა **მეჰმეთ ექიჩიმ** და **კლაუდიო პისარომაც**. ნალდოს მეწყვილე და „ვერდერის“ დაცვის მეორე ბურჯი **პერ მერტეზაკერიც** მალე გამოჯანმრთელდება – იგივე ეხება კიდევ ერთ მცველ **სებასტიან პრიოდლსაც**. თუმცა ხვალ, გერმანიის თასის პირველ ეტაპზე, „ჰაიდენჰაიმთან“, ამ ფეხბურთელებიდან მხოლოდ ექიჩი ითამაშებს.



ნალდომ უმძიმესი ტრავმა ბოლოს და ბოლოს მოიშუშა

შალკე

# პროფესორს აუჯანყდნენ

## ორნი აფეთქდნენ, სადამდე მოითმენს რაული?

დიდი ხანია, „შალკეზე“ ასეთი რამ არ დაგვიწერია და აი, ისევ: გელზენკირხენულ კლუბში კვლავ დენთის სუნი დატრიალდა. ორმა ფეხბურთელმა მთავარ მწვრთნელ **რალფ რანგნიკს** შეუტია. სამშაბათს, „დუისბურგთან“ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც „შალკემ“ 1:2 წააგო, „პროფესორმა რალფმა“ მეორე შემადგენლობა, ისეთი ფეხბურთელები ათამაშა, რომლებსაც ძირითადში მოხვედრის შანსი არ აქვთ. პრობლემა კი ის არის, რომ „დუისბურგთან“ საყრდენმა ნახევარმცველმა **პეერ კლუგემ** მთელი 90 წუთი ითამაშა. არადა, გასულ სეზონში 30 წლის კლუგე „შალკეს“ სასტარტოში მუდმივად თამაშობდა. შესაბამისად, გასაკვირი სულაც არ არის ის, რომ სათადარიგოთა სკამის ხეხვის პერსპექტივა არ ხიბლავს.

*„ამას ვერ მივიღებ, სკამზე ჯდომას არ ვაპირებ. მეორე გუნდთან ერთად თამაში ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს ძალიან ცუდად მენიშნა. მას მერე, რაც „შალკეში“ ვთამაშობ, თავს არ ვზოგავ და ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. შვებულებიდან ძალიან კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფი დავბრუნდი, რაც ფიზმომზადების მწვრთნელმაც აღნიშნა, მწვრთნელს კი აბსოლუტურად არაფერი უთქვამს, ისე მათამაშა მეორე გუნდში,* - უკმაყოფილოა კლუგე, - *დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ. თუ ასე არ მოხდა, მწვრთნელს აუცილებლად დაველაპარაკები.“*

კლუგესთან ერთად, უკმაყოფილოა მეკარე **მათიას შობერიც**, რომელიც გასულ სეზონში მეორე კიპერი გახლდათ, ახლა კი მესამე კიპერობის საფრთხე ემუქრება. *„გერმანიის სუპერთასზე, „დორტმუნდთან“ განაცხადშიც კი არ ვიყავი, რაც სტადიონზე წასვლამდე ნახევარი საათით ადრე შევიტყვე. ჩემთვის არავის უთქვამს, მესამე მეკარე ხარო... რანგნიკზე ძალიან ნაწყენი ვარ და მიმაჩნია, რომ „შალკეს“ არც ერთი მეკარე არ მჯობია,“* - აცხადებს 35 წლის შობერი.

ამასობაში, რანგნიკის მიერ პირველ მეკარედ აღიარებული **რალფ ფერმანი** დაშავდა და გადაწყვეტილია, რომ კვირას, გერმანიის თასის პირველ ეტაპზე (მეშვიდე ლიგის წარმომადგენელ „ტენინგენთან“) ვერ ითამაშებს. ასე რომ, რალფმა კარში ან შობერი უნდა ჩააყენოს, ანაც **ლარს უნერშტალი**.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კლუგესა და შობერის გამოხდომებზე კომენტარი თვითონ რანგნიკსაც გააკეთებინეს, რომელმაც თქვა: *„ეს აბსოლუტურად ლოგიკური განცხადებებია და მე ორივესი კარგად მესმის. ჯერჯერობით ასე გადავწყვიტე და გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. შეიცვლება თუ არა რამე, ეს უკვე მხოლოდ ფეხბურთელებზე და მათ მონდომებაზეა დამოკიდებული.“*

ჩვენი გერმანელი კოლეგები ეჭვობენ, რომ რანგნიკს სულ მალე **რაულიც** აუჯანყდება. 34 წლის ესპანელი გოლეადორი (19 გოლი გასულ სეზონში) იმითაა უკმაყოფილო, რომ „პროფესორი რალფი“ მას ნახევარდაცვაში, კერძოდ, გამთამაშებლის პოზიციაზე გადაყვანას უპირებს, თვითონ რაულს კი ძველებურად თავდამსხმელის პოზიციაზე თამაში უნდა. ვარჯიშებზე ვეტერან ესპანელს სიბრაზე აშკარად ეტყობა, ინტერვიუებზე კი უარს ამბობს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## იტალია. სერია A. კალენდარი

# როგორც იქნა, კალენდარი იტალიაში შეადგინეს

## მაგრამ, ვაი ასეთ შედგენას...

ნამდვილად არ გვიკვირს, რომ ევროპის ტოპ საფეხბურთო ქვეყნებიდან ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი ბოლოს იტალიაში შეადგინეს. არც ისაა გასაკვირი, რომ კალენდრის შედგენის პროცესმა აყალმაყალში, გაწევ-გამოწევასა და ჩხუბში ჩაიარა – დიახ, ბევრი უკმაყოფილო დარჩა მატჩთა განრიგით და "ლეგა კალჩოს" შედგენილი კალენდარი სასტიკად გააკრიტიკა. ყველაზე აქტიური "ნაპოლის" პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი გახლდათ, რომელმაც ერთი ამბავი ატეხა და მისი გუნდის წინააღმდეგ შეთქმულების თეორიის შესახებ გააკეთა განცხადებები. მეტიც, დაიმუქრა, ფეხბურთიდან საერთოდ წავალ და ისევ კინოინდუსტრიაში დავბრუნდები, სადაც ასეთი სიბინძურეები არ ხდებაო. მოკლედ, კალენდარი შედგა, მაგრამ ვაი ასეთ შედგენას... დე ლაურენტისის ამბებს ხვალინდელ ნომერში უფრო დეტალურად გამცნობთ, დღეს კი სერია A-ს 2011/2012 წლების კალენდარს გავეცნოთ.

### პირველი წრე

**I ტური**
**27/28.08.2011**
ატალანტა-ჩეზენა
ბოლონია-რომა
კალიარი-მილანი
ინტერი-ლეჩე
ლაციო-კიევო
ნაპოლი-ჯენოა
ნოვარა-პალერმო
პარმა-კატანია
სიენა-ფიორენტინა
უდინეზე-იუვენტუსი

**II ტური**
**10/11.09.2011**
კატანია-სიენა
ჩეზენა-ნაპოლი
კიევო-ნოვარა
ფიორენტინა-ბოლონია
ჯენოა-ატალანტა
იუვენტუსი-პარმა
ლეჩე-უდინეზე
მილანი-ლაციო
პალერმო-ინტერი
რომა-კალიარი

**III ტური**
**17/18.09.2011**
ატალანტა-პალერმო
ბოლონია-ლეჩე
კალიარი-ნოვარა
კატანია-ჩეზენა
ინტერი-რომა
ლაციო-ჯენოა
ნაპოლი-მილანი
პარმა-კიევო
სიენა-იუვენტუსი
უდინეზე-ფიორენტინა

**IV ტური**
**21.09.2011**
ჩეზენა-ლაციო
კიევო-ნაპოლი
ფიორენტინა-პარმა
ჯენოა-კატანია
იუვენტუსი-ბოლონია
ლეჩე-ატალანტა
მილანი-უდინეზე
ნოვარა-ინტერი
პალერმო-კალიარი
რომა-სიენა

**V ტური**
**24/25.09.2011**
ატალანტა-ნოვარა
ბოლონია-ინტერი
კალიარი-უდინეზე
კატანია-იუვენტუსი
კიევო-ჯენოა
ლაციო-პალერმო
მილანი-ჩეზენა
ნაპოლი-ფიორენტინა
პარმა-რომა
სიენა-ლეჩე

**VI ტური**
**01/02.10/2011**
ჩეზენა-კიევო
ფიორენტინა-ლაციო
ინტერი-ნაპოლი
იუვენტუსი-მილანი
ლეჩე-კალიარი
ნოვარა-კატანია
პალერმო-სიენა
პარმა-ჯენოა
რომა-ატალანტა
უდინეზე-ბოლონია

**VII ტური**
**15/16.10.2011**
ატალანტა-უდინეზე
კალიარი-სიენა
კატანია-ინტერი
ჩეზენა-ფიორენტინა
კიევო-იუვენტუსი
ჯენოა-ლეჩე
ლაციო-რომა
მილანი-პალერმო
ნაპოლი-პარმა
ნოვარა-ბოლონია

**VIII ტური**
**22/23.10.2011**
ბოლონია-ლაციო
კალიარი-ნაპოლი
ფიორენტინა-კატანია
ინტერი-კიევო
იუვენტუსი-ჯენოა
ლეჩე-მილანი
პარმა-ატალანტა
რომა-პალერმო
სიენა-ჩეზენა
უდინეზე-ნოვარა

**IX ტური**
**26.10.2011**
ატალანტა-ინტერი
ჩეზენა-კალიარი
კიევო-ბოლონია
ჯენოა-რომა
იუვენტუსი-ფიორენტრინა
ლაციო-კატანია
მილანი-პარმა
ნაპოლი-უდინეზე
ნოვარა-სიენა
პალერმო-ლეჩე

**X ტური**
**29/30.10.2011**
ბოლონია-ატალანტა
კალიარი-ლაციო
კატანია-ნაპოლი
ფიორენტინა-ჯენოა
ინტერი-იუვენტუსი
ლეჩე-ნოვარა
პარმა-ჩეზენა
რომა-მილანი
სიენა-კიევო
უდინეზე-პალერმო

**XI ტური**
**05/06.11.2011**
ატალანტა-კალიარი
ჩეზენა-ლეჩე
კიევო-ფიორენტინა
ჯენოა-ინტერი
ლაციო-პარმა
მილანი-კატანია
ნაპოლი-იუვენტუსი
ნოვარა-რომა
პალერმო-ბოლონია
უდინეზე-სიენა

**XII ტური**
**19/20.11.2011**
ბოლონია-ჩეზენა
კატანია-კიევო
ფიორენტინა-მილანი
ჯენოა-ნოვარა
ინტერი-კალიარი
იუვენტუსი-პალერმო
ნაპოლი-ლაციო
პარმა-უდინეზე
რომა-ლეჩე
სიენა-ატალანტა

**XIII ტური**
**26/27.11.2011**
ატალანტა-ნაპოლი
კალიარი-ბოლონია
ჩეზენა-ჯენოა
ლაციო-იუვენტუსი
ლეჩე-კატანია
მილანი-კიევო
ნოვარა-პარმა
პალერმო-ფიორენტინა
სიენა-ინტერი
უდინეზე-რომა

**XIV ტური**
**03/04.12.2011**
ბოლონია-სიენა
კატანია-კალიარი
კიევო-ატალანტა
ფიორენტინა-რომა
ჯენოა-მილანი
ინტერი-უდინეზე
იუვენტუსი-ჩეზენა
ლაციო-ნოვარა
ნაპოლი-ლეჩე
პარმა-პალერმო

**XV ტური**
**10/11.12.2011**
ატალანტა-კატანია
ბოლონია-მილანი
კალიარი-პარმა
ინტერი-ფიორენტინა
ლეჩე-ლაციო
ნოვარა-ნაპოლი
პალერმო-ჩეზენა
რომა-იუვენტუსი
სიენა-ჯენოა
უდინეზე-კიევო

**XVI ტური**
**17/18.12.2011**
კატანია-პალერმო
ჩეზენა-ინტერი
კიევო-კალიარი
ფიორენტინა-ატალანტა
ჯენოა-ბოლონია
იუვენტუსი-ნოვარა
ლაციო-უდინეზე
მილანი-სიენა
ნაპოლი-რომა
პარმა-ლეჩე

**XVII ტური**
**07/08.01.2012**
ატალანტა-მილანი
ბოლონია-კატანია
კალიარი-ჯენოა
ინტერი-პარმა
ლეჩე-იუვენტუსი
ნოვარა-ფიორენტინა
პალერმო-ნაპოლი
რომა-კიევო
სიენა-ლაციო
უდინეზე-ჩეზენა

**XVIII ტური**
**14/15.01.2012**
კატანია-რომა
ჩეზენა-ნოვარა
კიევო-პალერმო
ფიორენტინა-ლეჩე
ჯენოა-უდინეზე
იუვენტუსი-კალიარი
ლაციო-ატალანტა
მილანი-ინტერი
ნაპოლი-ბოლონია
პარმა-სიენა

**XIX ტური**
**21/22/.01.2012**
ატალანტა-იუვენტუსი
ბოლონია-პარმა
კალიარი-ფიორენტინა
ინტერი-ლაციო
ლეჩე-კიევო
ნოვარა-მილანი
პალერმო-ჯენოა
რომა-ჩეზენა
სიენა-ნაპოლი
უდინეზე-კატანია

### მეორე წრე

**XX ტური**
**28/29.01.2012**
ჩეზენა-ატალანტა
რომა-ბოლონია
მილანი-კალიარი
ლეჩე-ინტერი
კიევო-ლაციო
ჯენოა-ნაპოლი
პალერმო-ნოვარა
კატანია-პარმა
ფიორენტინა-სიენა
იუვენტუსი-უდინეზე

**XXI ტური**
**01.02.2012**
სიენა-კატანია
ნაპოლი-ჩეზენა
ნოვარა-კიევო
ბოლონია-ფიორენტინა
ატალანტა-ჯენოა
პარმა-იუვენტუსი
უდინეზე-ლეჩე
ლაციო-მილანი
ინტერი-პალერმო
კალიარი-რომა

**XXII ტური**
**04/05.02.2012**
პალერმო-ატალანტა
ლეჩე-ბოლონია
ნოვარა-კალიარი
ჩეზენა-კატანია
ლომა-ინტერი
ჟენოა-ლაციო
მილანი-ნაპოლი
კიევო-პარმა
იუვენტუსი-სიენა
ფიორენტინა-უდინეზე

**XXIII ტური**
**11.02.2012**
ლაციო-ჩეზენა
ნაპოლი-კიევო
პარმა-ფიორენტინა
კატანია-ჯენოა
ბოლონია-იუვენტუსი
ატალანტა-ლეჩე
უდინეზე-მილანი
ინტერი-ნოვარა
კალიარი-პალერმო
სიენა-რომა

**XXIV ტური**
**28/19.02.2012**
ნოვარა-ატალანტა
ინტერი-ბოლონია
კალიარი-უდინეზე
იუვენტუსი-კატანია
ჯენოა-კიევო
პალერმო-ლაციო
ჩეზენა-მილანი
ფიორენტინა-ნაპოლი
რომა-პარმა
ლეჩე-სიენა

**XXV ტური**
**25/26.02/2012**
კიევო-ჩეზენა
ლაციო-ფიორენტინა
ნაპოლი-ინტერი
მილანი-იუვენტუსი
კალიარი-ლეჩე
კატანია-ნოვარა
სიენა-პალერმო
ჯენოა-პარმა
ატალანტა-რომა
ბოლონია-უდინეზე

**XXVI ტური**
**03/04.03.2012**
უდინეზე-ატალანტა
სიენა-კალიარი
ინტერი-კატანია
ფიორენტინა-ჩეზენა
იუვენტუსი-კიევო
ლეჩე-ჯენოა
რომა-ლაციო
პალერმო-მილანი
პარმა-ნაპოლი
ბოლონია-ნოვარა

**XXVII ტური**
**10/11.03.2012**
ლაციო-ბოლონია
ნაპოლი-კალიარი
კატანია-ფიორენტინა
კიევო-ინტერი
ჯენოა-იუვენტუსი
მილანი-ლეჩე
ატალანტა-პარმა
პალერმო-რომა
ჩეზენა-სიენა
ნოვარა-უდინეზე

**XXVIII ტური**
**17/18.03.2012**
ინტერი-ატალანტა
კალიარი-ჩეზენა
ბოლონია-კიევო
რომა-ჯენოა
ფიორენტრინა-იუვენტუსი
კატანია-ლაციო
პარმა-მილანი
უდინეზე-ნაპოლი
სიენა-ნოვარა
ლეჩე-პალერმო

**XXIX ტური**
**24/25.03.2012**
ატალანტა-ბოლონია
ლაციო-კალიარი
ნაპოლი-კატანია
ჯენოა-ფიორენტინა
იუვენტუსი-ინტერი
ნოვარა-ლეჩე
ჩეზენა-პარმა
მილანი-რომა
კიევო-სიენა
პალერმო-უდინეზე

**XXX ტური**
**31/01.04.2012**
კალიარი-ატალანტა
ლეჩე-ჩეზენა
ფიორენტინა-კიევო
ინტერი-ჯენოა
პარმა-ლაციო
კატანია-მილანი
იუვენტუსი-ნაპოლი
რომა-ნოვარა
ბოლონია-პალერმო
სიენა-უდინეზე

**XXXI ტური**
**07.04.2012**
ჩეზენა-ბოლონია
კიევო-კატანია
მილანი-ფიორენტინა
ნოვარა-ჯენოა
კალიარი-ინტერი
პალერმო-იუვენტუსი
ლაციო-ნაპოლი
უდინეზე-პარმა
ლეჩე-რომა
ატალანტა-სიენა

**XXXII ტური**
**11.04.2012**
ნაპოლი-ატალანტა
ბოლონია-კალიარი
ჯენოა-ჩეზენა
იუვენტუსი-ლაციო
კატანია-ლეჩე
კიევო-მილანი
პარმა-ნოვარა
ფიორენტინა-პალერმო
ინტერი-სიენა
რომა-უდინეზე

**XXXIII ტური**
**14/15.04.2012**
სიენა-ბოლონია
კალიარი-კატანია
ატალანტა-კიევო
რომა-ფიორენტინა
მილანი-ჯენოა
უდინეზე-ინტერი
ჩეზენა-იუვენტუსი
ნოვარა-ლაციო
ლეჩე-ნაპოლი
პალერმო-პარმა

**XXXIV ტური**
**21/22.04.2012**
კატანია-ატალანტა
მილანი-ბოლონია
პარმა-კალიარი
ფიორენტინა-ინტერი
ლაციო-ლეჩე
ნაპოლი-ნოვარა
ჩეზენა-პალერმო
იუვენტუსი-რომა
ჯენოა-სიენა
კიევო-უდინეზე

**XXXV ტური**
**28/29.04.2012**
პალერმო-კატანია
ინტერი-ჩეზენა
კალიარი-კიევო
ატალანტა-ფიორენტინა
ბოლონია-ჯენოა
ნოვარა-იუვენტუსი
უდინეზე-ლაციო
სიენა-მილანი
რომა-ნაპოლი
ლეჩე-პარმა

**XXXVI ტური**
**02/05.05.2012**
მილანი-ატალანტა
კატანია-ბოლონია
ჯენოა-კალიარი
პარმა-ინტერი
იუვენტუსი-ლეჩე
ფიორენტინა-ნოვარა
ნაპოლი-პალერმო
კიევო-რომა
ლაციო-სიენა
ჩეზენა-უდინეზე

**XXXVII ტური**
**05/06.05.2012**
რომა-კატანია
ნოვარა-ჩეზენა
პალერმო-კიევო
ლეჩე-ფიორენტინა
უდინეზე-ჯენოა
კალიარი-იუვენტუსი
ატალანტა-ლაციო
ინტერი-მილანი
ბოლონია-ნაპოლი
სიენა-პარმა

**XXXIII ტური**
**12/13/.05.2012**
იუვენტუსი-ატალანტა
პარმა-ბოლონია
ფიორენტინა-კალიარი
ლაციო-ინტერი
კიევო-ლეჩე
მილანი-ნოვარა
ჯენოა-პალერმო
ჩეზენა-რომა
ნაპოლი-სიენა
კატანია-უდინეზე

ლაშა წიკლაური

## კვირის ფრაზები დაიჯესტი



### არ დამვიწყებია გოლების გატანა!

„ჩელსის" 50-მილიონიანმა შენაძენმა, ესპანელმა გოლეადორმა **ფერნანდო ტორესმა** აზიურ ტურნეზე თქვა: „მე 27 წლის ვარ, არ დამვიწყებია გოლების გატანა, აუცილებლად გავიტან! როგორც ჩემი თანაგუნდელები, მეც საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ. ჩვენ ყველანი ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალი სეზონი წარმატებული იყოს. იმ ექვს თვეში, რაც აქ ვარ, დავინახე გუნდის უზადო მენტალიტეტი გამარჯვებებისკენ. წინ გრძელი და დამღლელი სეზონია. მე თავს შესანიშნავად ვგრძნობ და დიდი იმედებით ვარ განმსჭვალული, რომ მომავალ წელს მაინც მოვიგებთ ტიტულებს".

### ლინდეგაარდი პირველობას უმიზნებს

„მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **ანდერს ლინდეგაარდი** მზადაა იმისთვის, რომ **დავიდ დე ხეას** შეეცილოს „იუნაიტედის" პირველ ნომრობას. დანიელმა კიპერმა თქვა: „მე მჯერა, რომ გუნდის პირველი ნომერი გავხდები. თუმცა, ვაღიარებ, რომ კონკურენცია ძალიან კარგია — ამიტომაც, მე მზად ვარ დე ხეასთან საბრძოლველად. ვთვლი, რომ მწვრთნელებს ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებათ. იმედია, ისინი ჩემს თამაშს კარგად აღიქვამენ და შანსს მომცემენ. „იუნაიტედი" ბრწყინვალე კლუბია. ჩვენს ღია ვარჯიშებზე იმაზე მეტი გულშემატკივარი მოდის, ვიდრე დანიის და ნორვეგიის ჩემპიონატის მატჩებზე. ეს დამატებითი სტიმულია".

### ვიდალი არაკაცია!

მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰიონესი** ჩილელ ნახევარმცველ **არტურო ვიდალს** არაკაცს უწოდებს. მიზეზი? როგორც იცით, ვიდალი სულ ცოტა ხნის წინათ ტურინის „იუვენტუსის" ფეხბურთელი გახდა, ხოლო ჰიონესი კი ამბობს, რომ მას ჩვენთვის პირობა ჰქონდა მოცემული და მან სიტყვა გატეხაო. „ვიდალმა სიტყვა გატეხა, რაც არაკაცობას ნიშნავს! ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. მას ისეთი მრჩეველი ჰყავს, რომელსაც არასდროს ვენდობოდი. ასეთი არაკაცები კი ჩვენს გუნდში არ უნდა გაჩერდნენ!"

### კვირის ანტიგმირი

კვირის ანტიგმირად „მანჩესტერ სიტის" აფრო-იტალიელი თავდამსხმელი **მარიო ბალოტელი** მივიჩნიეთ, რომელმაც „ლოს ანჯელეს გალაქსისთან" დაპირისპირებისას მეკარესთან პირისპირ მყოფს წყნარად შეეძლო ბურთი კარში გადაეგზავნა, მაგრამ მან შემოტრიალება და ქუსლით გოლის გატანა მოინდომა, რაც არ გამოუვიდა და მწვრთნელ **რობერტო მანჩინისაც** მოთმინების ფიალა აევსო — 30-ე წუთზე შეცვალა.

გიორგი ფულარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა

# ბრძოლა ლიგის კარიბჭისთვის

## ახალი ბენფიკა, უკბილო რეინჯერსი და მხნელი ოგუნჯიმი

| | |
|---|---|
| **ეკრანასი (ლიტვა)-ბატე (ბელარუსი)** | **0:0** |
| **აპოელ (კვიპროსი)-სლოვანი (სლოვაკეთი)** | **0:0** |
| **ლიტექსი (ბულგარეთი)-ვისლა (პოლონეთი)** | **1:2** |
| გოლები: 0:1 ლამეი (19), 1:1 ველინგტონი (45), 1:2 მელიკსონი (76) | |
| **დინამო (უკრაინა)-რუბინი (რუსეთი)** | **0:2** |
| გოლები: 0:1 კასაევი (6), 0:2 ნატხო (68-პენ) | |
| **გენკი (ბელგია)-პარტიზანი (სერბეთი)** | **2:1** |
| გოლები: 0:1 ტომიჩი (65), 1:1 ვოსენი (70-პენ), 2:1 ოგუნჯიმი (92) | |
| **რეინჯერსი (შოტლანდია)-მალმიო (შვედეთი)** | **0:1** |
| გოლი: 0:1 ლარსონი (18) | |
| **ტვენტე (ჰოლანდია)-ვასლუი (რუმინეთი)** | **2:0** |
| გოლები: 1:0 იანკო (34-პენ), 2:0 იანკო (57) | |
| **ჰიკ (ფინეთი)-დინამო (ხორვატია)** | **1:2** |
| გოლები: 1:0 რინგი (14), 1:1 რაფინია (19 ს.კ.), 1:2 სამირი (77) | |
| **კოპენჰაგენი (დანია)-შემროკი (ირლანდია)** | **1:0** |
| გოლი: 1:0 ოტესენი (4) | |
| **ოდენსე (დანია)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი)** | **1:1** |
| გოლები: 0:1 ლეტო (47), 1:1 ტ. რეგინიუსენი (90) | |
| **მაქაბი ჰ. (ისრაელი)-მარიბორი (სლოვენია)** | **2:1** |
| გოლები: **1:0 დვალიშვილი (8-პენ),** 1:1 მარკოსი (27), 2:1 იამპოლსკი (70) | |
| **სტანდარდი (ბელგია)-ციურიხი (შვეიცარია)** | **1:1** |
| გოლები: 0:1 მეჰმედი (79), 1:1 ნაჩო გონსალესი (90) | |
| **როსენბორგი (ნორვეგია)-პლზენი (ჩეხეთი)** | **0:1** |
| გოლი: 0:1 პილარჟი (33) | |
| **ბენფიკა (პორტუგალია)-ტრაბზონი (თურქეთი)** | **2:0** |
| გოლები: 1:0 ნოლიტო (71), 2:0 გაიტანი (88) | |

*საპასუხო მატჩები 2-3 აგვისტოს*


ყველა მატჩი ნორვეგიული ტერაქტის მსხვერპლთა საპატივცემულო წუთიერი დუმილით დაიწყო, რეინჯერსი-მალმიო


სტანდარდის ურუგვაელმა ნაჩო გონსალესმა გოლი ფეხმძიმე მეუღლეს უძღვნა


ბენფიკელები ნიკოლას გაიტანის (მარცხნიდან მესამე) გოლს ზეიმობენ

ახალი სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგის დაკომპლექტება გრძელდება. ამ კვირაში საქმეში 15 წყვილი ჩაერთო, მათ შორის კი „ზესტაფონი“ და ავსტრიული „შტურმი“, ისინი ლიგის პლეი ოფის 15 საგზურისთვის იბრძვიან. „ლელომ“ დიდი ყურადღება დაუთმო ქართულ-ავსტრიულ დუელს, თუმცა სხვები განზე დაგვრჩნენ. არადა, მათ შორის ბევრი სერიოზული კლუბია და მათ ნაწილს ლიგის ჯგუფურ ეტაპზე აუცილებლად ვნახავთ.

ყველაზე დიდ ინტერესს ლისაბონური მატჩი იწვევდა, სადაც „ბენფიკა“ თურქულ „ტრაბზონსპორს“ მასპინძლობდა. საყოველთაო შეფასებით, ეს ყველაზე ძლიერი წყვილია ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე, თან „ბენფიკამ“ ზაფხულში სახე იცვალა და საინტერესო იყო, მისი ახლებური გრანდის საქმეში ხილვა.

პორტუგალიელებმა **ფაბიო კოენტრაო** „რეალში“ 30 მილიონ ევროდ გაყიდეს, თუმცა ამ ფულით საკმაოდ საინტერესო გუნდი ააწყვეს. მაგრამ მანამდე ისევ წასულებზე ვთქვათ: კოენტრაოს გარდა ლისაბონელებს გული არგენტინელ **ედუარდო სალვიოზე** დაწყდათ, „ატლეტიკოს“ ფორვარდს იჯარის ვადა დაუსრულდა, ხოლო პრემიერლიგაში ალზევებულმა „სუონსიმ“ სულ რაღაც მილიონ დოლარად იყიდა **ჟოზე მორეირა**. სხვებს კი ლისაბონელები უპრობლემოდ შეელიენ (**ნუნუ გომეში, ლუიშ ფილიპე, ლეანდრო სილვა** და **სესარ პეიშოტო**). უფრო სოლიდურად გამოიყურება შევსება: „ბენფიკამ“ ბელგიელი **აქსელ ვიტსელის** სანაცვლოდ „სტანდარდს“ 6,5 მილიონი ევრო გადაუხადა, 5,5 მილიონი დაუჯდა გუნდს „ინდეპენდიენტეს“ **ენცო პერესი**, ისევე როგორც რეალელი **ესეკილ გარაი**, თითქმის ამდენივე გადაიხადა ბრაზილიელ **ბრუნო სეზარში** („კორინთიანსი“), 2 მილიონად იყიდა „ლილის“ ბრაზილიელი ლეგიონერი **ემერსონი**, „ჯენოადან“ იჯარით გადმოიყვანა **ედუარდო**, ევროც კი არ დასჯდომია ბრაგელი **არტური**, დანიელი **დანიელ ვასი**, ბარსელონელი **ნოლიტო** და მსოფლიოს ჩემპიონი **ხოან კაპდევილა**.

თურქებთან მათი ნაწილი სასტარტოშიც ვიხილეთ (მეკარე არტური, ემერსონი, გარაი და პერესი), ნოლიტო და ვიტსელი კი შეცვლაზე შევიდნენ, ბრუნო სეზარი სათადარიგო იყო. **ჟორჟე ჟეზუშის** გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და საპასუხო მატჩის წინ 2-ბურთიანი უპირატესობა დაიბევა. ორივე გოლი „ტრაბზონის“ ლაზი მეკარის, **თოლგა ზენგინის** კარში ბოლო 20 წუთში გავიდა. მანამდეც უპირატესობა „არწივების“ იყო, მაგრამ ხან თოლგა ყოჩაღობდა და ხან მასპინძლები ურტყამდნენ უზუსტოდ, მეორე ტაიმში **ხავიერ სავიოლამ** ბურთი ძელსაც გაარტყა. 71-ე წუთზე „ბარსელონას“ ყოფილმა ფორვარდმა ნოლიტომ აკრობატული დარტყმით გახსნა ანგარიში. შენოლ გიუნეშის გუნდი არ გატყდა და შეუტია მეტოქეს, მაგრამ **ბურაკ ილმაზის** დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია არტურმა. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე **ნიკოლას გაიტანის** ცაციამ მასპინძელთა უპირატესობას უფრო სოლიდური სახე მისცა - 2:0.

კიევური მატჩის რამდენიმე დეტალი უკვე მოგითხრეთ, ამ შეხვედრაში ხომ რუბინელი **საბა კვირკველიას** ლიგური დებიუტი შედგა. 19 წლის ქართველის გუნდი თითქმის პლეი ოფშია, მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევს ის ფაქტი, რომ კიევის „დინამო“ სოლიდური კლუბია და უბრძოლველად არაფერს დათმობს, მიუხედავად იმისა, რომ შინ 0:2 წააგო.

ორი წლის წინ ჯგუფურ ეტაპზე 1:3 მარცხისთვის **ყურბან ბერდიევის** გუნდმა ახლა იძია შური. სტუმრები თავიდანვე დააწინაურა **ალან კასაევის** გოლმა, ხოლო **ბერბას ნატხომ ალექსეი მედვედევის** მაისურში მოქაჩვისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა.

ცუდად არის შოტლანდიური „რეინჯერსის“ საქმე, მას შემდეგ, რაც გლაზგოური გრანდი შინ „მალმიოსთან“ 0:1 დამარცხდა. „აიბროქსზე“ ერთადერთი გოლი შვედთა ჩემპიონი გუნდის ფორვარდმა **დანიელ ლარსონმა** გაიტანა. სხვათა შორის, ვერ ვიტყვით, რომ შვედები ყრუ დაცვაში იყვნენ, პირიქით, უფრო მწვავედაც „იჩხვლიტებოდნენ“, ვიდრე მეტოქე. ეს ბოლო წუთებს არ ეხება, როცა **ნიკიცა იელავიჩის** წყალობით **სტივენ ნეისმითს** ორი მომენტი შეექმნა, მაგრამ ნეისმითმა ორივე გაანიავა. ახლა უკვე შვედები არიან ამ წყვილის ფავორიტები.

ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი დუბლი შესრულდა და მისი ავტორი „ტვენტეს“ ავსტრიელი აყლაყუდა ფორვარდი **მარკ იანკოა** (არადა, რა ახლოს იყო დუბლთან **ნიკოლოზ გელაშვილიც**!). იანკოს გოლების წყალობით ჰოლანდიური კლუბი მშვიდადაა, რუმინულ „ვასლუის“ 2:0 მოუგო. „ტვენტეს“ სტადიონზე სამწუხარო ინციდენტი მოხდა (რეკონსტრუქციის დროს ტრიბუნა ჩამოიშალა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა) ამიტომ თამაშს არნემმა უმასპინძლა. ყველაფერი შეიძლება სულ სხვაგვარად წარმართულიყო „ვასლუის“ ბრაზილიელ პლეიმეიქერ **ადაილტონს** მე-18 წუთზე ჯარიმა რომ გაეტანა - ბურთი ხარიხას მოხვდა. მალე ადაილტონმა საკუთარ საჯარიმოში დააშავა და იანკომ პენალტით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის მე-12 წუთზე კი იანკომ დუბლი შეასრულა, მისი თავური ძელმა უკუაგდო, მაგრამ ფორვარდმა დამატება მოასწრო.

**მარვინ ოგუნჯიმი** „გენკის“ მხსნელია, ფორვარდი სულ რამდენიმე წუთის შესული იყო მოედანზე, როცა გამარჯვების გოლი გაიტანა სერბული „პარტიზანის“ კარში, „გენკმა“ 2:1 მოიგო და ყველაფერი საპასუხო მატჩში, ბელგრადში გაირკვევა. ბოლო წუთზე გაუმართლა კიდევ ერთ ბელგიურ კლუბს, „სტანდარტს“, თუმცა ამ შემთხვევაში ურუგვაელი ახალწვეულის, **ნაჩო გონსალესის** (შარშან „ლევანტეში“ თამაშობდა) გოლი „ციურიხის“ კარში მხოლოდ ფრეს ეყო - 1:1. სტუმართა გოლის ავტორი **ადმირ მეჰმედი** კი ფეხბურთის მოყვარულებს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან ემახსოვრებათ.

ნორვეგიული „როსენბორგი“ შინ 0:1 დამარცხდა ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტ „პლზენთან“. გამარჯვების გოლის ავტორი ჩეხთა გუნდის ნახევარმცველი ვაცლავ პილარჟია. **ლადო დვალიშვილის** გოლმა და საგოლე პასმა მოაგებინა „მაქაბის“ სლოვენიის ჩემპიონ „მარიბორთან“ - 2:1. დანიის ჩემპიონმა „კოპენჰაგენმა“ 1:0 იკმარა ირლანდიურ „შემროკთან“. არადა, მასპინძლები უკვე მე-4 წუთზე დააწინაურა **სოლვი ოტესენის** გოლმა. ხორვატიის ჩემპიონმა „დინამომ“ ჰელსინკიში 2:1 დაამარცხა ჰიკ და ცალი ფეხით პლეი ოფშია. ასეთივე სიტუაციაშია პოლონეთის ჩემპიონი „ვისლაც“. „პანათინაიკოსი“ სტუმრად ბოლო წუთამდე იგებდა, თუმცა „ოდენსესთან“ 1:1 ფრე ბერძნული გრანდისთვის მაინც არ არის ურიგო შედეგი, საპასუხო მატჩი ხომ ათენშია. სტუმრად კარი მშრალად შეინახეს ბატე-მ და „სლოვანმა“ და თავიანთი დაპირისპირებების ფავორიტებად დარჩნენ.

საპასუხო მატჩების შემდეგ გაირკვევა 15 გამარჯვებული, რომელთაც პლეი ოფში „ბაიერნი“, „არსენალი“, „ლიონი“, „ვილიარეალი“ და „უდინეზე“ შეუერთდება. 5 აგვისტოს კენჭისყრაა, თუმცა პლეი ოფში ჩემპიონი და არაჩემპიონი გუნდები ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. მაგალითისთვის, თუკი „ზესტაფონი“ „შტურმს“ დაძლევს, მას „ბაიერნთან“, „არსენალთან“, „ვილიარეალთან“ თამაში არ მოუწევს. 22 კლუბი (ბარსელონა, მანჩესტერი, ჩელსი, რეალი, პორტუ, ინტერი, მილანი, შახტარი, ვალენსია, ცსკა, მარსელი, ზენიტი, აიაქსი, ლევერკუზენი, ოლიმპიაკოსი, ფენერბაჰჩე, სიტი, ლილი, ბაზელი, დორტმუნდი, ნაპოლი, ოცელული) კი მშვიდად ელის სექტემბერსა და ჯგუფურ ეტაპს, მათ საკვალიფიკაციო ბატალიები არ ეხებათ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის სუპერთასი




# მარსელი სეზონს ტიტულით იწყებს!

27 ივლისი. ტანჟერი.
„გრანდ სტად დე ტანჟერი".

**ლილი–მარსელი 4:5**

გოლები: **1:0 ბალმონი (9), 2:0 აზარი (57), 2:1 ა. აიუ (71), 3:1 სოვი (72), 3:3 მორელი (85), 3:3 რემი (87), 3:4 ა. აიუ (90 პენ), 4:4 ბაშა (90+2), 4:5 ა. აიუ (90+5)**

**ლილი:** ლანდრო, ბერია, ბაშა, დებიუში, ბალმონი (როდელინი 91), პაიე (ობრანიაკი 67), პედრეტი, შეჯუ, მავუბა, აზარი (გუიე 81), სოვი

**მარსელი:** მანდანდა, მორელი, დიავარა, ფანი, შეირუ (კაბორე 65), ლ. გონსალესი, ა. დიარა, მბია, ამალფიტანო (ჟ. აიუ 65), რემი, ა. აიუ

**დიდიე დეშამის** გუნდი სეზონს სუპერთასის მოგებით იწყებს. წამყვან ლიგებს შორის ეს ტიტული პირველად გერმანიამ გაათამაშა, სადაც "შალკემ" დორტმუნდის "ბორუსია" დაამარცხა. მისგან ესტაფეტა საფრანგეთმა გადაიბარა. ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი "ლილი" ვიცე-ჩემპიონს, სუპერთასისა და ლიგის თასის მოქმედ გამარჯვებულ "ოლიმპიკს" შეერკინა.

ფრანგებმა საკუთარი ფეხბურთის პოპულარიზაციის საკმაოდ ეფექტურ გზას მიაგნეს. მესამე წელია, ისინი სუპერთასის მატჩებს საფრანგეთის ფარგლებს გარეთ მართავენ. 2009 წელს ეს ტიტული მონრეალში "ბორდომ" დაისაკუთრა, შარშან "მარსელმა" პსჟ ტუნისში დაამარცხა, გუშინწინ კი მატჩი მაროკოში, ქალაქ ტანჟერის ახალ, 45-ათასიან არენაზე გაიმართა.

მთავარი, რასაც მატჩის წინ ფრანგი ჟურნალისტები აღნიშნავდნენ იყო ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ "ლილმა" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გაყიდა (**ჟერვინიო, კაბაიე, ფრო, ემერსონი** და **რამი**), მათ ნაცვლად შეძლო ისეთი ფეხბურთელების გადაბირება, რომლებიც დანაკლისს შეუმჩნეველს გახდიან. წელს "ლილის" დაცვის ლიდერი **მარკო ბაშა** უნდა გახდეს, ნახევარდაცვას კრეატიულობა უნდა შემატოს **ბენუა პედრეტიმ**, ხოლო შეტევას **დიმიტრი პაიე** შესძენს თავის განსაკუთრებულ ხიბლს. რაც მთავარია, "ლილმა" შეძლო და მსოფლიო კლასის ერთადერთი ფეხბურთელი **ედენ აზარი** შეინარჩუნა. ასე რომ, გულშემატკივრებს აქვთ უფლება ელოდონ, რომ **რუდი გარსიას** გუნდი შარშანდელივით ძლიერი იქნება.

რაც შეეხება "მარსელს", პროვანსელებმა ამ ზაფხულს **ტაივო** და **ჰაინცე** დაკარგეს, მათ ნაცვლად ველოდრომელებმა **მორელი** და **ნკულუ** შეიძინეს. მიმდინარე სეზონში ნახევარდაცვაში იასპარეზებს შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა, ექსლორიანელი **მორგან ამალფიტანო**, ვინც შარშან თავი განსაკუთრებულად გამოიჩინა საგოლე გადაცემებით. გუნდს ჰყავს ახალი, მაღალი კლასის საყრდენი ნახევარმცველიც, ლაპარაკია 29 წლის **ალუ დიარაზე**.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშის მსვლელობას:

ორივე გუნდმა ძირითადი აქცენტი შეტევაზე გააკეთა და აქედან გამომდინარე მინდორზე შთამბეჭდავი სანახაობა გაიმართა. პირველი მომენტი **ლუჩო გონსალესს** შეექმნა, მაგრამ მისი მძლავრი დარტყმული ძელს მოხვდა, დამატებაზე კი **ბენუა შეირუს** ფანტასტიკური ბურთი აულო **მიკაელ ლანდრომ**. გატანა შეეძლო **ალუ დიარასაც**, მაგრამ ლანდრო ისევ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. პირველ ტაიმში ერთადერთი გოლი გავიდა, რაც მატჩის ხასიათში ნამდვილად არ ჯდებოდა. "ძაღლები" შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდნენ. ერთადერთი გოლი კი ასე გავიდა: **მორელმა** უხეშად ითამაშა **დებიუშის** წინააღმდეგ, რის გამოც ყვითელი ბარათი დაიმსახურა. სტანდარტი აზარმა და პაიემ კარგად გაათამაშეს. **ბალმონს** სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა გოლის გატანისა. ანგარიშის გახსნის შემდეგ "ლილმა" თამაში დიდწილად ჩაკეტა, მეტოქეს ტერიტორიული უპირატესობა დაათმობინა და ისე მოხდა, რომ ბოლო 20 წუთი სახიფათო მომენტები პრაქტიკულად აღარც იქმნებოდა.

მეორე ტაიმი გუნდებმა სასტარტო შემადგენლობებითვე განაგრძეს. პირველი საგოლე სიტუაცია ჩემპიონთა ლიდერმა **ედენ აზარმა** შექმნა, რომელმაც ეფექტური დრიბლინგით გვერდი აუარა რამდენიმე მეტოქეს, მაგრამ სანამ **სტივ მანდანდას** მზადყოფნას შეამოწმებდა, იქამდე მისი დარტყმული მცველებმა დაბლოკეს. აზარსა და მის დრიბლინგს "მარსელმა" ერთ წუთში უკვე ველარაფერი დაუპირისპირა. ბელგიელმა "ლილის" უპირატესობას შთამბეჭდავი სახე მისცა - 2:0. ამ მომენტში რეჟისორებმა დეშამის სახე ახლოდან აჩვენეს, მას აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა, თუმცა სასოწარკვეთილებას მის სახეზე ვერავინ ამოიკითხავდა. დიდიემ გამოსავალი მალე მონახა: მინდორზე **კაბორე** და **ჟორდან აიუ** შეუშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი დაიწყო ის, რაც ფეხბურთის ისტორიაში თუ ხდება, ხდება ძალზე იშვიათად. 71-ე წუთიდან მოყოლებული "მარსელმა" 19 წუთში (პლუს მსაჯის მიერ კომპენსირებული დროში), 5 გოლი გაიტანა და საპასუხოდ 2 მიიღო. საბოლოოდ ყველაფერი "ოლიმპიკის" სასარგებლოდ დასრულდა. ამ სასწაულს კი საფუძველი ლუჩო გონსალესმა ჩაუყარა, როცა წარმოუდგენლად ეშმაკური პასით ლამის მინდვრის ცენტრიდან **ანდრე აიუ** მეკარეს პირისპირ შეატოვა. თითქოს "მარსელს" ყველაფერი სათავისოდ უნდა წაეყვანა, მაგრამ ერთ წუთში "ლილმა" სტატუს კვო აღადგინა. თავი შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა **მუსა სოვმა** გამოიჩინა. სენეგალელმა მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლა.

კიდევ უფრო დაძაბული იყო ბოლო წუთები, როცა გოლები პანტაპუნტით გადიოდა. საბოლოოდ კი ამ გაუგებრობიდან გამარჯვებული ვინ გამოვიდა, უკვე იცით...




**მატჩის შემდეგ**

თამაშის საუკეთესო ფეხბურთელად **ანდრე აიუ** დასახელდა, ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო მოედანზე, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. გარდა ჰეთ-თრიკისა, მას არ დაზარებია არც შავი სამუშაოს შესრულება. აი, რა განაცხადა მატჩის გმირმა პრესკონფერენციაზე: *"კარგია, რომ მოვიგეთ. მერე რა, რომ ეს არ არის ჩემპიონობა? ტიტული ტიტულია, რომლის მოგება ძალიან გვინდოდა. ცუდია, რომ ძალიან ბევრი გუნდური და ინდივიდუალური შეცდომა დავუშვით, თუმცა ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე ყველაფერი გამოვასწორეთ. ჩემპიონატის დაწყებამდე კვირაზე მეტი რჩება, დრო ამ შეცდომებზე სამუშაოდ ჯერ კიდევ გვაქვს".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ატლეტიკო

# დიეგო კოშტასთვის 2011 მორჩა


დიეგო კოშტა (მარჯვნივ) მისთვის ცუდად დასრულებულ ვარჯიშზე

მადრიდის „ატლეტიკომ" ერთ დღეში ორი ფორვარდი დაკარგა - არგენტინელი **სერხიო აგუერო** „მანჩესტერ სიტიში" გაექცა, ხოლო ბრაზილიელმა **დიეგო კოშტამ** ძალიან სერიოზული ტრავმა მიიღო. 22 წლის ფეხბურთელმა მენისკი და მარჯვენა მუხლის ჯვარედინი იოგები დაიზიანა. ეს ტრავმა მან ვარჯიშზე მიიღო, ახლა დიეგო კოშტას 6 თვის განმავლობაში უფეხბურთოდ ცხოვრება მოელის. გუშინ მაგნეტიკურმა სკანირებამ დაზიანება კარგად აჩვენა, ყველაფერი ძალიან რთულად იყო, ამიტომ მას ფრემაპ-ის კლინიკაში სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია.

„ატლეტიკოს" ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო მატჩი ჰქონდა ნორვეგიულ „სტრომგოდსეტთან" და დიეგო კოშტამ ტრავმა ამ მატჩის წინა ვარჯიშზე მიიღო. საუკეთესო შემთხვევაში, კოშტა გუნდს ზამთრის მცირე შესვენების შემდეგ დაეხმარება, 20 იანვრიდან. სხვათა შორის, „ატლეტიკო" მას ტრანსფერზე უპირებდა დაყენებას, თუმცა აგუეროს გაქცევამ სიტუაცია კარდინალურად შეცვალა. დიეგო კოშტა სანპაულუელია, თუმცა მთელი პროფესიული კარიერა მან ევროპაში გაატარა, „ატლეტიკოში" ფორვარდი „ვალიადოლიდიდან" გადავიდა.

# გოდინიც ესპანელია



დიეგო გოდინი

„ატლეტიკოს" ურუგვაელმა მცველმა **დიეგო გოდინმა** გუშინ ესპანეთის კონსტიტუციაზე დაიფიცა და ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. კოპა ამერიკას გამარჯვებული, რომელსაც მხოლოდ ფინალურ მატჩში მოუწია თამაშმა, ესპანეთის მოქალაქე პრაქტიკული მიზნით გახდა - ამით კლუბს ერთი არაევროკავშირელი ფეხბურთელის დამატების უფლება მიეცა. 25 წლის მცველი მადრიდში შარშან ამ დროს გადავიდა და მის სანაცვლოდ „ატლეტიკომ" „ვილიარეალს" 8 მილიონი ევრო გადაუხადა. სულ რამდენიმე დღის წინათ იგივე პროცედურა გაიარა მადრიდის „რეალის" ბრაზილიელმა მცველმა **მარსელომ**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ოსასუნა

# ოსასუნამ ფინელი ითხოვა

პამპლონის „ოსასუნამ" შევსება გერმანიიდან მიიღო - „ჰოფენჰაიმის" ფინელი მცველი **იუკა რაიტალა** ესპანეთში გადავიდა. რაიტალა 22 წლის მარცხენა მცველია, გასული სეზონი მან „პადერბორნში" იჯარით გაატარა, იჯარითვე ითამაშებს ის „ოსასუნაშიც". ესპანურ კლუბს სეზონის ბოლოს მისი გამოსყიდვის უფლება აქვს. რაიტალა ახალ გუნდს დღეს ვერონაში შეუერთდება, სადაც ნავარელები ახალი სეზონისთვის ემზადებიან.

ვალენსია

# მატა მალე არსენალელი გახდება

„მარკა"ამტკიცებს, რომ „ვალენსიას" ლიდერი **ხუან მანუელ მატა** ძალიან ახლოსაა ლონდონის „არსენალში" გადასვლასთან. ლონდონელები მის სანაცვლოდ 15-დან 20 მილიონ ევრომდე იხდიან. თუმცა „არსენალს" კონკურენტიც ჰყავს - „ტოტენჰემმა" ამას წინათ ოფიციალური წინადადებით მიმართა „ვალენსიას" მატას ტრანსფერზე. მართალია, მატა მადრიდის „რეალის" აღზრდილია, მაგრამ მთელი პროფესიული კარიერა მან „ვალენსიაში" გაატარა, სადაც ის 18 წლის ასაკში გადავიდა.

სევილია

# სევილიას ახალი მაისურები

გუშინ „სევილიამ" საშინაო და საგარეო მატჩების ფორმების კომპლექტები წარადგინა. „სანჩეს პისხუანზე" ამ ცერემონიას დაახლოებით ათასი ფანი დაესწრო. ახალ მაისურებზე ეწერა 8 ნომერი და წარწერა „ხუან არსა" - **ხუან არსა** „სევილიას" ლეგენდარული ფეხბურთელი და მწვრთნელი იყო, ის 17 ივლისს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა - წარწერაც მის პატივსაცემადაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ახალი ფორმის წარდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ტრაბზონი 2011

# მედლები, თანაც სამივე სინჯისა



კახა ბერიძე
ტრაბზონიდან

სპეციალურად
ლელოსთვის

როგორც გუშინ დაგპირდით, დღევანდელ რეპორტაჟს მაჟორულ ნოტზე უნდა ვიწყებდე. მიზეზიც, იცოცხლეთ, ხომ ისეთია, ქვას გახეთქავს. ქართველმა სპორტსმენებმა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიური ფესტივალის ბოლოსწინა საშეჯიბრო დღეს სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს, მაგრამ რაც ტრაბზონში მასმედიის წარმომადგენლებს თავგადასავლები გვაქვს, ძნელია, სიტყვებით აღწერო. ის, რომ მთავარ პრესცენტრში ინფორმაციები დაგვიანებით ან საერთოდ არ მოდის, ამას უკვე შევეჩვიეთ, მაგრამ XXI საუკუნეში თუ ინტერნეტით სარგებლობის პრობლემა შეიქმნებოდა, უკვე ნამეტანია. ყოველ საღამოს ევროპელ კოლეგებთან ერთად ლეპტოპით აღმა-დაღმა დავრბივარ და ვცდილობ, ინტერნეტსამყაროსთან კავშირი დავამყარო. მოთმინების ფიალა გუშინწინ აივსო და არაერთ ჟურნალისტსაც ნერვებმა უმტყუნა. ირლანდიელმა და სლოვაკმა კოლეგებმა ფესტივალის ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები ისეთ დღეში ჩაყარეს, რომ საცოდავი გოგონები აქვითინდნენ კიდეც, მაგრამ ცრემლი საქმეს რას უშველიდა. დიდი შანსია, პრესის ბევრ მუშაკს იმ საღამოს თავიანთი გამოცემებისთვის ინფორმაცია ვერ მიეწოდებინა. მეც უკვე ხელი ჩაქნეული მწონდა, როდესაც ბედად ლიტველმა კოლეგამ ინტერნეტში შეაღწია და მისი კომპიუტერით ვისარგებლე. მოკლედ, ამ მხრივ აქაურობა ქვის ხანას მაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ადამიანები ლეღვის ფოთლებით არ დადიან. ამ მასალას კი ვწერ, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, თქვენამდე თუ მოაღწევს და დღის სინათლეს იხილავს.

გუშინ დილით პატარა დილემის წინაშე აღმოვჩნდი. ვერ გადამეწყვიტა, ძიუდოს დარბაზში წავსულიყავი თუ მძლეოსნობის სტადიონზე, სადაც სამხტომში **ლაშა ღულელაურს** ფინალურ ეტაპზე უნდა ესპარეზა. საბოლოოდ ტრაბზონის გარეუბანში მდებარე სტადიონზე წასვლა ვარჩიე და, იმის მიუხედავად, რომ ძიუდოში **ბექა ლვინიაშვილის** (81კგ) ჩემპიონობა გამოვტოვე, მაინც არ მინანია.

შეჯიბრებამდე ლაშას და მამამისს (რომელიც ამავდროულად ახალგაზრდა ათლეტის მწვრთნელიცაა) იუსუპ ღულელაურს გამოველაპარაკე. შევატყვე, რომ ორივე ღელავდა და არც გაემტყუნებათ. „ლაშას ტრავმა მადარდებს, ასპარეზობისას არ იჩინოს თავი, თორემ გარანტიას გაძლევთ, მედალს აუცილებლად მოიგებს. ათლეტი, ჩვეულებრივ, ასეთი დონის ტურნირებზე იწრთობა და ლაშაც უდიდეს გამოცდილებას შეიძენს. კონკურენციის არ უნდა გეშინოდეს, პირიქით - უნდა გიხაროდეს, წინსვლა თუ გინდა. ღმერთმა თუ ინება და მედალი მოვიგეთ, ლაშასთვის ეს უდიდესი სტიმული იქნება,“-მეუბნება ბატონი იუსუპი. ღულელაურმა მართლაც სასწაული მოახდინა. მტკივანი წელით საკუთარ თავს ზემოთ ახტა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. და არ იკითხავთ ჩემპიონობამდე რა დააკლდა? სულ რაღაც ერთი სანტიმეტრი. იგი მრისხანე მეტოქეებს არ შეუშინდა. ყოველ ჯერზე შედეგებს აუმჯობესებდა და, როდესაც მესამე ცდის შემდეგ ტაბლოზე 15.49 მეტრი დაეწერა, თვალებს არ ვუჯერებდით – ეს ხომ პირველ ადგილს ნიშნავდა. 12 ფინალისტიდან თავიდანვე გამოიკვეთა სამი ფავორიტი, რომლებიც ოქროსთვის იბრძოლებდნენ: ქართველი, ფრანგი და შვეიცარიელი. საბოლოოდ ნეიტრალური ქვეყნის შვილმა ჩვენებურს ერთი სანტიმეტრით აჯობა. ბუნებრივია, შეჯიბრების შემდეგ ყველას დაგვწყდა გული, მაგრამ ამავდროულად ღულელაურის ვერცხლმაც გაგვახარა. გავკადნიერდები და ვიტყვი: სათანადო ხელშეწყობა თუ იქნა და ლაშას ვარჯიში და საერთაშორისო ტურნირებში სისტემატური ასპარეზობები არ მოაკლდება, იგი სახელოვანი სამხტომელის **ვიქტორ სანეევის** კვალს ღირსეულად გააგრძელებს. ღულელაური მესამე სპორტსმენია, რომელმაც საქართველოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალებზე „სპორტის დედოფალში“ მედალი მოუტანა. მანამდე ბირთვის კვრაში **ზურაბ გიგაიამ** 2001 წელს ბრინჯაო, ხოლო **მამუკა ტულუშმა** 2003 წელს ოქროს მედლები მოიპოვეს.

სანამ ჩვენ ლაშა ღულელაურს ვქომაგობდით, ძიუდოში ბექა ლვინიაშვილი ერთი-მეორის მიყოლებით აკრავდა ტატამზე მოწინააღმდეგეებს. ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა გერმანელი, ესტონელი, რუსი, ლატვიელი მეტოქეები და საქართველოს დელეგაციას ტრაბზონში პირველი ოქროს მედალი მოუტანა. დილით ოლიმპიური გუნდის ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი** ამბობდა, მესიზმრა, ვითომ მოკრივეთა შეჯიბრება იყო და ტაისონმა გაიმარჯვაო. შემდეგ ბექას მიუბრუნდა და ჰკითხა - შენ ხომ მეტსახელად „ტაისონას“ გეძახიან, – ჰოდა, ნუ ნერვიულობ, სიზმრები ყოველთვის კარგად მიხდებაო.




**ლევან გუგავამ** (73კგ) სტარტზე დასანანი მარცხი განიცადა ჰანტეით რუს მოწინააღმდეგესთან, მაგრამ შემდეგ ძალ-ღონე მოიკრიბა და ბერძენი, პორტუგალიელი, ებრაელი და ლატვიელი ძიუდოისტები დამაჯერებლად დაამარცხა, რითაც ბრინჯაო დაიმსახურა.

საღამოს ოლიმპიურ სოფელს სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე,** ვიცე-პრეზიდენტი **დავით გობეჯიშვილი** ესტუმრნენ და სპორტსმენებს შეხვდნენ. გია ნაცვლიშვილმა ჩემპიონ-პრიზიორებს წარმატება მიულოცა და გუნდის სხვა წევრებსაც გამარჯვება უსურვა.

ამრიგად, 27 ივლისის მონაცემებით ჩვენი გუნდი ორი ბრინჯაოს მედლით 27-ე ადგილზე იმყოფებოდა, სულ კი მედლები 30 ქვეყნის სპორტსმენებს ჰქონდათ მოპოვებული. დღევანდელი მედლებით, სავარაუდოდ, წინ 10-12 საფეხურით უნდა წავიწიოთ.

დღეს „ტრაბზონი 2011“-ის ბოლო საშეჯიბრო დღეა. ქართველთაგან მხოლოდ ძიუდოისტები - **შალვა ჩოჩელი** და გახსნის ცერემონიაზე ჩვენი მედროშე **გიორგი ლაზუაშვილი** იასპარეზებენ. დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრი ძიუდოს დარბაზისკენ ავიღებს გეზს, რათა ჭაბუკები გავამხნევოთ და იქნებ კიდევ ერთხელ ავაჟღეროთ საქართველოს ჰიმნი.



ძიუდო. ახალგაზრდული ნაკრები

# ევროპის რეპეტიცია ჩეხეთში




ამუქმეებზე საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრები პრაღაში მიემგზავრება, სადაც თანატოლთა ევროპის თასზე იჭიდავებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი გუგავამ** იქ საჭიდაოდ ასეთი შემადგენლობა შეარჩია: **გიორგი მესაბლიშვილი, ლერი ჭელიძე** (ორივე - 55), **ვაჟა მარგველაშვილი, ტრისტან ფეიქრიშვილი, გიორგი კაცია** (სამივე - 60), **ლაშა შავდათუაშვილი, ოთარ არჩვაძე** (ორივე - 66), **ფრიდონ გიგანი, მიხეილ ჩოხელი** (ორივე - 73), **ზურაბ ეპიტაშვილი, შალვა ნინიძე, ბექა რატიანი, თემურ ხაჩიძე** (ოთხივე - 81), **გიორგი მერმანიშვილი, გიორგი ქავთარაძე** (ორივე - 90), **ელგუჯა ბიბილაშვილი, გიორგი ცნობილაძე, დავით მერაბიშვილი** (სამივე - 100), **ლევან მათიაშვილი, უშანგი კოკაური** (ორივე - 120).

ესაა ბოლო საკონტროლო-შესარჩევი შეჯიბრება 16-18 სექტემბერს ბელგიურ ლომელში გასამართი ევროპის ახალგაზრდული პირველობისთვის. ამათგან დიდ ნაწილს უკვე განაღდებული აქვს იქ წასვლა, თუმცა გუგავა მათ დასახელებას არ ჩქარობს, დანარჩენთა ვინაობა კი პრაღაში გაირკვევა - ვინც იქ უკეთ იასპარეზებს, ევროპაზეც ის წავა. ჩეხეთიდან დაბრუნების შემდეგ მწვრთნელი შემადგენლობას ოფიციალურად გამოაცხადებს. ზოგიერთ წონაში კონკურენცია ისევ გრძელდება და ასეთებში გუგავა პრაღაში ყველა კანდიდატს გამოცდის. ეს ძირითადად ის წონებია, სადაც 2-ზე მეტი სპორტსმენი მიჰყავს, თუმცა გაურკვევლობა ზოგან 2-კაციან კატეგორიებშიც გრძელდება. მწვრთნელმა ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონატისა და საერთაშორისო ტურნირების შედეგებით შეარჩია. ამიტომ მასში რამდენიმე ისეთიც მოხვდა, რომლებსაც ქვეყნის პირველობაზე მედლები არ მოუპოვებიათ. სამაგიეროდ, უცხოეთში იჭიდავეს კარგად.

გუნდი ჩეხეთში ხვალ დილით გაფრინდება.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. მსოფლიოს უნივერსიადა

# უნივერსიადის ნაკრების გაირკვა




გაირკვა საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც აგვისტოში ჩინურ შანხაიში მსოფლიოს უნივერსიადაზე იასპარეზებს. **ივერი ჯიქურაულის** განკარგულებაში **პაატა მერებაშვილი** (60), **გიორგი შოშიაშვილი** (66), **ამბაკო ავალიანი** (73), **დავით კარბელაშვილი** (81), **ბეთქილ ნავერიანი** (90), **იოსებ მსხალაძე** (100) და **არჩილ სალინაძე** (+100) არიან.

81 კილოგრამში თავიდან **ლევან წიკლაური** მოიაზრებოდა, მაგრამ **გიორგი ბაინდურაშვილის** ტრავმამ ყველაფერი არია. ბაინდურაშვილი ეროვნულ ნაკრებს უნდა გაჰყოლოდა იტალიაში შეკრებაზე, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი იტკინა და მთავარ გუნდში მისი ადგილი წიკლაურმა დაიკავა. ამის შემდეგ ბაინდურაშვილი უნივერსიადის გუნდში მოინიშნეს, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევამ მძიმე ტრავმა დაადასტურა - მყესებია გაწყვეტილი, რისი მკურნალობაც საკმაო დროს მოითხოვს. ამიტომ მის ნაცვლად შემადგენლობაში კარბელაშვილი შეიყვანეს.

**ირაკლი თავაძე**

ალტერნატიული რეკორდი

# რეკორდსმენი ახმეტიდან

18 ივლისს ახმეტაში, **ზურაბ ზვიადაურის** სახელობის ძიუდოს დარბაზში მსოფლიოს რეკორდი დამყარდა მუცლის პრესის ვარჯიშში - 20 წლის ახმეტელმა **დავით ბეგიაშვილმა** ნახევარ საათში 1430 მოძრაობა შეასრულა. წინა რეკორდი ამერიკელ **გაი სკოტს** ეკუთვნოდა - 1337 ასევე ნახევარ საათში.

შეჯიბრებას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ძიუდოში **გუგული აბრამიშვილი** და ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი **აკაკი ნონიაშვილი** აკვირდებოდნენ. ასპარეზობა ალტერნატიული რეკორდების წიგნში შესატანად ჩატარდა, რომელიც მსოფლიოს რეკორდების მაფიქსირებელი წიგნია და მისი ოფისი ლაიფციგში მდებარეობს. შეჯიბრებაც მათი დებულების ზუსტი დაცვით ჩატარდა და გერმანიაში რეკორდის დამადასტურებელი ვიდეომასალაც გადაიგზავნა. პასუხიც გერმანული ოპერატიულობით მოვიდა - მიღწევა აღიარეს და დააფიქსირეს.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელი ბეგიაშვილისთვის ეს მესამე რეკორდია. პირველი მან 2009 წელს დაამყარა - 1 საათში 3203 პრესი, მეორედ კი 2010 წელს 3 საათში იგივე მოძრაობა 7237-ჯერ შეასრულა. იმ რეკორდის დამყარებას გინესის მსოფლიოს რეკორდების მაფიქსირებელი სპორტული კლუბის „რეკორდის“ თავმჯდომარე **შოთა ქელდიაშვილი,** ამავე კლუბის საშემსრულებლო კომისიის ხელმძღვანელი **დავით ბურჯანაძე** და კლუბ „მებრძოლის“ ხელმძღვანელი **ლაშა ჭურაძეც** ესწრებოდნენ.

**ირაკლი თავაძე**



● ჭადრაკი

# აროშიძე ისევ მეწინავეთა შორისაა

პამპლონაში (ესპანეთი) შვეიცარიული სისტემით (9 ტურად) 108 მოჭადრაკე ეჯიბრება ერთმანეთს (გამარჯვებული 3000 ევროს მიიღებს, მეორე-მესამეადგილოსნები, შესაბამისად, 2000 და 1500 ევროს). მათ შორისაა თბილისელი დიდოსტატი **ლევან აროშიძე**, რომელმაც ამას წინათ ერთ-ერთ ესპანურ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. იგი ახლაც ლიდერებშია. ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ კუბელი ომარ ალმეიდა მეწინავეობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით აროშიძე, იური სოლოდოვნიჩენკო (უკრაინა), რეინალდო ორტისი (კუბა), ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა) და ხულიო ზუნიგა გრანდა (პერუ) ჩამორჩებიან. მე-4 ტურში ჩვენებურმა ფრანგ იანნოელ რიფს აჯობა, ალმეიდამ ესპანელი ხავიერ მორენო დაჯაბნა, გრანდამ ვენკატეშს (ინდოეთი), სოლოდოვნიჩენკომ როი რეინალდოს (ესპანეთი), იტურისაგამ კიპრიან ბერბატოვს (ბულგარეთი), ორტისმა კი სერხიო გარსას (ესპანეთი) მოუგო. მე-5 ტურში აროშიძე იტურისაგას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

# ერთპიროვნულ ლიდერს აჯობა

ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა მოჭადრაკეთა სომხეთის საერთაშორისო ტურნირზე („სევანის ტბა-2011“) ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **ბაადურ ჯობავამ** (2713). გუშინ მე-7 ტურში მან შავი ფიგურებით 42-ე სვლაზე შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი ჰრან მელქუმიანი (სომხეთი 2600) დაამარცხა და 4,5 ქულით თავად დაწინაურდა. პირველი-მეორე ადგილების გაყოფის შანსი ჰქონდა ჩინელ ჩჟოუ ძიანჩაოს, მაგრამ იგი რუს ილდარ ხაირულინს სულ რაღაც მე-11 (!) სვლაზე დაუზავდა და წინა ტურებში მონაგარს მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ მასპინძელი სამველ ტერ-საჰაკიანი და ბელარუსი სერგეი ჟიგალკო. არმან პაშიკიანმა ზავენ ანდრიასიანი დაამარცხა, ტიგრან პეტროსიანმა კი ავეტიკ გრიგორიანს (ოთხივე-სომხეთი) სძლია.

შვიდი ტურის შემდეგ: ჯობავა-4,5, ძიანჩაო, პეტროსიანი, მელქუმიანი-4-4, ჟიგალკო, ხაირულინი, პაშიკიანი-3,5-3,5, გრიგორიანი-3, ტერ-საჰაკიანი, ანდრიასიანი-2,5-2,5 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ანდრიასიანი-ჯობავა, გრიგორიანი-მელქუმიანი, ჟიგალკო-პეტროსიანი, ხაირულინი-ტერ-საჰაკიანი, პაშიკიანი-ძიანჩაო.

**ვაჟა დანელია**



● ცურვა

# საქართველოში რეკორდსმენი, მსოფლიოში 38-ე




შანხაიში მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 17 წლის **ირაკლი ბოლქვაძემ** 200 მეტრი ბრასით 2 წუთსა და 18,42 წამში დაფარა და 57 მონაწილეს შორის 38-ე ადგილი დაიკავა. საერთაშორისო მაჩვენებლებით, გულახდილად რომ ვთქვათ, დიდი ვერაფერი შედეგია, თუნდაც იმიტომ, რომ ლიტველმა გიედრიუს ტიტენისმა, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპი მოიგო, ჩვენებურს მთელი რვა წამით აჯობა, ხოლო ნახევარფინალში საუკეთესო იაპონელმა კიტაჯიმამ - 9,61 წამით. ყოველივეს მიუხედავად, ამ ახალგაზრდა მოცურავემ ის შეძლო, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ამ დისტანციაზე მყარად შენარჩუნებულ ნაფტალინწაყრილ საქართველოს რეკორდს (2.23,98) წლეულს 30 აპრილს ბრესტში 2,12 წამი ჩამოაკლო, შანხაიში კი თავისივე მიღწევა 3,44 წამით გააუმჯობესა. რაც მთავარია, 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივს (2.16,35) საგრძნობლად მიუახლოვდა. ბოლო ოთხთვიან პროგრესს თუ გავითვალისწინებთ, ბრიტანეთში გამგზავრება სულაც არ მოჩანს უტოპიად.

**ვაჟა დანელია**

### ვაზუსტებთ!

## ვინ იმსაჯა პირველმა?

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში „ქართული სპორტის ქრონიკებში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნული იყო გვარები, ვინც პირველებმა იმსაჯეს საქართველოდან კალათბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში. გუშინვე რედაქციაში დაგვირეკა ქართული კალათბურთის „ცოცხალ ენციკლოპედიად“ აღიარებულმა რამდენიმე სპეციალისტმა და გვაუწყა, რომ ენციკლოპედიებში (რითაც ჩვენც ვისარგებლეთ) არასწორადაა დაფიქსირებული ზოგიერთი გვარი. პირველად საქართველოდან ოლიმპიადაზე მხოლოდ **გოგი ავალიშვილს** უმსაჯია.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. "გაგრა"; 6. ჯარიმა; 7. ნიჩაბი; 9. ლელო; 10. გიგიაძე; 11. ილია; 14. პიქსი; 15. სანაია; 17. იაგანი; 18. კუპერი; 19. იაძე; 20. "ჩიხურა"; 25. შამო; 26. ტრიბუნა; 28. მეფე; 31. კაკულია; 32. ბურთი; 33. "ბეზიე"; 34. სტრიტი.

**შვეულად:** 1. უგრინი; 2. ციგა; 3. გარსია; 4. ანთაძე; 5. ოჩოა; 6. ჯულელი; 8. "ირტიში"; 12. ასანიძე; 13. ცაგურია; 14. პაიკი; 16. ალისა; 21. რეფერი; 22. "კანტუ"; 23. ტრეკი; 24. გნიასი; 27. ბულიტი; 29. „სკიტა“; 30. შუბი.

თავგადასავლები

# თბილისის დინამოს ვეტერანი ფეხბურთელი - მანუჩარ მაჩაიძე

**გასული საუკუნის ბოლოს მას „მეტოქის რისხვას“ და სწორუპოვარ კაპიტანს ეძახდნენ. არაერთი გაწბილება და სიხარული უნახავს საყვარელ „დინამოსთან“ ერთად. ახლა კი... მოგონებების დრო დამდგარა.**



### ფრთხილად, გოგოები!

1972 წელია. ინდონეზიაში გავემგზავრეთ ტურნეში. მოგეხსენებათ, საბჭოთა სპორტსმენებს რა რუდუნებით მეურვეობდა კბგ საზღვრის იქით.

ამ უცხო ქვეყანაში ჩვენთვის ყველაფერი უჩვეულო და ახალი ხილი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად რამაც გაგვაოცა, იქაური გოგოების უკომპლექსობა და თავაშვებულობა იყო. შეგვკრიბეს ჩვენს საელჩოში და გვარიგებენ:

- ფრთხილად იარეთ ქუჩაში. პროვოკაციას არ წამოეგოთ. აქ ძალიან ავხორცი მეძავები დადიან. მომენტს არ უშვებენ, განსაკუთრებით მოსწონთ თეთრკანიანი მამაკაცები, უფრო განსაკუთრებით - ფეხბურთელები (გვაშინებენ!), და კიდევ უფრო მეტად - თბილისელი ფეხბურთელებიო.

- ვაი, დედაო! - შეეშინდათ ჩვენებს. უწინამც დღე გაგვქრობია, ვიდრე მაგათ დავნებდებითო. ამიტომ სულ ერთად (ყველას რას მოგვერევიან!) დავდიოდით კინოსა თუ მაღაზიებში.

„კაცმა მალა, მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო“.

ერთი მორიგი გუნდური გასეირნება გვაქვს. პირველ ხანებში თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად მიდიოდა. მანქანიანი „ნაშები“ გვივლიდნენ გარშემო (ბიზონებს რომ ლომები ზვერავენ, რომელიმე იქნება მარტო დავიჭიროთო - ისე). ამ ამბავში ვართ და ხელმარცხნივ ჩოჩქოლი ატყდა. სანამ მდგომარეობაში გავერკვეოდით, კაცის განწირული ხმა მოგვესმა:

- პამაგიწე რებიატააა! სპასიწეეე!

კი გაგვიკვირდა, ნეტავი ვინაა ამ შუა ინდონეზიაში, ეს საწყალი ვიღაცა რუსი რომ გამოუჭერიათ-თქო, მაგრამ მერე დაგვცეცხლა ტვინში, როდესაც გოგოებით გარშემორტყმული ჩვენი „მიამიტი“ მწვრთნელი გავრილ კაჩალინი დავინახეთ ამ გაჭირვება-გაუგებრობაში.

მაშინ კი დავიკაპიწეთ ხელები მადლიერმა შეგირდებმა და ბრძოლის შუაგულში გადავეშვით. თავგამოდებამ შედეგი გამოიღო, ძლივს, როგორც ქუთაისლები იტყვიან, ძლივს „დავჩხვენით“ ხელიდან მოძალადე გოგოებს ჩვენი ჭარმაგი, უდანაშაულო „ტრენერი“.

### ნუ გეშინია - არ ვარ ვამპირი!

ვინ არ იცის, რომ ნებისმიერ კოლექტივში, სპორტია თუ თეატრი - კოლეგები სულ ერთმანეთს „აშაყირებენ“. ხანდახან ასეთი შეხუმრება დიდი უსიამოვნებითაც მთავრდება, მაგრამ ცოცხალ კაცს მასხრობას ვინ აუკრძალავს?!

1971 წელია. ტურნე გვაქვს ცეილონში. ბუნებრივია, საქეიფოდ არავინ გაგვიშვებდა, მაგრამ კინოში წასვლა „მოსული იყო“. წავედით კიდევაც მთელი შემადგენლობა.

ჩვენი ბედი რა ვთქვი: მაინცდამაინც „უჟასი“ ფილმი გადიოდა - დრაკულა, ვამპირები და ა.შ. ჩვენთვის ასეთი ფილმები უცხო იყო და სულ სკამის სახელურებს ვეჭიდებოდით შიშისგან. ორი საათი ვაჟკაცურად გავძელით. გამოვედით თუ გამოვბარბაცდით იმ კინოთეატრიდან. მოვდივართ კრიჭაშეკრულები და შთაბეჭდილებებით გაბრუებულები. ზოგს შიშისგან ფერიც არ ადევს სახეზე. ხმას ვერ ვიღებთ. ნიკანდრო ქილიასი არ იყოს - „დედა, რა იყო ეს!!?“

- რამ შეგაშინათ, რამ წაგახდინათ! - რა იყო ახლა აქ ასეთი საშიში. დაგვცინის ჩვენი თანაგუნდელი ფეხბურთელი „რ.ფ.“. რომელიც რეზო ძოძუაშვილის განუყრელი მეგობარი იყო (!) და მუდამ ერთ ნომერში ცხოვრობენ-ხოლმე.

- ვაა... აპა ის კაი იყო, დიდმა, წვერებიანმა კაცმა რო პატარა ბიჭი შეჭამა... ჯერ უკბინა და ისე?!

- ეგ ხომ კინოა, თქვე შტერებო, გოიმები ხართ, ბიჭო? - არ ისვენებს „რ.ფ.“. მე სულაც არ შემშინებია. რეზო, შენ? - გახედა ფერდაკარგულ რეზო-ძმაკაცს.

- მე... ცოტათი... გაამხილა ძოძუაშვილმა.

- აბა მე „ვაბშე“ არ შემშინებია, ძმაო....

და იმის დემონსტრირებისთვის, რომ მართლა არ შეშინებია, შებრუნდა - ახლა მეორე სეანსსაც უნდა ვუყუროო. ბევრი ვუშალეთ, მაგრამ ველარ მოვაბრუნეთ.

- მართლა მაგარი ყოფილა ეგ კაცი ძმაო - თქვა ერთმა.

- მხეცია, სიმონ! - აღტაცება ვერ დამალა მეორემ.

- ნერვები მაქვსო მაგან უნდა თქვას - თქვა მესამემ.

მეოთხეს არაფერი უთქვამს და ამასობაში მივედით ჩვენს სასტუმროში. დავრიგდით ჩვენ-ჩვენ ნომრებში და წავისვენეთ.

გადის 2-3 საათი და კორიდორიდან განწირული ყვირილი გვესმის:

- მიიიშველეეეეეთთ!!! და მორჩა, ხმა აღარ გაგვიგონია.

გამოვცვივდით ნომრებიდან და ინსტიქტურად, რეზო ძოძუაშვილის ნომრისკენ გავცვივდით (ვარაუდით ხმა იქედან მოდიოდა) შევალეთ კარები და რას ვხედავთ. აგდია ძირს ეს ჩვენი „უშიშარი“ „რ.ფ.“ და რეზო ასულიერებს.

- რა ხდება რეზო?! - შემოვესიეთ გაჭირვებულებს.

- ჩქარა, წყალი... წყალი!!! ყვირის რეზო და უტყაპუნებს ლოყებში ხელებს ჩვენს უშიშარს - მე ვარ ბიჭო, ნუ გეშინია, რეზო ვარ ბიჭოოო!!!

...მეორე სეანსნაყურები „რ.ფ.“ მოსულა კინოდან, შესულა თავის ნომერში. გაუხდია პერანგი, რომ კარადაში უნდა შეკიდოს და ვეეეე!!!“ - დაუძახებია წელსზემოთ გახდილ რეზო ძოძუაშვილს „შკაფიდან“.

კომენტარი მკითხველისთვის მომინდვია. რეზო კი თავში ხელებს ირტყამდა ეს რა ვქენი, სულაც არ მინდოდაო, მაგრამ „რ.ფ.“ იმ დღიდან „უჟასებზე“ აღარასდროს წასულა...

### რას გადაურჩა დინამო

დასავლეთ გერმანიაში ვართ. ჩვენი თაობა „ბითლსების“ უკვდავი ხელოვნების ტრფიალი გახლდათ. მართალია, ამ შესანიშნავი კოლექტივიდან ცოცხალი არცერთი იყო პოლ მაკარტნის გარდა, მაგრამ პოლიც ხომ მათი იყო და მოგვეცა ბედნიერება ამ ლეგენდარული მუსიკოსის სოლო კონცერტს დავსწრებოდით.

მესამე ამბავს ვყვები და მესამედ ვუსვამ ხაზს, რომ ასეთი რამ ჩვენთვის „ისტორიული მოვლენა“ იყო და რა ბიჭები გავუშვებდით ხელიდან?

გულახდილად უნდა აღვნიშნო ჩვენი პირველი გაკვირვება-გაოცება. ბატონი პოლი ესტრადის სცენაზე ჩვენთვის უჩვეულო ჩაცმულობით მოგვევლინა: თეთრი, უთეთრესი კოსტიუმი (პიჯაკი) პირდაპირ შიშველ ტანზე ეცვა. ეს არაფერი. ყველაზე მეტად ის გაგვიკვირდა, რომ ამ პიჯაკის შიგნით შიშველ მკერდს შავი ჰალსტუხი „აკომლექტებდა“.

ხალხის ტევა არა. მიღებულია ყველა ზომა, რომ უსიამოვნო ინცინდენტი არ მოხდეს. პოლიციის განუსაზღვრელი რაოდენობა, ძაღლები... მოკლედ საოცრებაში ვართ. ზღაპარში.

დაიწყო კონცერტი და გადაირია მაყურებელი. აპარატურა უზარმაზარ ხმაზეა დაყენებული. ყურები თუ არ დაგვისკდება - კარგია. აიზილა ყველაფერი ერთმანეთში.

ექვს ნომერს კი ვაჟკაცურად გავუძელით, მეშვიდეზე ვიგრძენით, რომ კიდევ ცოტა და სმენას (ყურთასმენზეა ლაპარაკი) დავკარგავთ. ზოგმა (ყვირილით) - უხერხულია ბიჭებო, მოგვეჭრება თავი თბილისში, პოლ მაკარტნის კონცერტი მიატოვესო, მაგრამ უმრავლესობამ თავისი გაიტანა და სულ ჯიკავ-ჯიკავით გამოვაგდეთ ერთმანეთი ამ კაკაფონიიდან.

დავრიგდით ნომრებში. ჩავრთეთ საღამოს ნომერში ტელევიზორი და „ახალი ამბები“ (ჩვენებურად) გვამცნობს, რომ ჩვენი გამოსვლა და იქ ჩხუბი ამტყდარააა! ვუყურებთ ტელევიზორის ეკრანზე, როგორი წივილ-წივილით დგანან რიგში სასწრაფოს მანქანები და გაჰყავთ ხელ-ფეხმოტეხილი, დამტვრეული, ნაცემი და ნაწამები მაყურებელფანები.

მაშინ კი ვირწმუნეთ, რა ჭკვიანურად მოვიქეცით დროზე რომ დავტოვეთ იქაურობა...

### ვსვამ, აპა არააა?

მოარული აზრი, რომ „დინამოს“ ფეხბურთელებს სმა უყვართ - ძალიან გაზვიადებულია...

არიან და იყვნენ ბიჭები, რომლებიც ისე სვამდნენ, რომ თვით განთქმულ კახელ თამადასაც კი „ჯიბეში ჩაისვამდნენ“, მაგრამ ეს „პროცედურა“ თუ პროცედურები - წარსულს ჩაბარდა. თანაც, თავდადებით ვიტყვი, რომ ასეთი რამ ვარჯიშის და მითუმეტეს - მატჩის დროს არასდროს მომხდარა. ისე კი - სასმელი იმიტომაა, უნდა დაილიოს.

მიმხვედრი მიხვდება. ქართველს ვერ გადააკეთებ - ვაზის ძირში დაბადებულს და გაზრდილს.

ეს ზოგადად. მე კი დაბეჯითებით ვიტყვი და გავიმეორებ („ვაჟკაცურად და ჩემდათავად“), რომ სასმელისგან ძალიან შორს ვარ. იშვიათად თუ დავლევ, ისიც ხათრის და „ეტიკეტისთვის“.

ხომ გიქეთ და გიდიდეთ ჩემი თავი. ასეა ეს და ყველა თანაგუნდელი დამემოწმება რომ მთვრალი მანუჩარი (მითუმეტეს „საქმის“ დროს) არავის უნახავს.

ერთხელაც, გოგირდის აბანოდან გამოვედი. მიცნეს „მეიდნელმა“ ფანებმა.

- ბატონო მანუჩარ. - მოკრძალებით მომიახლოვდა და მომმართა ერთმა ლიპიანმა - ცივი შამპანური არ... ზედაც მწვად-ხინკალი - რა! გვიკადრე რაა!

- დიდი მადლობა - ვეუბნები ხათრიანად. არ ვსვამ მეგობარო.

ამ დროს მეორე, არანაკლებ ლიპიანმა უცერემონიოდ მომმართა:

- კარგი რა „მანკა“ - მაიცა რაა... რას არა სვამო! შენ არ იყავი ფუნიკულიორზე შამპანურს „ვედროთი“ რომ სვამდი?

„ვიღაცაში ნაღდად ვეშლები... მე და... ვედრო კაცო? არა, ნამდვილად ვეშლები ვიღაცაში“ - დატრიალდა თავში და ჩემდა გასაკვირად, ტვინი „სულ სხვანაირად“ ამუშავდა, - საპირისპიროდ და...

ფეხბურთის გარდა ხომ შეიძლება ჩემს მომავალ თაობას სალაპარაკო ჰქონდეს - „მანუჩარი, ჩვენი ფეხბურთელი ბაბუა, ვედრო ღვინოს სვამდა თავის დროზეო“.

წარმოვიდგინე ყველაფერი. ყელი მოვიღერე და გაუპრანჭავად ვთქვი:

- მოხდა ერთხელ... იყო ასეთი ამბავი... აბა, მოიტანეთ შამპანური და ვედრო არ დაგავიწყდეთ! შემივსეთ და მერე მე ვიცი!“

ასეა... ჩათრევას ჩაყოლა ჯობია (გაგრძელება აღარ მახსოვს).

***P.S.** საამბობი და სასეირო კიდევ ბევრი მაქვს მურმან, მაგრამ ფორმატში (როგორც ვატყობ) ვერ ვეტევით. თუ როდესმე მეორე „კრუგ ზე“ წახვალთ, ჩემი თავი გენაცვალოთ.*

*დიდი მოკითხვა „ლელოს“ კოლექტივს უდიდესი პატივისცემით - თქვენი მანუჩარ მაჩაიძე.*

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# იგორ კოკოშკოვი: საქართველო, სხვა კუთხით დანახული კალათბურთი




ამერიკულ გაზეთ „აზ სენტრალში" გამოქვეყნდა სტატია საქართველოს ნაკრების თავკაცის, **იგორ კოკოშკოვის** შესახებ. ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს იმის დანახვა, როგორ მოჩანს პატარა საქართველო ამერიკიდან...

„იგორ კოკოშკოვი „ფინიქსში" ასისტენტად მუშაობს, თუმცა ყოველ ზაფხულს ევროპაში მთავარი მწვრთნელის რანგში კვალიფიკაციას იმაღლებს - საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებს.

იგი სერბული კალათბურთის ისტორიაში უმაღლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელადაა შესული - 24 წლისა იყო, როცა სამწვრთნელო საქმიანობას შეუდგა. კოკოშკოვი ასევე იყო პირველი ევროპელი მთავარი მწვრთნელი ამერიკის კოლეჯების ლიგაში და პირველი ევროპელი ასისტენტი NBA-ში.

ალბათ ყველას აინტერესებს, რა შეუძლია „ფინიქსის" შტაბში მომუშავე რიგით სპეციალისტს. პასუხიც იოლი მოსაძებნია - მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატს მიაღწია. იგორმა ამერიკა უკვე დატოვა და სანაკრებო საქმიანობას შეუდგა.

*- საქართველოს ნაკრებში მუშაობა პროფესიულ წინსვლაში ძალიან მეხმარება, დიდ გამოცდილებას ვიღებ. NBA-ს სეზონის შემდეგ ევროპაში ჩავდივარ და ორი თვე ნაკრებთან ერთად ვმუშაობ. ეს ჩემთვის მეტად სასარგებლოა.*

კოკოშკოვის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ „ატლანტა ჰოქსის" ცენტრი **ზაზა ფაჩულია**, „ფინიქსის" ყოფილი კალათბურთელი **ნიკა ცქიტიშვილი** და ორი ნატურალიზებული - ფლორიდელი **ტორინ გრინი** და ტეხასელი **მარკიზ ჰეინსი**. როგორც თავად ამბობს, კოკოშკოვი ვარჯიშებს ინგლისურ ენაზე წარმართავს, რადგან საერთაშორისო საკალათბურთო ენა სწორედ ინგლისურია.

*- ამერიკაში 12 წელია ვმუშაობ და NBA-ს კალათბურთი კარგად შევისწავლე. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც საქართველოს ნაკრებს ვავარჯიშებ, ისაა, რომ მინდა ევროპულ სტილს არ მოვწყდე. მართალია, NBA მსოფლიოს საუკეთესო ლიგაა, მაგრამ საქართველოში მუშაობა მეხმარება კალათბურთის სხვა კუთხით დანახვაში,* - ამბობს 39 წლის იგორი.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველო (4.6 მილიონი მოსახლე) ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა. ეს გუნდი პირველად მოხვდა ევროპის პირველობაზე, სადაც არაერთ ვარსკვლავურ გუნდს შეხვდება. მაგალითად, სლოვენიას, რომლის შემადგენლობაში „ფინიქსში" იგორ კოკოშკოვის ყოფილი შეგირდი **გორან დრაგიჩი** თამაშობს. საქართველო ასევე დაუპირისპირდება რუსეთს, ბულგარეთს, უკრაინასა და ბელგიას.

კოკოშკოვს იმედი აქვს, რომ ევროპიდან „ფინიქსში" წარმატებითა და მეტი გამოცდილებით დაბრუნდება:

*- ყოველი სეზონის წინ, რამდენჯერაც ევროპიდან ამერიკაში ჩავედი, იმდენჯერ ვგრძნობდი, რომ ბევრი რამ შევიძინე. ვიმედოვნებ, ამჯერადაც ასე იქნება.*

საქართველოს ნაკრების მეტოქე



სლოვენია-მაკედონია. ეტევს ლაკოვიჩი

# სლოვენიამ უკვე ორი მოიგო

**სლოვენია-პოლონეთი 69:54**

18:21, 18:12, 14:11, 19:10

**სლოვენია:** ლაპორნიკი, ლაკოვიჩი (7ქ), ს. უდრიხი (3), ნახბარი (8), გ. დრაგიჩი (18), იაგოდნიკი (6), ზუპანი (2), ბეგიჩი (4), ბლაჟიჩი, ოუბოლტი (3), ზ. დრაგიჩი (10), სლოკარი (8).

**სლოვენია-მაკედონია 83:71**

26:16, 14:23, 24:18, 18:14

**სლოვენია:** ლაპორნიკი, ლაკოვიჩი (13), სმოდიში (13), ს. უდრიხი (2), ნახბარი (2), გ, დრაგიჩი (3), იაგოდნიკი (9), ბეგიჩი (2), ლორბეკი (20), ოუბოლტი (7), ზ. დრაგიჩი (5), სლოკარი (7).

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მოწინააღმდეგე სლოვენიამ ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა. ჯერ პოლონეთს დაუპირისპირდა, შემდეგ - მაკედონიას.

პოლონელებთან ბალკანელებმა 69:54 იმარჯვეს. გუნდს წარმატებისკენ „ჰიუსტონის" გამთამაშებელი **გორან დრაგიჩი** გაუძღვა, რომლის ანგარიშზე 18 ქულაა.

პოლონელთა რიგებში არც **მარცინ გორტატს** უთამაშია და არც **მაცეი ლამპეს.**

მეორე შეხვედრა შედარებით თანაბარი გამოდგა, თუმცა ბოლო პერიოდში სლოვენიამ გაცილებით უკეთესად ითამაშა და მაკედონია 83:71 დაამარცხა. ამჯერად საქართველოს ნაკრების მეტოქის ლიდერად **ერაზემ ლორბეკი** მოგვევლინა, რომლის ანგარიშზე 20 ბალია (თამაშიდან 13 ტყორცნიდან 10 გამოიყენა).

სწორედ ამ მატჩების შემდეგ დაემშვიდობა ნაკრებს ტრავმირებული **ბოსტიან ნახბარი.**

**სლოვენიელთა საკონტროლო...**

**3 აგვისტო**

ლატვია-სლოვენია (კლაიპედა)

**6 აგვისტო**

სლოვენია-ბოსნია (ლიუბლიანა)

**7 აგვისტო**

სლოვენია-ჩერნოგორია (ლიუბლიანა)

**8 აგვისტო**

სლოვენია-ხორვატია (ლიუბლიანა)

**21 აგვისტო**

ესპანეთი-სლოვენია (გრანადა)

**24 აგვისტო**

სლოვენია-ლიტვა (ლიუბლიანა)

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

საზაფხულო კემპი

# კვეტენაძე, სერბეთი თუ სამედიცინო?

## სტეფანოვიჩი: კოკოშკოვს პოტენციალი კოჭებში ეტყობოდა

ივნისში ვწერდით, რომ ორი ქართველი კალათბურთელი, **გიგა კვეტენაძე** და **ლევან სულაბერიძე** სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ორთვიან კემპში მონაწილეობენ. მათთან ერთად ბალკანეთში არაერთი ქვეყნის კალათბურთელები არიან შეკრებილნი და კემპის დასრულების შემდეგ სხვადასხვა კლუბიები მათთვის საინტერესო მოთამაშეებს აიყვანენ.

მსურველები უკვე გამოუჩნდნენ გიგა კვეტენაძეს, რომელიც სერბი სპეციალისტის **გორან სტეფანოვიჩის** ხელმძღვანელობით ინდივიდუალურად ვარჯიშობს. სწორედ ამ მწვრთნელმა გაუწია რეკომენდაცია გიგას რამდენიმე სერბულ კლუბში.

როგორც კალათბურთელის მამამ **გელა კვეტენაძემ** გვითხრა, კემპის დასრულების შემდეგ გიგა, სავარაუდოდ, სამ კლუბში გაივლის წვრთნას: უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ „მეგა ვიზურაში", რომელიც გასულ სეზონში მერვე ადგილზე გავიდა; პირველლიგელებში „სპარტაკსა" და „სტუდენტში".

თუმცა უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ კვეტენაძე მომავალ სეზონს მაინც საქართველოში დაიწყებს. იგი აქამდე „სოხუმის" ღირსებას იცავდა, მომავალი სეზონისთვის კი „სამედიცინოს" დაემატება.

გუშინ სერბეთში დავუკავშირდით მწვრთნელ გორან სტეფანოვიჩს, რომელმაც ქართველ კალათბურთელებზეც ილაპარაკა და ეროვნულ ნაკრებსაც შეეხო. აი, რა თქვა გიგა კვეტენაძის შესახებ:

*- იგი ნიჭიერი კალათბურთელია და შეუძლია მაღალი დონის მფუბუქ ფორვარდად ჩამოყალიბდეს. კარგი ნახტომიც აქვს, სიმაღლეც და სროლის სიზუსტითაც გამოირჩევა, თუმცა ამ კომპონენტებზე ახლაც ბევრს ვმუშაობთ. გიგას რამდენიმე კლუბში გავუწიე რეკომენდაცია, რომელთაგან უმეტესობა სერბულია, თუმცა არის ჩერნოგორიული და ბოსნიური გუნდებიც.*

ბატონმა გორანმა ლევან სულაბერიძეზეც ილაპარაკა:

*- იგი წინახაზელია. ბევრს მუშაობს და გიგასთან ერთად წვრთნის დასაწყისიდან დღემდე სერიოზული პროგრესი განიცადა.*

სერბმა სპეციალისტმა ისიც გვითხრა, რომ კემპის მონაწილეების სატრანსფერო საკითხები აგვისტოს შუაში გაირკვევა.

გორან სტეფანოვიჩს საქართველოს ნაკრების თავკაცის, **იგორ კოკოშკოვის** შესახებაც ვკითხეთ. როგორც აღმოჩნდა, იგი კოკოშკოვს კარგად იცნობს.

*- იგორთან ერთად ბელგრადის „პარტიზანში" ვმუშაობდი. მაშინვე ეტყობოდა, რომ სამწვრთნელო საქმიანობაში ბევრს მიაღწევდა. ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებები იგორ კოკოშკოვს უკავშირდება. ძალიან მაინტერესებს ევროპის ჩემპიონატზე თქვენი გუნდის ხილვა. იმედია, იქაც წარმატებით გამოხვალთ.*


გელა კვეტენაძე

U 18. B დივიზიონი

# პორტუგალიასთანაც...

**ვარნა. ბულგარეთი**

**28 ივლისი**

**საქართველო-პორტუგალია 57:61**

16:14, 16:14, 12:17, 13:16

**საქართველო:** ჩოჩია (15 წთ, 3ქ, 2პ), რამიშვილი (9 წთ, 1ქ), ბურჯანაძე (32 წთ, 12ქ, 10მ), კვანტალიანი (13 წთ, 2ქ), ლოლიშვილი (22 წთ, 2პ), მიქელაძე (29 წთ, 8ქ, 4მ, 4პ), ლობჟანიძე (18 წთ, 4ქ, 7მ, 3პ), ცირეკიძე (35 წთ, 20ქ, 7მ, 2დ), როგავა (11 წთ, 2ქ, 2პ), გრძელიძე (16 წთ, 5ქ).

**პორტუგალია:** გროსო (7ქ, 10მ), კალენბახი (23ქ), ვენტურა (10ქ, 6მ, 5პ), გალინა (7ქ, 8მ)...

ზედიზედ მეორე მატჩია საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები 61 ქულას აგდებენ. ეს არცთუ მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ სამწუხაროდ, 61 ქულა გამარჯვებისთვის ინგლისსაც ეყო და პორტუგალიასაც. პირენეელებთან კავკასიელებმა 57:61 დათმეს.

მატჩი თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და წინასწარ ცხადი იყო, რომ გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებს უნდა გაერკვია. სირენამდე 2:53 წუთით ადრე **ბურჯანაძემ** სამქულიანი ჩააგდო და ტაბლოზე წყვილი ანგარიში დააფიქსირა - 55:55. მატჩის დასრულებას 2:01 წუთი უკლდა, რომ **ცირეკიძემ** ანგარიში კვლავ გაათანაბრა (57:57). 38-ე წუთიდან მოყოლებული ქულებს მხოლოდ ერთი გუნდი ითვლიდა - პორტუგალიელებმა 4 ქულა ჩააგდეს და, როგორც გითხარით, 61:57 გაიმარჯვეს.

მეტოქემ მოხსნებშიც გვაჯობა (47:42) და რეალიზებულ სამქულიანებშიც (8:4). შესაბამისად, ქართველთა წაგებას ალოგიკურს ვერ ვუწოდებთ. თუმცა, ერთ მნიშვნელოვან ფაქტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: დივიზიონში პირველი მატჩის წაგებამ ჭაბუკებზე იმდენად ცუდად იმოქმედა, რომ ჩემპიონატისთვის სათანადოდ განწყობა ჯერაც ვერ მოახერხეს. არადა, მეტი რომ შეუძლიათ, მასპინძელი ბულგარეთის წინააღმდეგ მატჩშიც გამოჩნდა, რომელიც ჩვენმა გუნდმა კარგად ჩაატარა და ბოლო წამებზე დამარცხდა.

ფსიქოლოგიური ფონი რამდენად მნიშვნელოვანია, ამაზე ახალგაზრდული ნაკრების შედეგიც მეტყველებს: ყველა ერთხმად აღიარებს, რომ 20-წლამდელი ესტონელების ძლევის შემდეგ თავდაჯერება შეემატათ და დარჩენილი მატჩები ხალისიანად ჩაატარეს. თუმცაღა, გახსნის მატჩში 20-წლამდელებსაც გაუჭირდათ - აუტსაიდერმა შვეიცარიამ ძალიან ანერვიულა.

შეგახსენებთ, რომ 18-წლამდელებმა ჩემპიონატის პირველი შეხვედრა უნგრეთთან დიდი სხვაობით წააგეს და მას მერე საკუთარი თამაშის პოვნა უჭირთ.

გუშინ, პორტუგალიასთან ქართველთაგან მხოლოდ ორმა კალათბურთელმა გადალახა ათქულიანი ნიშნული: ბურჯანაძემ 12 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა, ხოლო ცირეკიძემ 20 ქულა და 7 მოხსნა.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩს დღეს, 20:15 საათზე ჩაატარებს. მისი მეტოქე ქვეჯგუფში ჯერაც დაუმარცხებელი ბელგია იქნება. თუ ეს შეხვედრა საქართველომ მოიგო, ხოლო პარალელურად ინგლისმა ლუქსემბურგთან დათმო, ჩვენი ბიჭები ჯგუფში მესამე ადგილს დაიკავებენ და მეცამეტე ადგილისთვის მატჩში G ჯგუფის მესამეადგილოსანს დაუპირისპირდებიან. ბელგიასთან წაგების შემთხვევაში კი ქართველებს მეთხუთმეტე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 7 |
| 2. ბელგია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 3. ინგლისი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 5. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 2 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ერი

# ფიტი მნამს ბოლო გაკვირვებს



სამხრეთაფრიკულ რაგბიში საოცარი ამბები ხდება. შეგახსენებთ, რომ სამი ერის გათამაშების დაწყებამდე „ბოკეს“ მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის 21 მორაგბეს სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები აწუხებთ და დასვენება, იარების მოშუშება სჭირდებათ.

თუმცა, თვალმახვილ ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ, რომ რუსტენბურგის საწვრთნელ ბაზაზე ოცდაერთივე შეიკრიბა და ლამის საიდუმლო საწვრთნელი ბანაკი მოაწყვეს. ამ თემაზე ატეხილი სკანდალის სიმწვავის განელებას, ველინგთონში გამართულ პრესკონფერენციაზე, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი **ჯური რუ** შეეცადა.

*„ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ტრავმირებული მოთამაშეები რუსტენბურგის ბაზაზე შევკრიბეთ, მაგრამ გარწმუნებთ, არავითარი ალტერნატიული, საიდუმლო საწვრთნელი ბანაკი არ არსებობს. ეს მორაგბეები მართლაც ტრავმირებულები არიან და მკურნალობას, რეაბილიტაციას საჭიროებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი მათგანი ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასზე თამაშს ვერ შეძლებდა. ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს სამ ერზე სათამაშოდ სამხრეთ აფრიკის A ნაკრები განზრახ გავიყვანეთ.*

*სხვაგვარად რომ გაგვეკეთებინა, ახლა ახალ ზელანდიაში სამუშაოს საძებნად ჩამოვიდოდი, რაც, გარწმუნებთ, ყველაზე მეტად არ მინდა“* - თქვა მან.

აღნიშნულ ფაქტზე კომენტარი პიტერ დე ფილიერსმაც გააკეთა, თუმცა შინაარსი აღმასრულებელი დირექტორის ნაამბობისგან არაფრით განსხვავდებოდა.

დე ფილერსს ამაზე არანაკლებ მწვავე პრობლემები აქვს გუნდში. ერთი კვირის წინათ ავსტრალიის ნაკრებთან წაგებულ მატჩში დაშავდნენ და შაბათს „ოლ ბლექსთან“ ვერ ითამაშებენ ფულ ბეკი **ხიო ეპლონი** და მეორეხაზელი **იოჰან მულერი**. ეპლონს სამხრეთაფრიკული რაგბის ამომავალი ვარსკვლავი **პატრიკ ლამბიე** შეცვლის, მეორე ხაზში კი მულერის ადგილს **გერჰარდ მოსტერტი** დაიკავებს. ორივე მათგანი ძირითად შემადგენლობაში თამაშს პირველად დაიწყებს.

დე ფილიერსმა რვა ნომრის პოზიციაზე მეორეხაზელი **დენი როსუ** გადაიყვანა, რადგან ჯანმრთელი მესამეხაზელი ერთიც აღარ დარჩა.

*„არ ვიცი გახსოვთ თუ არა, მაგრამ გერჰარდ მოსტერტი პირველად ნაკრებში 2008 წელს გამოვიძახე. მას მერე ბიჭი ტრავმებმა გააწამა. წლეულს კი „ნატალ შარქსის“ შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მას ბრწყინვალე შანსი ეძლევა ეროვნულ გუნდში ადგილი დაიმკვიდროს.*

*ასევე საინტერესოა, როგორ გაართმევს ფულბეკის მოვალეობას თავს ახალგაზრდა პატრიკ ლამბიე. ჩვენს ნაკრებს ძალიან ბევრი პრობლემა აქვს. ერთი კვირის წინათ განცდილი მარცხის მიზეზები გავაანალიზეთ, სათანადო დასკვნებიც გავაკეთეთ და, ვფიქრობ, ყველა მოთამაშემ კარგად იცის, ველინგთონში რა მოგველის“* - თქვა პიტერ დე ფილიერსმა.

სამხრეთაფრიკა: **15. პატრიკ ლამბიე, 14. ბიორნ ბესონი, 13. ადი იაკობსი, 12. იუან დე იონგი, 11. ლუაზი მვოვო, 10. მორნი სტეინი, 9. რუან პინარი. 1. დინ გრეილინგი, 2. ჯონ სმიტი, 3. ვერნერ კრუხერი, 4. გერხარდ მოსტერტი, 5. ალისტერ ჰარგრეივზი, 6. დეონ სტიგმანი, 7. იან დეისელი, 8. დენი როსუ.**

**16. ჩილიბოი რელეპელე, 17. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 18. რაიან კანკოვსკი, 19. ეშლი ჯონსონი, 20. შარლ მაკლოიდი, 21. ვინანდ ულიფიე, 22. ოდვა ნდუნგანე.**

# დენ კარტერი რეკორდს შეუტევს

სამი ერის გათამაშების მეორე ტურში ახალი ზელანდიის ნაკრები შინ მიიღებს მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს, რომელსაც ახლა საკმაოდ მძიმე დროება უდგას. „ბოკემ“ პირველ ტურში სტუმრად წააგო ავტრალიის ნაკრებთან - 20:39.

„ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** შემადგენლობაში, რომელმაც ერთი კვირის წინათ ფიჯის ნაკრებთან ტესტმატჩში ითამაშა, ოთხი ცვლილება განახორციელა. კვლავ ძირითადში ითამაშებს მგეზავი **დენ კარტერი**, რომელიც ახალგაზრდა **კოლინ სლეიდს** შეცვლის. კარტერს შანსი აქვს ინგლისელი მგეზავის, **ჯონი ვილკინსონის** მსოფლიო რეკორდი მოხსნას. „ვილკოს“ ანგარიშზე ამჟამად 1195 ქულაა და კარტერი მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

მესამე ხაზში **ჯერომ კაინო** ითამაშებს, **ქორი ჯეინი** კი, რომელმაც ITM-ის თასის გათამაშებაში ხელი დაიშავა, ჰენრიმ ფრთაზე გადაიყვანა. რვა ნომრის პოზიციაზე **ადამ თომსონი** იქნება, რომელიც აქამდე მუდმივად სათადარიგოთა სკამიდან ერთვებოდა თამაშში.

სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა **სონი ბილ ვილიამსმა**, რომელმაც ადგილი გამოცდილ, მრავალჯერ ნაცად შუამარბთა წყვილს, **კონრად სმითსა** და **მაა ნონუს** დაუთმო.

*„სამხრეთ აფრიკა ამაყი სარაგბო ქვეყანაა და არაფრით დაუშვებენ, რომ ზედიზედ ორჯერ ისე შერცხვნენ, როგორც ერთი კვირის წინათ ავსტრალიის ნაკრებთან. ამიტომ, როგორი შემადგენლობითაც უნდა ითამაშოს „ბოკემ“, მათ წინააღმდეგ მაქსიმალური ყურადღებით გარჯა მოგვიწევს“* - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ.

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. ქორი ჯეინი, 13. კონრად სმიტი, 12. მაა ნონუ, 11. ზაკ გილფორდი, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი. 1. უაიტ კროკეტი, 2. ენდრიუ ჰორი, 3. ბენ ფრენკსი, 4. სემ ვაითლოქი, 5. ალი ვილიამსი, 6. ჯერომ კაიონო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. ადამ თომსონი.**

16. კორინ ფლინი, 17. ჯონ აფოა, 18. ჯერარდ ჰოეთა, 19. ლიამ მესამი, 20. პირი ვიპუ, 21. კოლინ სლეიდი, 22. სონი ბილ ვილიამსი



**სატურნირო მდგომარეობა**

1. ავსტრალია - 5 ქულა, 2. ახალი ზელანდია - 0, 3. სამ.აფრიკა - 0

**30 ივლისი**

ახალი ზელანდია-სამ.აფრიკა

**6 აგვისტო**

ახალი ზელანდია-ავსტრალია

**13 აგვისტო**

სამ.აფრიკა-ავსტრალია

**20 აგვისტო**

სამ. აფრიკა-ახალი ზელანდია

**27 აგვისტო**

ავსტრალია-ახალი ზელანდია

ამბები

## ლომუ ინგლისელთა გადაწყვეტილებამ გაანაწყენა

ახალახან ინგლისის რაგბის კავშირმა განაცხადა, რომ „პომები“ მსოფლიოს თასზე პირველ შეხვედრას არგენტინის ნაკრებთან თავიანთთვის უჩვეულო, შავ ფორმებში გამართავენ.

ახალზელანდიელთა მხრიდან, რომლის ეროვნული ნაკრების ტრადიციული ფერი შავია, ოფიციალურად აქამდე პროტესტი არავის გამოუთქვამს. არადა, „ოლ ბლექსად“ (შავები) ამ ქვეყნის ნაკრები 1905 წლიდან მოიხსენიება.

„პირველი მერცხალი“, ვინც ინგლისელთა ამ „კადნიერბაზე“ კომენტარი გააკეთა, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე **ჯონა ლომუა**.

*„ვერაფრით ამიხსნია ინგლისელთა ამ გადაწყვეტილების მიზანი. ვფიქრობ, ეს წარსულის, ტრადიციების შეურაცხყოფაა. არადა, მათ ჩვენზე არანაკლები ტრადიციები და შესანიშნავი ფორმები აქვთ.*

*ვერ წარმომიდგენია, როგორ გამორბიან მოედანზე შავებში გამოწკეპილი ინგლისელები. მე ერთ-ერთი მორაგბე ვარ იმ უამრავიდან, რომელიც რაგბის ძველ ტრადიცებზე გაიზარდა. შავი ფერი ყოველთვის ახალ ზელანდიასთან ასოცირდებოდა, თეთრი კი ინგლისთან. ვერ გამიგია, რას ერჩიან ისინი თავიანთ თეთრ მუნდირებს.“*

ცხადია, ჯონა ლომუს უკომენტაროდ არც მომავალ მსოფლიოს თასზე ახალზელანდიელთა შანსების შესახებ შეკითხვა დაუტოვებია. მას მიაჩნია, რომ „ოლ ბლექსი“ საკუთარ კედლებში ყველაზე რეალური ფავორიტია და დარწმუნებულია, რომ ბიჭები ამ შანსს ხელიდან არაფრით გაუშვებენ.

## იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი კვდება

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ლეგენდარული მორაგბე, „ბოკეს“ ყოფილი კაპიტანი, **იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი** მძიმედაა ავად. ექიმები მისი გადარჩენის შანსს 20 პროცენტით აფასებენ. მათი დასკვნით, ფან დერ ვესტჰოიზენს ორიდან ხუთ წლამდე სიცოცხლე დარჩა.

იუსტი ბოლო ხანს თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. მას ლაპარაკი უჭირდა და კუნთების შესუსტებას გრძნობდა. მალე იღლებოდა და სუნთქვა უჭირდა. დიდი ხნის მანძილზე ვერაფრით დაადგინეს, რა სჭირდა. ეს არც რაიმე ვირუსის ბრალი იყო და არც ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადაღლის შედეგი.

საბოლოოდ ნათელი (თუ ამას ნათელი ეთქმის) ყველაფერს კლივლენდელმა ექიმმა **ერიკ პიორომ** მოჰფინა. ფან დერ ვესტჰოიზენს მამოძრავებელი ნეირონების უკმარისობა სჭირს.



იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი ოჯახთან ერთად

ამ ყოველივეზე კომენტარი ლეგენდარული მორაგბის აგენტმა **ბრიჯიტ ფან ოერლემ** გააკეთა:

*„ის შოკშია და ძალიან განიცდის ამ ამბავს. ახლა საკუთარ ოჯახთანაა და უნდა მეტი დრო შვილებთან გაატაროს. ამასთან, ყველას სთხოვა, ცოტა ხნით მაინც თავი დაანებონ, რათა გონზე მოსვლა შეძლოს“*

## ჯონ ქირვანი: რაგბის აზიაში დიდი მომავალი აქვს

იაპონიის ნაკრების ახალზელანდიელ მწვრთნელს, ლეგენდარულ მორაგბე **ჯონ ქირვანს** მიაჩნია, რომ აზიის კონტინენტზე რაგბი მალე დიდ ნახტომს გააკეთებს.

შეგახსენებთ, რომ იაპონია 2019 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მასპინძელია. ქირვანის ხელმძღვანელობით იაპონელებმა HSBC აზიის ხუთი ერი და წყნარი ოკეანის აუზის ერთა თასი მოიგეს. ამ ფაქტმა კი ქვეყანაში რაგბი კიდევ უფრო პოპულარული გახადა.

*„გაოცებული ვარ იმ ენთუზიაზმით, რომლითაც იაპონელი ბავშვები რაგბის თამაშობენ. მდგომარეობა ყოველდღე იცვლება უკეთესობისკენ. განსაკუთრებული ბიძგი კი რაგბის აზიის რეგიონში განვითარებას, მის ოლიმპიურ სახეობად აღიარებას მოჰყვა.*

*შვიდკაცა რაგბი 2016 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია შეტანილი და მომავალი წლიდან იაპონიის ხელისუფლება არნახული რაოდენობის ინვესტიციების გაღებას აპირებს. არანაკლები ყურადღება დაეთმობა რაგბის ჩინეთშიც, სადაც ოვალური ბურთით თამაში ეროვნული სახეობების რიგში შეიყვანეს და მომდევნო ათი წლის განმავლობაში აურაცხელი რაოდენობით დაფინანსებას აპირებენ.*

*გარწმუნებთ, არანაკლები პერსპექტივა აქვთ სხვა აზიურ ქვეყნებსაც. ამ კონტინენტის მოსახლეობა დიდი შრომისმოყვარეობით, ბრძოლისუნარიანობითა და დისციპლინით გამორჩეულია. ამის ხარჯზე კი მათ ძალიან ბევრის მიღწევა შეუძლიათ“* - თქვა ჯონ ქირვანმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი



ხუან მარტინ დელ პოტრო

# არადამაჯერებელი დელ პოტრო

ერთი გამორჩეული შეხვედრა გაიმართა ლოს ანჯელესის ტურნირზე. დღის ბოლოს მატჩში, რომელიც ადგილობრივი დროით ღამის 11 საათზე დაიწყო, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** **ჯეიმს ბლეიკს** ხვდებოდა. აღსანიშნავია, რომ საკუთარი პუბლიკის წინაშე ამერიკელი საკმაოდ ღირსეულად გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ორ სეტში წააგო ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან. მთელ რიგ ეპიზოდებში ის იმ ბლეიკს მოგაგონებდათ, რომელიც ერთ დროს ATP-ის საუკეთესო ათეულში შედიოდა. თუმცა ამერიკელმა ბევრი შეცდომაც დაუშვა და დელ პოტრომ დამსახურებულად მოიპოვა მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

სამაგიეროდ, წააგო მესამე ნომრად განთესილმა **მარკოს ბაღდატისმა**. თანაც კვიპროსელს უშანსოდ მოუგო მოკრძალებულმა ტაივანელმა **იენ-ჰსუნ ლუმ**. მთელმა მატჩმა ისე ჩაიარა, რომ მსოფლიოს 30-ე ნომერს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ასე რომ, სავსებით ლოგიკური შედეგი მივიღეთ.

პირველი წრის სენსაციამ, ამერიკელმა **დანიელ კოსაკოვსკიმ** (მან საწყის ეტაპზე პროფესიულ ტურში პირველი მატჩი მოიგო) ველარ შეძლო მშობლიური პუბლიკის (კოსაკოვსკი კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტია) გაკვირვება. ლატვიელი **ერნესტ გულბისი** თანდათან გამოდის კრიზისიდან. პირველ წრეში **ქსავიე მალისეს** ძლევის შემდეგ, ლატვიელმა ამერიკელი მოწინააღმდეგე ძალიან იოლად დაამარცხა - 6:2, 6:4.

როგორც ჩანს, ბალტიისპირელ ჩოგბურთელს მოუხდა ახალ მწვრთნელთან მუშაობა - უიმბლდონის შემდეგ გულბისს არგენტინელი **გილერმო კანიასი** ავარჯიშებს. მეოთხედფინალში ერნესტი თავისი მწვრთნელის თანამემამულეს **ხუან მარტინ დელ პოტროს** შეხვდება.

უმაგსა და გშტაადტში არც ისე ბევრი მატჩი გაიმართა, რაშიც დამნაშავე უამინდობაა. ყველაზე საინტერესო შეხვედრა ხორვატულ გრუნტზე გაიმართა. ორი დამსახურებული ვეტერანის - **ხუან კარლოს ფერეროსა** და **ივან ლუბიჩიჩის** მატჩი სამი სეტი გაგრძელდა. ესპანელმა უშანსოდ წააგო პირველი სეტი და მეორეში ერთხელ კრიტიკული მომენტი ჰქონდა, როცა 3:3-ზე ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია. ფერერომ გეიმი გადაარჩინა და ამის შემდეგ მისი საქმეები კარგად წავიდა, რაშიც ხორვატმა ჩოგბურთელმა შეუწყო ხელი - ლუბიჩიჩს მეორე და მესამე სეტებში პირველი მოწოდების სიზუსტე მხოლოდ 36 პროცენტი ჰქონდა.

ფერერო მეოთხედფინალში არგენტინელ **კარლოს ბერლოკს** შეხვდება, რომელიც ამ ეტაპზე ესპანელი **ტომი რობრედოს** ტრავმის ხარჯზე გავიდა. რობრედომ ბოლო ექვსი ტურნირიდან მეხუთედ შეწყვიტა ბრძოლა სხვადასხვა ტრავმის გამო.

**ATP**

**Farmers Classic**

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 619 500 დოლარი

**II წრე**

**ერნესტ გულბისი (ლატ)**-დანიელ კოსაკოვსკი (აშშ) 6:2, 6:4; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:3. 6:4; მარკო ბაღდატისი (კვიპ)-**იენ ჰსუნ ლუ (ტაივ)** 3:6, 4:6; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 7:6(3).

**Croatia Open**

უმაგი (ხორვატია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

**II წრე**

**ალბერტ რამოსი (ესპ)**-ჯანლუკა ნასო (იტა) 6:1, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 1:6, 6:3, 6:4; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-ტომი რობრედო (ესპ) რობრედოს უარი; ფილიპო ვოლანდრი (იტა)-**ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)** 1:6, 2:6.

**Suisse Open**

გშტაადი (შვეიცარია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

**I წრე**

**მატიას ბახინგერი (გერ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:1, 6:4.

**II წრე**

**მიხაილ იუჟნი (რუს)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:3, 6:2.

ტურნირები

# მარია მძიმედ დაბრუნდა

სტენფორდში, ისევე როგორც წინა დღეს, ამჯერადაც ოთხი მატჩი გაიმართა. უიმბლდონის ფინალის წაგების შემდეგ პირველად გავიდა კორტზე **მარია შარაპოვა** და როგორც ჩანს, დაკარგა ის ფორმა, რომლითაც ლონდონურ ბალახზე ინონებდა თავს.

რუსის მეტოქე **დანიელა ჰანტუხოვა** იყო, რომელთანაც მარიას მანამდე ზედიზედ შვიდი მატჩი ჰქონდა მოგებული. თავიდან შარაპოვასთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა - ის დაწინაურდა 6:2, 2:1, რის შემდეგაც მისი თამაში უცებ მოიშალა და სლოვაკმა ზედიზედ შვიდი გეიმი მოიგო, რისი წყალობითაც გადამწყვეტ პარტიაში 2:0 გავიდა წინ. შარაპოვა დროულად მოეგო გონს და ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით ისევ მოიპოვა ინიციატივა. ჰანტუხოვამ გაიბრძოლა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი გეიმების აღება შეძლო - მარიამ შეინარჩუნა თავისი მოწოდება და ბოლო სეტში 6:4 მოიგო. შარაპოვა მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი პოტენციური მეტოქე **სერენა უილიამსი** იქნება - ამერიკელს გუშინ უნდა ეთამაშა მერვედფინალი რუსი **მარია კირილენკოს** წინააღმდეგ.

გუშინ სტენფორდში არც ერთ განთესილს არ წაუგია. შესანიშნავ ფორმაშია ფრანგი **მარიონ ბარტოლი**, რომელიც წელს მეშვიდე ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა. ამისთვის მას კანადელი **რებეკა მარინოს** დამარცხება დასჭირდა - 6:4, 6:3. ამ ტურნირის შარშანწინდელმა გამარჯვებულმა ბოლო 21 მატჩში მეთვრამეტედ მოიგო. სხვათა შორის, ბარტოლისთვის მარინო არ არის იოლი მეტოქე - კანადელს კარიერაში ერთადერთხელ ჰყავს დამარცხებული საუკეთესო ოცეულის წევრი: შარშან კვებეკში სწორედ ბარტოლის სძლია.

მოულოდნელად სამი სეტის ჩატარებამ მოუწია **აგნიეშკა რადვანსკას** უცნობ ტაივანელ **კაი-ჩენ ჩანგთან**. აზიელმა მეორე პარტია აიღო და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მესამე სეტში პოლონელმა „მშრალი" ანგარიშით მოიგო და დაამტკიცა, რომ მეორე პარტიაში წაგება გაუგებრობა იყო.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 721 000 დოლარი

**II წრე**

**დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:4, 2:6, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ)**-რებეკა მარინო (კან) 6:4, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-კაი ჩენ ჩანგი (ტაივ) 6:4, 3:6, 6:0; **მარია შარაპოვა (რუს)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:2, 2:6, 6:4.

**Citi Open**

კოლეჯ პარკი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**II წრე**

**ირინა ფალკონი (აშშ)**-შუაი ჟენგი (ჩინ) 6:4 ჟენგის უარი; ელენა ბალტაჩა (ბრიტ)-**ვირჯინია რაზანო (საფ)** 4:6, 2:6; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 5:7, 6:4; **ნადეჟდა პეტროვა (რუს)**-იუჯინ ბუშარი (კან) 6:2, 6:2.



მარია შარაპოვა

ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მოგება რეკორდით

ფინალური გაცურვები ძალიან საინტერესო დისციპლინით დაიწყო - 200 მეტრი კომპლექსური ცურვა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ **მაიკლ ფელპსი**, **რაიან ლოხტე**, **ლასლო ჩეხი** და სხვები. გაცურვას ყველა მოუთმენლად ელოდა და მან გულგრილი არავინ დატოვა. ამ დისტანციაზე მსოფლიოს მოქმედი რეკორდსმენი რაიან ლოხტე იყო - მან ეს მიღწევა 2009 წელს მაშინ დააფიქსირა, როცა დაშვებული იყო ულტრათანამედროვე საცურაო კოსტუმები. როგორც იცით, მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონატის შემდეგ ცურვაში მსოფლიოს რეკორდი აღარ დამყარებულა, რადგან საერთაშორისო ფედერაციამ აკრძალა „ტექნიკური დოპინგი". და ეს ორწლიანი ურეკორდო სერია სწორედ ამ ფინალის შემდეგ შეწყდა.

რა თქმა უნდა, ლოხტეს მთავარი კონკურენტი მაიკლ ფელპსი იყო. სტარტის შემდეგ სწორედ ეს ორი ამერიკელი გაიჭრა წინ, მესამე ადგილზე თითქმის ბოლომდე ბრაზილიელი **ტიაგო პერეირა** მიცურავდა. ყველაფერი ბოლო 50 მეტრზე გაირკვა, რომელიც მოცურავეებმა თავისუფალი სტილით გაიარეს. ამერიკელები ისევ ერთად მიდიოდნენ, მაგრამ ბოლო მეტრებზე ლოხტემ დამატებითი სიჩქარე ჩართო და ფელპსი უკან ჩამოიტოვა, თანაც 0,1 წამით გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი. რაიანმა დისტანცია წუთსა და 54 წამში გაცურა და შანხაიში მეორე ოქრო მოიგო. ფელპსი მეორეზე გავიდა - მაიკლისთვის ეს მეოთხე მედალია ამ ჩემპიონატზე, თუმცა აქედან ოქროსი მხოლოდ ერთია. ფინალის ბედი გულაღმა ცურვისას გადაწყდა, რადგან სწორედ აქ ჩამორჩა ფელპსი ლოხტეს. რაც შეეხება ბრინჯაოსთვის ბრძოლას, ტიაგო პერეირამ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა და მას ლოხტესა და ფელპსის მუდმივმა მეტოქემ, უნგრელმა **ლასლო ჩეხმა** გაუსწრო.

■ ■ ■

შემდეგ ფინალში მამაკაცები თავისუფალი სტილით ცურვაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. აქ ბრაზილიელი **სეზარ სელიო ფილიო** გამოდიოდა, მაგრამ ის ფავორიტად არ მიიჩნეოდა. გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ ავსტრალიური ცურვის ახალ ვარსკვლავს, 20 წლის **ჯეიმს მაგნუსენს**. ფილიო საწყის 50 მეტრზე ლიდერობდა, მაგრამ მაგნუსენი აკონტროლებდა სიტუაციას. მან არანორმალური სისწრაფე აკრიფა და ამის ხარჯზე ბრწყინვალე საფინიშო სპურტი გამოუვიდა. ავსტრალიელს ვერავინ გაუწია კონკურენცია. სეზარ ფილიო კი საერთოდ მედლის გარეშე დარჩა, რადგან მასზე წინ მოულოდნელად კანადელი **ბრენტ ჰაიდენი** და ფრანგი **უილიამ მეინარი** აღმოჩნდნენ.

■ ■ ■

შემდეგი სამი ფინალი ქალებისა იყო. 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ჩემპიონი პრაქტიკულად პირველი 50 მეტრის შემდეგ გახდა ცნობილი. ჩინელმა **ლიუან ჯაომ** ისეთი ტემპი აკრიფა, რომ მას ოქროს მედალში ვერავინ შეეცილებოდა. ბოლომდე მისდევდა თანამემამულეს **ლიუ ციგე**, მაგრამ ჯაოს ვერაფრით დაეწია, ბოლოს კი ციგემ ბრიტანელი **ელენ განდიც** გაატარა, არადა, ამ უკანასკნელს პირველი 150 მეტრის განმავლობაში პირველ სამეულში ვერ ვხედავდით. საბოლოოდ, განდიმ გამარჯვებულთან სულ რაღაც 0,04 წამი წააგო. შედეგად, პოდიუმზე ორი ჩინელი და ერთი ბრიტანელი ავიდნენ. რაც შეეხება სახელოვან **სტეფანი რაისს**, მან მხოლოდ მეხუთე დრო აჩვენა.

პირველი ოქრო მოიპოვა რუსეთის ნაკრებმა. არაოლიმპიურ დისციპლინაში - 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჯერ კიდევ ნახევარფინალების დროს გამოიკვეთა **ანასტასია ზუევას** უპირატესობა და მან ფავორიტის სტატუსი ფინალშიც დაამტკიცა.

ბრწყინვალე სტილში მოიგო 4x200 მეტრზე თავისუფალი ესტაფეტა ამერიკის ქალთა ნაკრებმა. პირველ ეტაპზე ამ გუნდში **მელისა ფრანკლინი** ცურავდა, რომელიც მსოფლიოს ახალი რეკორდის გრაფიკით მიცურავდა. მართალია, რეკორდი არ შედგა, მაგრამ ამერიკელთა დამაჯერებელ გამარჯვებას ეს ჩრდილს არ აყენებს. მეორე ადგილზე გასულმა ავსტრალიამ წამზე მეტი წააგო გამარჯვებულთან.

■ ■ ■

გუშინვე რამდენიმე ნახევარფინალი გაიმართა და ზოგიერთ დისტანციაზე ფავორიტები გამოიკვეთნენ. ქალებს შორის 200 მეტრზე ბრასით ცურვაში კონკურენტებს ორ წამზე მეტი მოუგო **რებეკა სონიმ**. წესით, დღეს მას ოქრო გარანტირებული აქვს.

შანხაიში მესამე ტრიუმფს უმიზნებს რაიან ლოხტე. მან 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მეტოქეები უკან ჩამოიტოვა და დღეს ფინალში პრესტიჟულ მეოთხე ბილიკზე დადგება.

**კაცები**

**200 მ. კომპლექსური.** 1. რაიან ლოხტე (აშშ) - 1:54,00; 2. მაიკლ ფელპსი (აშშ) - +0,16; 3. ლასლო ჩეხი (უნგ) - +3,69...

**100 მ. თავისუფალი.** 1. ჯეიმს მაგნუსენი (ავსტრა) - 47,63; 2. ბრენტ ჰაიდენი (კან) - +0,32; 3. უილიამ მეინარი (საფ) - +0,37...

**ქალები**

**200 მ. ბატერფლაი.** 1. ლიუან ჯაო (ჩინ) - 2:05,55; 2. ელენ განდი (ბრიტ) - +0,04; 3. ლიუ ციგე (ჩინ) - +0,35...

**50 მ. გულაღმა.** 1. ანასტასია ზუევა (რუს) - 27,79; 2. აია ტერაკავა (იაპ) - +0,14; 3. მელისა ფალკონი (აშშ) - +0,22...

**4x200 მ. თავისუფალი.** 1. აშშ - 7:48,14; 2. ავსტრალია - +1,28; 3. ჩინეთი - +1,52...



ლოხტე ფელპსზე მაღლა დგას

შორტ-ტრეკი

# ქალების ჩხუბობენ

ჩინეთის ქალ შორტტრეკისტთა ნაკრებში სკანდალია. ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს **ვან მენს** რამდენიმე ნაკერი დაადეს ჩხუბის შემდეგ, რომელიც ჩინეთის ეროვნული გუნდის შეკრების დროს მოხდა.

ჩხუბში რამდენიმე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ინციდენტის დეტალები არ გახმაურებულა, მხოლოდ იმას იტყობინებიან, რომ ვან მენმა შუშის ნატეხით ძლიერი ჭრილობა მიიღო და დაახლოებით 12 ნაკერი დაადეს.

როგორც ჩინური სააგენტო „სინხუა" აღნიშნავს, 27 ივლისს მომხდარი ჩხუბი, შესაძლოა, იმ ინციდენტს უკავშირდება, რომელსაც ივნისში ჰქონდა ადგილი. დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, მაშინ ჩინეთის ნაკრების რამდენიმე წევრმა პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლა გამართა.

26 წლის ვან მენმა ოქროს სამი მედალი მოიგო 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადაზე და კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო - 2006 წელს ტურინში. გარდა ამისა, იტალიაში მან ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# სანაკრებო ამბები



ესპანეთის ნაკრები

ესპანეთის ნაკრებმა ლიტვაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის შემადგენლობა გამოაცხადა. ევრობასკეტის ერთ-ერთი ფავორიტის შემადგენლობა ოპტიმალურია - მის რიგებში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ექვსი ლეგიონერი ითამაშებს.

ამჟამად ევროპის მოქმედი ჩემპიონის საწვრთნელ შეკრებაზე 15 კალათბურთელი იმყოფება. აქედან ლიტვაში 12 მოთამაშე გაემგზავრება.

ესპანელთა დამრიგებლის **სერჯო სკარიოლოს** არჩევანი ასე გამოიყურება:

**მცველები** - ხოსე კალდერონი („ტორონტო“, NBA), რიკი რუბიო („მინესოტა“, NBA), ხუან კარლოს ნავარო, ვიქტორ სადა (ორივე - „ბარსელონა“), სერხიო ლიული („რეალი“), რაფაელ მარტინესი („ვალენსია“);

**ფორვარდები** - რუდი ფერნანდესი („პორტლენდი“, NBA), კარლოს სუარესი („რეალი“), ფერნანდო სან ემეტერიო („კახა ლაბორალი“), ვიქტორ კლავერი („ვალენსია“);

**ცენტრები** - ფელიპე რეიესი („რეალი“), სერჟ იბაკა („ოკლაჰომა-სიტი“, NBA), პაუ გასოლი („ლეიკერსი“, NBA), მარკ გასოლი („მემფისი“ NBA), ხავი რეი („გრან კანარია“).

ლიტვაში ესპანეთი A ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან თურქეთის, ლიტვის, ბრიტანეთის, პოლონეთის ნაკრებები, აგრეთვე საკვალიფიკაციო ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული.

■ ■ ■

ევრობასკეტის პარალელურად ამერიკის ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ასევე გათამაშდება ოლიმპიური საგზურები. ესპანეთის მსგავსად, ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას ახერხებს არგენტინის ნაკრები.

ქვეყნის კალათბურთის კონფედერაციამ შეძლო გუნდის ლიდერებისთვის - **მანუ ჯინობილისთვის, ლუის სკოლასთვის, ანდრეს ნოჩიონისა** და **კარლოს დელფინოსთვის** დაზღვევის თანხის მოძიება. ასე რომ, NBA-ის ლეგიონერები დაეხმარებიან არგენტინას შესარჩევ ტურნირში. თავისი ვარსკვლავების დაზღვევისთვის კონფედერაციას 540 ათასი დოლარის დახარჯვა მოუწევს.

*„ჩვენ შევძელით დაზღვევის საკითხის მოგვარება, ასე რომ, NBA-ში შეუძლიათ აღარ ინერვიულონ თავიანთი კალათბურთელების ჯანმრთელობაზე“*, - წერია კონფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

■ ■ ■

„მილუოკი ბაქსის“ ძირითადმა ცენტრმა **ენდრიუ ბოგუტმა** ლოკაუტის პერიოდში ავსტრალიის ნაკრებში მწვრთნელად მუშაობა გადაწყვიტა. ამ გუნდს მალე ოკეანეთის ჩემპიონატში ლონდონის ზაფხულის თამაშების საგზურისთვის ბრძოლა მოუწევს.

ბოგუტი ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ბრეტ ბრაუნის** თანაშემწე იქნება. ენდრიუს ეროვნულ გუნდში თამაში სურდა, მაგრამ ავსტრალიის კალათბურთის ფედერაციას „ბაქსის“ ცენტრის დაზღვევისთვის საჭირო თანხა არ აღმოაჩნდა.

# შეხვედრა დაინიშნა



საბონისს აგვისტოში დააფასებენ

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაპირისპირებულმა მხარეებმა პირველი შემხვედრი ნაბიჯი გადადგეს.

სეზონის გადასარჩენად პირველი შეხვედრა მომავალ კვირას გაიმართება, თუმცა მოლაპარაკების დღის წესრიგი უცნობია. ლოკაუტის გამოცხადებიდან დღემდე მხოლოდ ორი შეხვედრა შედგა, თუმცა მასში არ მონაწილეობდნენ ლიგის მთავარი პირები და პროფკავშირის ლიდერები, კერძოდ, NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** და მოთამაშეთა პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი **ბილი ჰანტერი**.

აქამდე ჩატარებულ შეხვედრებზე განიხილავდნენ სახელფასო ბიუჯეტის ლიმიტსა და სხვა ფინანსურ მომენტებს. თუმცა ცალკეული წყაროს ცნობით, მხარეები ჯერ ძალიან შორს არიან მოგების გაყოფის საკითხში კომპრომისამდე.

■ ■ ■

NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი **ჯალენ როუზი** 20 დღეს გაატარებს ციხეში. შეგახსენებთ, რომ ამა წლის მარტში „ინდიანა პეისერსის“ ყოფილი სნაიპერი ავტომობილს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა.

მაშინ როუზი არ დაემორჩილა პოლიციელებს და უარი განაცხადა ალკოტესტის გავლაზე. ამის შემდეგ ის ადგილობრივ საავადმყოფოში მიიყვანეს და სისხლის ანალიზი ჩაუტარეს, რითაც მისი ბრალეულობა დამტკიცდა.

38 წლის კალათბურთელმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 13 სეზონი ითამაშა და 2000 წელს „ინდიანასთან“ ერთად ფინალამდე მიაღწია, სადაც „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ დამარცხდა.

■ ■ ■

ლეგენდარული ლიტველი ცენტრი **არვიდას საბონისი** პირველად ბოლო რვა წლის განმავლობაში პორტლენდში დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ საბონისი 1995-2001 წლებში და 2002-03 წლების სეზონში ამ ქალაქის გუნდში თამაშობდა.

როგორც „პორტლენდის“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, 18 გვისტოს საბონისს NBA-ის დიდების დარბაზში შეიყვანენ და ამასთან დაკავშირებით, მთელი უქმეების განმავლობაში ოფიციალური ღონისძიებებია დაგეგმილი.

● ფორმულა 1

# ორასიანი ბატონი და უცვლელი ზაუბერი

ამ კვირას გასამართი უნგრეთის გრან-პრის წინ „ზაუბერის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მომავალ სეზონში პილოტთა შემადგენლობა უცვლელი დარჩება. გუნდის მფლობელის - **პიტერ ზაუბერის** თქმით, მას სავსებით აკმაყოფილებს **კამუი კობაიასისა** და **სერხიო პერესის** მუშაობა.

*„ორივე პილოტი ჩვენს მოლოდინს აჭარბებს. ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, მაგრამ თითქმის არაფრით ჩამოუვარდებიან უფრო გამოცდილ მეტოქეებს. მოხარულები ვართ, რომ არ შევცდით ჩვენს არჩევანში. კამუისა და სერხიოს წინ დიდი წარმატება ელით“*, - ამბობს პიტერ ზაუბერი.

■ ■ ■

„ლოტუსის“ წევრი **იარნო ტრული** დაიბრუნებს მალაიზიური საჯინიბოს საპრიზო პილოტის სტატუსს. როგორც იცით, ერთი კვირის წინ გერმანიის გრან-პრიზე იტალიელი პილოტი ინდოელმა **კარუნ ჩანდჰოკმა** შეცვალა, მაგრამ ძალიან წარუმატებლად, რადგან ინდოელი გამარჯვებულს ოთხი წრით ჩამორჩა.

*„ისევ საქმეში ვარ,* - განაცხადა ტრულიმ. - *მიხარია, რომ ასე სწრაფად შევძელი დაბრუნება. მოუთმენლად ველი უნგრეთში რბოლას და დადებით შედეგზე ვარ განწყობილი. ვფიქრობ, ჩემპიონატის დასასრული ძალიან საინტერესო გამოვა“*.

■ ■ ■

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ უნგრეთის გრანპრი საიუბილეო იქნება „მერსედეს გრანპრის“ პილოტ **ნიკო როსბერგისთვის** - გერმანელი მეასედ გავა ტრასაზე.

„ჰუნგარორინგის“ რბოლას კიდევ ერთი იუბილარი ეყოლება. „მაკლარენის“ ბრიტანელი წევრისთვის **ჯენსონ ბატონისთვის** ეს იქნება კარიერაში რიგით მეორასე ეტაპი. მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონი იმედოვნებს, რომ საიუბილეო რბოლა წარმატებით ჩაივლის.

*„არც კი მჯერა, რომ უკვე ამდენი სტარტი დამიგროვდა. თუმცა ზუსტად იგივე ენერგია და შემართება მაქვს, რაც 2000 წელს, როცა სადებიუტო რბოლა ჩავატარე. იმედი მაქვს, ასეთი იუბილე კარგი შედეგით დასრულდება. ამის მჯერა, რადგან „ჰუნგარორინგი“ ძალიან ჰგავს მონაკოს, იქ კი ორი თვის წინ ჩვენი ბოლიდები ძალიან სწრაფები იყვნენ“*, - ამბობს Autosport-სთვის მიცემულ კომენტარში ბატონი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევროპის ლიგა

### III საკ. ეტაპი. I მატჩები

| | |
|---|---|
| შლიონსკი-ლოკომოტივი (ს) | 0:0 |
| აეკ (ლ)-ბოლესლავი | 3:0 |
| ალანია-აკტობე | 1:1 |
| ვენტსპილსი-ცრვენა ზვეზდა | 1:2 |
| კარპატი-სტ. პატსი | 2:0 |
| ოლესუნდი-ელფსბორგი | 4:0 |
| ანორთოსისი-რაბოტნიჩკი | 0:2 |
| ოლიმპია-აუსტრია | 1:1 |
| ზალცბურგი-შენიცა | 1:0 |
| სპარტა-სარაევო | 5:0 |
| ვოლერენგა-პაოკ | 0:2 |
| ვორსკლა-სლიგო | 0:0 |
| ბურსა-გომელი | 2:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ვადუცი | 4:0 |
| ომონია-დენ ჰააგი | 3:0 |
| სპლიტი-ფულჰემი | 0:0 |
| იანგ ბოიზი-ვესტერლო | 3:1 |
| ლევსკი-ტრნავა | 2:1 |
| ალკმაარი-იაბლონეცი | 2:0 |
| დიფერდანჟი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:3 |
| დინამო (ბ)-ვარტექსი | 2:2 |
| გაზიანთეფი-ლეგია | 0:1 |
| პაკსი-ჰართსი | 1:1 |
| ბრიუგე-ყარაბახი | 4:1 |
| მაინცი-გაზ მეთანი | 1:1 |
| ჟელეზნიჩარი-მაკაბი (თ-ა) | 0:2 |
| ნასიონალი-ჰაკენი | 3:0 |
| პალერმო-თუნი | 2:2 |
| სტოკი-ჰაიდუკი | 1:0 |
| ატლეტიკო-სტრიომსგოდსეტი | 2:1 |
| მიდტიულანდი-გიმარაეში | 0:0 |
| რიდი-ბრონდბიუ | 2:0 |

### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| ლაციო-ოსასუნა | 0:1 |
| დესელი-ეინდჰოვენი | 1:0 |
| მარიტიმუ-ფეირენსე | 2:0 |
| გალათასარაი-ლივერპული | 3:0 |
| რასინგი-ალ ჯაზირა | 6:0 |
| საუთენდი-ნორვიჩი | 0:0 |
| ხერესი-სევილია | 0:3 |

### ფინეთი

### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| იიპო-ჰამეენლინა | 2:2 |

### საბერძნეთი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| დოქსა-დიაგორასი | 1:1 |
| ოფი-ლევადია | 1:1 |

### რუმინეთი

| | |
|---|---|
| სპორტული-ჩახლაული | 1:1 |

### მს. ჩემპიონატი

### შესარჩევი. აზია

| | |
|---|---|
| მიანმარი-ომანი | 0:2 |
| ნეპალი-იორდანია | 1:1 |
| ლაოსი-ჩინეთი | 1:6 |
| ფილიპინები-ქუვეითი | 1:2 |
| ტაჯიკეთი-სირია | 0:4 |
| ბანგლადეში-ლიბანი | 2:0 |
| ჰონგ კონგი-ს. არაბეთი | 0:5 |
| ინდონეზია-თურქმენეთი | 4:3 |
| ყირგიზეთი-უზბეკეთი | 0:3 |
| ვიეტნამი-კატარი | 2:1 |
| მალაიზია-სინგაპური | 1:1 |
| ინდოეთი-საემიროები | 2:2 |
| პალესტინა-ტაილანდი | 2:2 |
| მალდივი-ირანი | 0:1 |
| იემენი-ერაყი | 0:0 |

## ჩოგბურთი

### ATP. გშტაადი

| | |
|---|---|
| ბენეტო-ბახინგერი | 6:4, 6:4 |
| ხირალდო-ჰაიდერ მაურერი | 6:3, 2:6, 4:6 |
| გრანოლერსი-ანდრეევი | 6:1, 6:3 |
| ლუჩაკი-ვავრინკა | 3:6, 5:7 |
| ფ. ლოპესი-ხიმენო ტრავერო | 6:3, 6:4 |
| ვერდასკო-ჟილი | 6:3, 6:2 |

### ATP. უმაგი

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-ჰაასე | 4:6, 6:4, 6:3 |
| ო. როხუსი-ფონინი | 4:6, 1:6 |
| ჟუნკეირა-სეპი | 5:7, 1:6 |
| სტარაჩე-ჩელა | 4:6, 6:4, 5:7 |

### ATP. ლოს ანჯელესი

| | |
|---|---|
| დიმიტროვი-ბოგომოლოვი | 4:6, 3:6 |

### WTA. სტენფორდი

| | |
|---|---|
| მორიტა-უ. რადვანსკა | 4:6, 7:5, 6:1 |

### WTA. ვაშინგტონი

| | |
|---|---|
| ლეპჩენკო-ბრიანტი | 1:6, 2:6 |

● TV პროგრამა

### 29 ივლისი. პარასკევი

### GMG-ფეხბურთი

**10:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-პერუ. არგენტინა.
**12:00** ამხანაგური მატჩი. ტაილანდის ვარსკვლავები-ჩელსი.
**14:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-ვენესუელა. არგენტინა.
**16:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ეკვადორი. არგენტინა.
**18:00** სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი.
**19:30** სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი.
**21:00** სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი.
**22:00** კოპა ამერიკა 2011. 1/4 ფინალი. ურუგვაი-ჩილე. არგენტინა.
**00:00** სუპერმატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. სტ. პაული-ბაიერნი.
**02:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ორლანდო-პორტლენდი.
**13:45** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-კუბა. შვეიცარია.
**16:00** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. ყაზანი. რუსეთი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. გშტაადი. შვეიცარია (LIVE).
**21:00** K1. ბრძოლა წესების გარეშე.
**23:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ორლანდო-პორტლენდი.

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**22:00** მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. XII ეტაპი. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**23:00** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ჰალი-ვიგანი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

**17:00** ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. გშტაადი. შვეიცარია (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ინდიანა (LIVE).

### EUROSPORT

**14:00** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**17:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. ჰოლანდია (LIVE).
**19:45** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. რუმინეთი (LIVE).
**21:45** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. რუმინეთი (LIVE).
**23:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-ჩრ. კორეა. კოლუმბია (LIVE).
**05:00** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. წინასწარი გაცურვები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

### EUROSPORT-2

**13:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. XIX ტური. ჩრ. მელბურნი-კარლტონი (LIVE).
**19:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. ჰოლანდია (LIVE).
**20:15** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. შესარჩევი ეტაპი. ჰოლანდია (LIVE).
**01:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სტენფორდი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი



ლონდონური მედლები

# ყველაზე დიდი მედალი

გუშინ, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა იმ მედლების დიზაინი წარმოადგინა, რომელიც გაისად ოლიმპიადის პრიზიორებს გადაეცემათ.

ერთი მედლის დიამეტრი დაახლოებით 85 მილიმეტრია, სისქე - 7 მილიმეტრი, წონა - 375 გრამიდან 400 გრამამდე მერყეობს. ეს არის ყველა დიდი მედალი ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. სულ ოლიმპიადისთვის 2100 მედალს დაამზადებენ.

მედლის ერთ მხარეს გამოსახული იქნება თამაშის ლოგო ისრებით, მეორე მხარეს გამარჯვების ქალღმერთი ნიკე და მდინარე ტემზა. პროექტის ავტორი გახდა დიზაინერი **დევიდ უოტკინსი**.

ფორმულა 1



ვოლფგანგ დიურჰაიმერი

# ფოლკსვაგენი მოდის

უკვე რამდენიმე წელია დადის ჭორი იმის შესახებ, რომ გერმანული ავტოკონცერნის „ფოლკსვაგენის" საქარხნო გუნდი ფორმულა 1-ში მოღვაწეობას აპირებს. კომპანიამ, შესაძლოა, ჩემპიონატში საკუთარი გუნდი გამოიყვანოს ან სხვა მიმართულებით იმუშაოს, მაგალითად, სხვადასხვა ძრავის მიმწოდებლის სტატუსით.

აქამდე ყველა ჭორს კომპანიის წარმომადგენლები უარყოფდნენ, მაგრამ ამჯერად „ფოლკსვაგენის" სპორტული განყოფილების ხელმძღვანელმა **ვოლფგანგ დიურჰაიმერმა** განაცხადა, რომ კონცერნი მართლაც განიხილავს ასეთ შესაძლებლობას...

*„შემიძლია დავასახელო ფორმულა 1-ში ჩვენი მისვლის მიახლოებითი თარიღი. სავარაუდოდ, ეს იქნება 2018 წელი. ჩვენ ბევრი ბრენდი გვაქვს, რომლის სახელითაც შეიძლება ეს გუნდი ჩემპიონატში გამოვიდეს"*, - ამბობს დიურჰაიმერი.

მართლაც, იმ ბრენდებს შორის, რომელიც „ფოლკსვაგენს" ეკუთვნის, ბევრი ცნობილი სარბოლო სახელია - „აუდი", „ლამბორჯინი", „პორშე", „შკოდა", „ბუგატი"...



რობერტ კუბიცა

# უსაქმური კუბიცა 8 მილიონს იღებს

ამ ცოტა ხნის წინ, BusinessBook-მა ფორმულა 1-ის პილოტთა ხელფასების სია გამოაქვეყნა, თუმცა იქ ვერ მოხვდა „ლოტუს-რენოს" პოლონელი პილოტი **რობერტ კუბიცა**. მიზეზი ცნობილია - თებერვლის საშინელი ავარიის გამო კუბიცა წელს ჩემპიონატში არ მონაწილეობს. თუმცა ირკვევა, რომ ფრანგული საჯინიბო კონტრაქტის შესაბამის ხელფასს უხდის პოლონელ ავტომრბოლს.

2009 წლის ბოლოს, როცა „რენო" ხელშეკრულებას აფორმებდა რობერტ კუბიცასთან, ის უკვე მაღალანაზღაურებად პილოტად ითვლებოდა. იმ სეზონში BMW-ში გამოსვლისას, კუბიცა 5.5 მილიონ ევროს იღებდა წელიწადში, ხოლო 2009 წლის დეკემბერში, როცა გუნდი საინვესტიციო ფონდმა Genii Capital-მა შეიძინა, პილოტის ხელფასი 8 მილიონ ევრომდე გაიზარდა. დღეს სწორედ ამ ოდენობის თანხას იღებს პოლონელი.

კონტრაქტის თანახმად, 2012 წელს ხელფასი 9 მილიონამდე გაიზრდება, რითაც კუბიცა ყველაზე მაღალანაზღაურებადი პილოტების გვერდით დადგება.

ჩოგბურთი



# წინ ახალი რეკორდებია

ამერიკული მასტერსების მოახლოებასთან ერთად საჩოგბურთო წრეებში კვლავაც აქტუალური ხდება **ნოვაკ ჯოკოვიჩის** რეკორდები. ESPN-ის მიმომხილველი **გრეგ გარბერი** სვამს კითხვას - შეძლებს თუ ვერა სერბი ჩოგბურთელი კიდევ 44 მატჩის მოგებას და თანამედროვე ჩოგბურთში აბსოლუტური რეკორდის დამყარებას?

ნოვაკ ჯოკოვიჩს შეუძლია თანამედროვე ჩოგბურთის ისტორიაში მოგებული მატჩების პროცენტული მაჩვენებლით უდიადესი სასეზონო რეკორდი დაამყაროს. 24 წლის სერბმა ამერიკული ჰარდის სერიის ტურნირების წინ პაუზა აიღო და ჯერჯერობით მიმდინარე სეზონში მისი ბალანსია - 48 მოგება და ერთი წაგება. როლან გაროსის ნახევარფინალში **როჯერ ფედერერთან** მარცხი ერთადერთი „შავი ლაქაა" მის ბრწყინვალე გამოსვლაში.

თუ ნოვაკი ტრავმებს აიცილებს თავიდან და წლის ბოლომდე ყველა დაგეგმილ ტურნირში ითამაშებს (მათ შორის სეზონის შემაჯამებელ ჩემპიონატში და დევისის თასის ნახევარფინალსა და ფინალში), ჯოკოვიჩს შეუძლია თეორიულად კიდევ 44 მატჩი მოიგოს. მაშინ მისი ბალანსი იქნება - 92 მოგება და ერთი მარცხი, რითაც ყველანაირი სასეზონო რეკორდის გაუმჯობესებას შეძლებს.

ჯოკოვიჩს მოგებული ექნება სეზონში ჩატარებული მატჩების 98.92 პროცენტი, რაც უფრო მაღალია **მარტინა ნავრატილოვას** ფანტასტიკურ შედეგზე, რომელიც 1983 წელს დაფიქსირდა. მაშინ ლეგენდარულმა ამერიკელმა 87-დან 86 მატჩი მოიგო. მეორე ადგილზეა დიადი გერმანელი **შტეფი გრაფი**, ვინც 1989 წელს 86 შეხვედრა მოიგო და ორჯერ დამარცხდა.

რა თქმა უნდა, ნოვაკს ძალიან გაუჭირდება ყველა დარჩენილი შეხვედრის მოგება. განსაკუთრებით რთული იქნება მონრეალისა და ცინცინატის მასტერსებზე და ამერიკის ღია პირველობაზე ზედიზედ 17 მატჩში გამარჯვება.

სავარაუდოდ, ჯოკოვიჩი სადღაც წაიფორხილებს და საერთო ჯამში მას სეზონში სამი-ოთხი წაგება დაუგროვდება. მიუხედავად იმისა, რომ წელს **რაფაელ ნადალმა** სერბთან ხუთიდან ხუთი მატჩი წააგო (ხუთივე ფინალში), ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესპანელი ამ უიღბლო სერიას გააგრძელებს. 2009 წლის აშშ-ის ღია პირველობის ტრიუმფატორი **ხუან მარტინ დელ პოტროც** „დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირისთვის საბოლოოდ გავა ფორმის პიკზე. როჯერ ფედერერიც არ აპირებს დანებებას და **ენდი მიურეიც** სახიფათოა, მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიელის კოლექციაში ჯერაც არ მოიპოვება „დიდი სლემის" ჩემპიონატის მთავარი პრიზი.

■ ■ ■

დღეს, მარტინა ნავრატილოვას მიერ თითქმის 30 წლის დამყარებულ რეკორდამდე მანძილი სრულიად არარეალურად გვეჩვენება. ერთადერთი მარცხი 1983 წლის სეზონში მან **კეტი ჰორვატისგან** როლან გაროსის მეოთხედფინალში იწვნია. სწორედ აქ შეწყდა მისი 54-მატჩიანი მოგებათა სერია.

ექვსი წლის შემდეგ ამ შედეგთან ახლოს იყო **შტეფი გრაფი**. 1988 წლის სეზონი გერმანელმა 72 მოგებითა და 3 წაგებით დაასრულა. მან იმ წელს სეზონური „დიდი სლემი" მოიგო და სეულის ოლიმპიადის ოქროს მედალიც დაუმატა. შემდეგ მან „დიდი სლემის" ზედიზედ მეხუთე ტურნირიც მოიგო ავსტრალიაში და ამას დაუმატა მიჯრით WTA-ის ოთხი ტურნირის მთავარი პრიზი. მაგრამ ამელია აილენდის ტურნირის ფინალში გერმანელი გრუნტზე არგენტინელმა **გაბრიელა საბატინიმ** დაამარცხა. როლან გაროსზე მას სეზონში მეორე მარცხი აგემა მაშინ ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობმა, 17 წლის ესპანელმა **არანჩა სანჩეს-ვიკარიომ**. ეს ფინალში მოხდა და შტეფის შეეძლო გატოლებოდა ნავრატილოვას რეკორდს, არანჩას წინააღმდეგ მესამე სეტში 5:3-ზე მატჩზე რომ ჩაეწოდებინა.

■ ■ ■

მამაკაცებს შორის რეკორდის მფლობელია **ჯონ მაკინროი**. მან 1984 წელს სეზონი 82 მოგებითა და 3 წაგებით დაასრულა. ჯოკოვიჩმა წლევანდელი სეზონის სტარტზე ზედიზედ 43 მატჩი მოიგო და ბევრს გაახსენდა 1984 წელს მაკინროის ანალოგიური სტარტი (სერბს ამერიკელზე ერთით მეტი მოგება დაუგროვდა და ამით ეს ლოკალური რეკორდი გააუმჯობესა). ჯონმა გამოტოვა ავსტრალიის ღია პირველობა, როლან გაროსის ფინალში ორ სეტს იგებდა და მესამეში ბრეიკით იყო დაწინაურებული **ივან ლენდლის** წინააღმდეგ. მაგრამ ჩეხმა შეძლო იმ მატჩის მოგება და მაკინროიმ სეზონში პირველად წააგო. მეორე მატჩში ის დევისის თასის ფინალში შვედ **ჰენრიკ სუნდსტრიომთან** დამარცხდა, მესამედ კი ცინცინატიში **ვიჯაი არმიტრაჟთან** დათმო შეხვედრა.

მამაკაცებს შორის მეორე შედეგი აქვს როჯერ ფედერერს, რომელმაც 2005 წელს 81 მატჩი მოიგო და ოთხჯერ დამარცხდა. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში **მარატ საფინთან** წაგების შემდეგ შვეიცარიელმა ზედიზედ 25 მატჩი მოიგო, სანამ მონტე კარლოს მასტერსზე ფრანგ **რიშარ გასკესთან** არ დამარცხდა. შემდეგ იყო როლან გაროსის ფინალში **რაფაელ ნადალთან** წაგება, რასაც მოჰყვა 35-მატჩიანი მოგებათა სერია. როჯერს მორიგი გაჩერება შანხაიში ჰქონდა, სადაც მას არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი** გაუსწორდა.

ასე რომ, ფედერერმა 11 თვის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ წააგო. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ასეთი შედეგი ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის ნამდვილად ღირსეული მიზანი იქნება.

# სპორტული ქორწილი

გუშინ არგენტინელ ჩოგბურთელს **ხისელა დულკოს** ქორწილი ჰქონდა. ის ცოლად გაჰყვა თავის თანამემამულეს, მადრიდის „რეალისა" და არგენტინის ნაკრების ნახევარმცველ **ფერნანდო გაგოს**. სპორტსმენები ორი წლის წინ დაინიშნენ და ქორწილის გადახდა ამ ზაფხულს გადაწყვიტეს.

ხელის მოწერის ცერემონიაზე დულკო ელეგანტურ თეთრ კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა. საქორწინო საღამოს კი ბუენოს აირესში 400 ადამიანი დაესწრო, თუმცა გაგოს ბევრმა მეგობარმა ვერ შეძლო არგენტინაში ჩასვლა, რადგან თავიანთ კლუბებში არიან დაკავებული. სამაგიეროდ, სტუმრებს შორის იყო იტალიელი ჩოგბურთელი **ფლავია პენეტა**, რომელთან ერთადაც დულკოს წყვილთა თანრიგში „დიდი სლემის" არაერთი ტურნირი მოუგია.



ახალდაქორწინებულები

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**